CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 2 ოქტომბერი, 2009 წელი. №214 (2252) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ძლიერი მიწისძვრა სუმატრაზე
A7

ფაუსტური მარტოობა და მოლოდინი, ანუ ერთი საღამო ნეკროშიუსის თეატრთან ერთად
A11

სარეკორდო მხარდაჭერა გადამეტებული მოლოდინის ფონზე
A13

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის საადაზღვევო ჯგუფი

„და, აი, ცაში ავედი თითქოს..."



"მწერალი (და არამარტო მწერალი) თავად იღებს გადაწყვეტილებას, დათანხმდეს თუ არ დათანხმდეს რეჟიმისგან შემოთავაზებულ მოთხოვნებს. მრავალი მაგალითი ვიცით, როცა უზრუნველი ცხოვრება პრინციპზე მაღლა დაუყენებიათ და, პირიქით, ყველაფერზე უარი უთქვამთ იმავე პრინციპის გამო. მერე წუწუნი და სინანული, ანდა მერე თავის მოწონება, მეტი რომ არა ვთქვათ, უსინდისობაა, ისევე როგორც რეალური სისუსტის გამართლება, ანდა სულიერი სიმტკიცისათვის ჯილდოს მოთხოვნა," - ასე თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონმა ოთარ ჭილაძემ.

...და ასეც იცხოვრა მეოცე საუკუნის გამორჩეულმა ხელოვანმა, დიდმა მწერალმა, რომელიც თავისი ნატიფი პოეზიითა და არაჩვეულებრივი პროზით დიდი ხანია იქცა ზოგადქართული კულტურის ბუნებრივ ნაწილად. ეს ის კულტურაა, რომლითაც ახლო მომავალში თავისუფლად უნდა გავიდეთ საერთაშორისო არენაზე და, ერთ მშვენიერ დღესაც, დასავლელი ინტელექტუალი გაკვირვებით აღმოაჩენს, რომ პატარა კავკასიურ ქვეყანაში უჩუმრად უცხოვრია მსოფლიო რანგის მწერალს.

მანამდე კი, აქ, საქართველოში უნდა მივაგოთ ჯეროვანი პატივი, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ გვერდით ცხოვრობდა პიროვნება, რომელიც განსაკუთრებულ ნიჭიერებასთან ერთად, იშვიათი მორალური სიმტკიცით უძლებდა ყოველგვარ საცდურს და მხოლოდ მწერლის სახელს დასჯერდა.

მას არასოდეს ჰქონია ტიტული და თანამდებობა, ის იყო - ოთარ ჭილაძე.

ინტერპრეტაციების ომი

რუსეთ-საქართველოს ომის გამოძიების საერთაშორისო კომისიის დასკვნის გამოქვეყნებამ საინფორმაციო დაპირისპირების ახალ ეტაპს - ინტერპრეტაციების ომს დაუდო სათავე. დოკუმენტი ორივე მხარის მიმართ ძალზე კრიტიკული გამოდგა. დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ მოსკოვი ფართომასშტაბიანი ომის დაწყების ფაქტებზე ამახვილებს ყურადღებას, თბილისი კი - იმ ბრალდებებზე რუსეთის მიმართ, რასაც დოკუმენტი შეიცავს. კრიტიკის ობიექტი თავად კომისიის დასკვნაც გახდა - ექსპერტები საუბრობენ დოკუმენტში საქართველოს წინააღმდეგ რუსული აგრესიის 8 აგვისტომდე დაწყების დამადასტურებელი ფაქტების იგნორირებაზე, ასევე რუსეთის შემოჭრისთვის ლეგალური საბაბის მოძებნის მცდელობებზე.

დიმიტრი ავალიანი

ტალიავინის კომისიის დასკვნის გამოქვეყნებამ რუსეთს საერთაშორისო ასპარეზზე სახის შენარჩუნების საშუალება მისცა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ მოსკოვში, სადაც "საქართველოს მიერ ომის დაწყებას", დოკუმენტზე დაყრდნობით, დადასტურებულად მიიჩნევენ. სათაურები - "ომი საქართველომ დაიწყო" - არა მხოლოდ რუსულ, არამედ დასავლურ მედიაშიც გაჩნდა.

ამის საბაბი დოკუმენტის ის ნაწილი გახდა, სადაც აღნიშნულია, რომ "ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ 7-8 აგვისტოს ღამით ცხინვალის დაბომბვით დაიწყო". ამავე დროს, რუსული მხარე ცდილობს, ყურადღება არ გაამახვილოს დოკუმენტში შემდგომ ნათქვამზე. კერძოდ, იმაზე, რომ ცხინვალზე შეტყევა იყო "მზარდი დაძაბულობის, პროვოკაციებისა და ინციდენტების კულმინაცია, რაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხოციელდებოდა".

მოხსენებაში დეტალურად არის გაანალიზებული აგვისტოს პირველ დღეებში შეიარაღებული დაპირისპირების ესკალაცია. დოკუმენტი შეიცავს "დელიკატურ" მინიშნებასაც, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ 7 აგვისტოს გამოცხადებული ცეცხლის შეწყვეტა რუსულ-ოსურმა მხარემ პირველმა დაარღვია.

გაგრძელება A3 გვერდზე

გერმანია ევროკავშირში თურქეთის მიღების წინააღმდეგია

არჩევნებში ანგელა მერკელის გამარჯვებამ და ხელისუფლებაში მემარჯვენე-ცენტრისტული ძალების მოსვლამ თურქეთის ევროკავშირში შესვლის შესაძლებლობა ღამის ნულამდე დაიყვანა, - ამ აზრს გაზეთი "დეილი ტელეგრაფი" გამოთქვამს.

ანგელა მერკელმა გასულ კვირას სატელეფონო საუბარში თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯებ ტაიპ ერდოღანს შეატყობინა, რომ ევროკავშირში ანკარის შესვლის მიმართ გერმანიის პოლიტიკა გადაიხედება.

საბოლოოდ, გერმანიის არჩევნებში ყველაზე მეტად წაგებული დარჩა თურქეთი და მისი გეგმები ევროკავშირში შესვლაზე.

არჩევნებამდე გერმანია აღმოსავლეთით, თურქეთის ხარჯზე ევროკავშირის გაფართოებას არ გამორიცხავდა. ბერლინის პოლიტიკის ამჟამინდელი შემობრუნება, ძირითადად, "თავისუფალი დემოკრატების" ლიდერ გვიდო ვესტერვალეს მკაფიო პოზიციით არის განპირობებული. ვესტერვალე, სავარაუდოდ, ახალ კოალიციურ მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას დაიკავებს. მან განაცხადა, რომ ვერ ხედავს რეალურ საფუძველს ევროკავშირში თურქეთის მისაღებად, რადგან მისი ეკონომიკა ვერ შეძლებს ინტეგრაციას ევროკავშირის სხვა ქვეყნების ეკონომიკასთან. ამგვარად გერმანია საფრანგეთის პოზიციაზე დგება. ეს უკანასკნელი კი ევროკავშირში თურქეთის შესვლის პერსპექტივას განჭვრეტად მომავალში ვერ ხედავს.

პოლიტიკური მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ თურქეთისთვის ევროკავშირში შესვლაზე უარის თქმა აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის, ახლო და შუა აღმოსავლეთის, ასევე კავკასიისა და ცენტრალური აზიის უზარმაზარ რეგიონში ახალ გეოპოლიტიკურ სიტუაციას შექმნის.

გაგრძელება A8 გვერდზე

CMYK - 1

ბანაკები ინტეგრაციისათვის

საზაფხულო ბანაკების ფორმით სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშემწყობი პროგრამების შემუშავებისა და ამ პროგრამით სამოდელო ბანაკების მოწყობის ინიციატივით ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო" 2009 წელს გამოვიდა და კონკურსი, სახელწოდებით "სამოქალაქო ინტეგრაციის ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკები" გამოაცხადა.

დასახული მიზნის მიღწევის საკუთარი ხედვა 66 ორგანიზაციამ წარმოადგინა. მათგან ფონდმა ექვს პროექტს დაუჭირა მხარი და თითოეული 13 000-15 000 აშშ დოლარის ოდენობის გრანტით დააფინანსა. გამარჯვებული ორგანიზაციები გარდაბანიდან, ბოლნისიდან, მარნეულიდან, წალკიდან და თბილისიდან იყვნენ.

როგორც ჩვენთან საუბრისას, ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს" აღმასრულებელმა დირექტორმა ქეთევან ხუციშვილმა თქვა, პროექტის მთავარი მიზანი იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების და უმარავლესობის წარმომადგენელთა შორის პიროვნული კონტაქტების დამყარების ხელშეწყობა, ქართული ენის შესწავლის მოტივიზაციის გაზრდა. ასევე ბავშვებისათვის ერთმანეთის კულტურის პატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ტოლერანტულობის სწავლება. "პროექტების შერჩევისასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა, თუ როგორ იყო შედგენილი კურიკულუმი, ანუ სწავლების პროცესის განრიგი. იყო გართობაც, თამაშიც, მაგრამ ძირითადად ეს იყო ტრენინგები ინტეგრაციის პროცესის დასაწყებად." კითხვაზე, თუ რა პრინციპით შეარჩიეს ბავშვები ბანაკისათვის, ხუციშვილი პასუხობს, რომ მათი შერჩევისას ერთი პრინციპით არ უხელმძღვანელიათ. ძირითადად იყვნენ მძიმე სოციალურ პირობებში მცხოვრები ან კონფლიქტური რეგიონებიდან დევნილი ქართველი, ოსი და აფხაზი ბავშვები.

1 ოქტომბერს გაიმართა უკვე განხორციელებული ხუთი პროექტის პრეზენტაცია, რომლის ფარგლებშიც აჩვენეს ხუთწუთიანი დოკუმენტური ფილმი ბანაკში განსხვავებული ეთნოსის წარმომადგენელი ბავშვების თანაცხოვრების შესახებ. სხვადასხვა ბანაკში მყოფმა ბავშვებმა ისაუბრეს იქ გატარებულ დროსა და შთაბეჭდილებებზე.

რიგით მეექვსე პროექტის განხორციელება კი ხვალიდან დაიწყება. გუდაურში, ქვეშეთის ბანაკში კიდევ 40 მოზარდი გაემგზავრება. ერთ-ერთმა მონაწილემ ომარ ომაროვმა გვითხრა, რომ დიდი მოლოდინი აქვს და ძალიან უნდა გაეცნოს სხვა ეთნიკური უმცირესობების კულტურებს.

ნათია მაჭარაშვილი

შვილები: თაკო, ზაზა, და თინა, ძმა თამაზ ჭილაძე, რძალი ბაია ქურდაძე, სიძე არჩილ ყიფიანი, შვილიშვილები: ნანა, ანა, ნათო და ოთარი, ცოლისძმა გოგი თოფაძე ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ ჭილაძე

პანაშვიდები: 2 და 3 ოქტომბერს, 17 საათზე
მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი 181
გამოსვენება: 4 ოქტომბერს 15 საათზე, სამების საკათედრო ტაძრიდან

გოგი და მარინა თოფაძეები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან სიძის
ოთარ ჭილაძის გარდაცვალებას
პანაშვიდები: 2 და 3 ოქტომბერს, 17 საათზე
მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი 181
გამოსვენება: 4 ოქტომბერს 15 საათზე, სამების საკათედრო ტაძრიდან

კომპანია "ყაზბეგი" სამძიმარს უცხადებს გოგი თოფაძეს სიძის ოთარ ჭილაძის გარდაცვალების გამო

კომპანია "ყაზბეგი" სამძიმარს უცხადებს ზაზა, თაკო, ოთო და ნანუკა ჭილაძეებს მამისა და ბაბუის **ოთარ ჭილაძის** გარდაცვალების გამო

პოლიტიკური მოძრაობა "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი **ოთარ ჭილაძე** და თანაგრძნობას უცხადებს ჭილაძეების ოჯახს

"24 საათის" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი მწერალი

ოთარ ჭილაძე

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

„დიპლომატიური, კომპრომისული დოკუმენტი„

ნათია მსხილაძე

გუშინ როგორც ქართველი, ისე უცხოელი პოლიტიკოსები და ექსპერტები აფასებდნენ საერთაშორისო კომისიის დასკვნას რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ, რომელმაც 850 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო 138 ათასი ადამიანი იძულებით გადაადგილებულად აქცია.

"კომისიამ დაასკვნა, რომ არც ერთი ფაქტი, რომელიც საქართველოს მიერ რუს სამშვიდობოებზე თავდასხმას შეეხებოდა, არ არსებობს. რუსეთი კი ამტკიცებდა, რომ საქართველოში იმისთვის შემოვიდა, რომ ქართველები თავს დაესხნენ რუს სამშვიდობოებს და მშვიდობიანი მოქალაქეები დახოცეს. მოსკოვში კომისიის ძალიან დიდი იმედი ჰქონდათ, მაგრამ კომისიამ დაასკვნა, რომ რუსეთს იქ არანაირი მოქალაქეები არ ჰყოლია და ისინი საქართველოს მოქალაქეები იყვნენ. ევროკავშირმა თქვა, რომ რუსეთი იტყუება. კიდევ ერთი ტყუილი, რომელიც გაბათილდა, ის იყო, თითქოს ქართველებმა ოსების გენოციდი განახორციელეს. ეს ჯოჯოხეთური ტყუილიც ბლეფი აღმოჩნდა. დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ ქართველი გმირების გმირული წინააღმდეგობის დროს იქ, სადაც ქართველები შევიდნენ, არც ერთი ქალი და ბავშვი არ დაღუპულა. ქალები და ბავშვები მხოლოდ რუსეთის დაბომბვის შედეგად დაიღუპნენ და ეს ყველაფერი ავტორიტეტულმა კომისიამ ცალსახად დაადასტურა. ცხადია, არავის ჰქონდა ილუზია, რომ ცივი ზამთრის მოლოდინში რუსულ გაზზე დამოკიდებული ევროპა ამ ომში პირდაპირ დასდებდა ბრალს რუსეთის პრემიერ ვლადიმირ პუტინს, რომელსაც შემდეგ ბრიუსელში ბორკილებს დაადებდნენ. პირველად შეიქმნა დოკუმენტი, სადაც დაფიქსირებულია ფაქტები, რომლებიც 5-10 წლის შემდეგაც კი გამოდგება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საშუალებად. არც 1921 წლის საქართველოს ანექსიით და არც აფხაზეთის ომით აქამდე არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია არ დაინტერესებულა. ჩვენ პირველად მივაღწიეთ საეთაშორისო კომისიის შექმნას, რომელმაც პირველად აღიარა, რომ მოხდა ეთნიკური წმენდა. მათ ამ დოკუმენტში იმაზე მეტი თქვეს, ვიდრე წარმოვიდგენდით," - ასე შეაფასა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჰაიდი ტალიავინის კომისიის დასკვნა.

საქართველო-რუსეთის ომის მიზეზების შემსწავლელი ევროკავშირის კომისიის დასკვნის გამოქვეყნების გამო ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანამ შვედეთმა სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების ნებისმიერი გზა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემასა და საერთაშორისო სამართლის ნორმებს უნდა ეფუძნებოდეს.

ევროკავშირი იმედს გამოთქვამს, რომ გამოძიების შედეგები ხელს შეუწყობს შარშანდელი კონფლიქტის მიზეზებისა და მოვლენების უკეთ გაგებას.

საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში ამერიკის შეერთებულ შტატების თავდაცვის მდივნის მოადგილე ალექსანდრ ვერშბოუს განცხადებით კი, ტალიავინის კომისიის დასკვნის შინაარსის მიუხედავად, აშშ აგრძელებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერას.

როგორც ვერშბოუ განმარტავს, ვაშინგტონში ამ დასკვნის შესწავლა მიმდინარეობს და თავად არა აქვს ინფორმაცია, თუ რა არის ასახული ტალიავინის ანგარიშში. "ახალი ამბებიდან ვიცი, რომ ორივე მხარის პასუხისმგებლობაზეა საუბარი. ჩვენ ყოველთვის მხარს ვუჭერდით და მხარს დავუჭერთ საქართველოს სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. და, რა თქმა უნდა, მხარს დავუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას," - განუცხადა ვერშბოუმ სააგენტო "ინტერფაქსს".

რაც შეეხება რუსეთის პოზიციას, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებით, ტალიავინის კომისიის დასკვნაში პირდაპირ არის მითითებული ის სახელმწიფოები, რომლებიც საქართველოს არმიას აიარაღებდნენ. ასევე, დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ აგრესია საქართველოს ხელისუფლებამ წამოიწყო.

რუსი დიპლომატის განმარტებით, რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ იმ პოზიციების გასანადგურებლად გამოიყენა ძალა, საიდანაც ე.წ. სამხრეთ ოსეთზე თავდასხმები ხორციელდებოდა.

რაც შეეხება რუსეთის მიერ არაპროპორციული ძალის გამოყენების შესახებ დოკუმენტში დაფიქსირებულ დეტალებს, რუსეთის საგარეო უწყება უკმაყოფილებას გამოხატავს და იმედოვნებს, რომ საერთაშორისო საზოგადოება ფაქტებს კარგად გაანალიზებს. "ჩვენი შეფასებით, ჰაიდი ტალიავინი ავტორიტეტული დიპლომატია და მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვს კომისიის შექმნაში მონაწილეობა არ მიუღია, რუსეთი კომისიასთან აქტიურად თანამშრომლობდა," - ნათქვამია განცხადებაში.

სეპარატისტთა ლიდერები აგრესიის გამჩაღებელი პოლიტიკოსის დასჯას მოითხოვენ

აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას განცხადებით, ტალიავინის კომისიის დასკვნა კავკასიაში ვითარების დარეგულირებას ხელს ვერ შეუწყობს. კომისიის დასკვნა იმ ევროპელი პოლიტიკოსების განწყობას გაანელებს, რომლებიც ომის დაწყებაში რუსეთს ადანაშაულებდნენ. **"დოკუმენტში დაფიქსირებულ მნიშვნელოვან დასკვნებს აგრესიის გამჩაღებელი პოლიტიკოსის დასჯა უნდა მოჰყვეს, თუმცა ეს დასკვნები რეალურად არაფერს მოიტანს. იმდენად არის ევროპული პოლიტიკა ანგაჟირებული და დამოკიდებული აშშ-ზე, რომელიც ულაპარაკოდ უჭერს მხარს სააკაშვილს, მეჩვენება, რომ რაიმე განსაკუთრებულის იმედი არ უნდა გვქონდეს,"** - აღნიშნა შამბამ.

ოსი სეპარატისტების ლიდერ ედუარდ კოკოითის განცხადებით კი, ბოლოს და ბოლოს, განისაზღვრა, რომ ომი საქართველოს პრეზიდენტმა დაიწყო. **"როგორც იქნა, ბევრ საკითხს პრინციპული შეფასება მისცეს და განსაზღვრეს, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებში უშუალო დამნაშავე საქართველოს პრეზიდენტია. მიხეილ სააკაშვილი სამხრეთ ოსეთის ხალხის გენოციდსა და აგრესიაში საერთაშორისო სისხლის სამართლის დამნაშავეა. საერთაშორისო საზოგადოება რაც უფრო მალე დაგმობს ამ ადამიანის ქმედებებს, მით უფრო მალე დამყარდება მშვიდობა კავკასიაში,"** - განაცხადა კოკოითიმ.

ექსპერტთა შეფასებით, ტალიავინის დასკვნა ობიექტური და მიუკერძოებელია

ქართველ ექსპერტთა პოზიციით, რუსეთ-საქართველოს ომის მიზეზების დამდგენი კომისიის დასკვა მეტ კითხვის ნიშნებს აჩენს, ვიდრე პასუხებს. **"ეს არის დიპლომატიური დასკვნა, კომპრომისული დოკუმენტი, რომელიც ყველას აკრიტიკებს, თუმცა მასში არის გარკვეული არათანმიმდევრულობები, რის გამოც დოკუმენტი მეტ კითხვის ნიშნებს ტოვებს, ვიდრე პასუხებს იძლევა,"** - აღნიშნა გია ნოდიამ.

ექსპერტი საგარეო საკითხებში ზურაბ აბაშიძე ტალიავინის კომისიის დასკვნას "ობიექტურს და მიუკერძოებელს" უწოდებს. მისი თქმით, დასკვნაში ღრმა ანალიტიკაა და მომხდარზე პასუხისმგებლობა ორივე მხარემ უნდა აიღოს. **"ჩემი აზრით, საერთაშორისო კომისიის დასკვნით კმაყოფილი არავინ უნდა იყოს. აღნიშნული დასკვნით ორივე მხარემ უნდა გააანალიზოს შეცდომები. ასევე, დასკვნაში გამოვყოფდი იმ ნაწილს, სადაც საუბარია ამ ყველაფრის განმეორების შესაძლებლობაზე. საერთაშორისო ძალისხმევა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ კონფლიქტის განმეორება არ დაუშვას. რუსულ მხარეს კმაყოფილების საფუძველი არ გააჩნია,"** - განაცხადა აბაშიძემ .

ოპოზიცია ქვეყნის პრეზიდენტს აკრიტიკებს

"ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერ ირაკლი ალასანიას განცხადებით, ტალიავინის დასკვნამ მკაფიოდ დაადასტურა, რომ არ არსებობს არანაირი ლეგიტიმური საფუძველი 2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებისთვის. **"მისიის ანგარიში ობიექტურად და სამართლიანად აღნიშნავს, რომ რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის აქტით უხეშად დაარღვია და უგულებელყო საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელშეუხებლობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, მათ შორის ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის ჰელსინკის დასკვნითი აქტი, გაერო-ს ქარტია და უშიშროების საბჭოს რეზოლუციები.**

ჩვენ მივიჩნევთ, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის წინდაუხედავმა და პოლიტიკურად უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებამ საფრთხის ქვეშ დააყენა სახელმწიფოებრიობა და ქვეყნის დამოუკიდებელი განვითარების მომავალი. ამ გადაწყვეტილებამ არა მხოლოდ თავიდან ვერ აგვაცილა რუსეთის მხრიდან საქართველოს სამხედრო ოკუპაცია, არამედ აგრესორს საქართველოს ტერიტორიაზე მასშტაბური შემოჭრის საბაბი შეუქმნა," - აღნიშნა ალასანიამ.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირისაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ინტერპრეტაციების ომი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ამავე დროს, საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალის მიმართულებით ცეცხლის გახსნა კომისიამ საერთაშორისო სამართლის დარღვევად შეაფასა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ცეცხლი ქართულ სოფლებზე თავდასხმების პასუხს წარმოადგენდა. კომისიას არგუმენტად სამშვიდობო შეთანხმებები მოჰყავს, რომელთა მიხედვით, საქართველოს ძალის გამოუყენებლობის ვალდებულება ჰქონდა ნაკისრი.

თუმცა, თბილისისთვის ყველაზე უსიამოვნო მოხსენების ის ნაწილი გახდა, რომელშიც ნათქვამია, რომ ევროპელმა ექსპერტებმა "საკმარისად დასაბუთებულად არ მიიჩნიეს" ცნობა 8 აგვისტომდე საქართველოს ტერიტორიაზე "მნიშვნელოვანი რუსული ძალების შემოჭრის" შესახებ.

ამგვარად, ტალიავინის კომისიისთვის სარწმუნო არ აღმოჩნდა არც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოპოვებული ოსური ფორმირებების წევრთა სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, არც რუსული პრესის მრავალ პუბლიკაციაში არსებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსული რეგულარული ჯარის ქვედანაყოფები ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე აგვისტოს პირველ რიცხვებში შევიდნენ. ამაზე კომისია მხოლოდ ვარაუდებს გამოთქვამს და საქართველოს ტერიტორიაზე "2008 წლის 8 აგვისტომდე" რუსეთიდან შეიარაღებისა და მებრძოლების გადმოსვლის ფაქტის აღიარებით შემოიფარგლება.

დასკვნაში განხილულია რუსი მშვიდობისმყოფელების საკითხი. კომისიის აზრით, ქართული მხარის მიერ ძალის გამოყენება სამშვიდობოთა წინააღმდეგ გაუმართლებელია. თუმცა, კომისია ვერ ადასტურებს რუსი მშვიდობისმყოფელების დაღუპვის ფაქტებს.

რაც შეეხება სამართლებრივ შეფასებას, ტალიავინის კომისიამ მიიჩნია, რომ "რუსეთს მშვიდობისმყოფელებზე თავდასხმის მოგერიების უფლება ჰქონდა", ოღონდ "საფრთხის პროპორციული საშუალებებით". შესაბამისად, "კონფლიქტის პირველ ეტაპზე რუსეთის მიერ თავდაცვის მიზნით ძალის გამოყენება კანონიერად უნდა იქნას მიჩნეული".

თუმცა, კომისიის ეჭვს იწვევს რუსეთის შემდგომი ქმედებების სამართლიანობა. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში შემოჭრა საერთაშორისო სამართლის დარღვევად არის აღიარებული, ხოლო ამ პერიოდში საქართველოს შეიარაღებული ძალების მოქმედება - კანონიერ თავდაცვად.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კონფლიქტის მიზეზების ანალიზი 2008 წლის მოვლენებით არ უნდა შემოიფარგლოს. კომისიამ ცალსახად დაგმო რუსეთის ქმედებები, რაც წინ უძღოდა ომს. კერძოდ, დასკვნაში აღნიშნულია, რომ რუსული პასპორტების მასობრივი დარიგება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას და მის შიდა საქმეებში ჩარევას წარმოადგენდა.

კომისია ასევე აცხადებს, რომ უსაფუძვლოდ მიიჩნევს საქართველოს მიმართ ოსი ხალხის გენოციდის შესახებ გამოთქმულ ბრალდებებს. ასევე აღნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა განხორციელდა.

"არ უნდა დაგვავიწყდეს როგორც დიდი სახელმწიფოს ზეწოლა პატარა და დაუმორჩილებელ მეზობელზე, ასევე ამ პატარა მეზობლის ზედმეტად მწვავე რეაქცია და კრიტიკულ მომენტში წინდაუხედავი ქმედებები. თუმცა, ეს მცოცავი ანექსიის შედეგად საკუთარი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვის შიშითაც შეიძლება აიხსნას," - ნთქვამია დასკვნაში.

კომისია აცხადებს, რომ არ გაჩნია ცალსახა პასუხი კითხვაზე, თუ რა ზომით არის უფლებამოსილი სახელმწიფო, გამოიყენოს ძალა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე საკუთარი მოქალაქეების დასაცავად. თუმცა, აღნიშნავს, რომ "ასეთი ოპერაციები შეზღუდული უნდა იყოს დროში და მასშტაბში და, პირველ რიგში, ადამიანების გადარჩენას და ევაკუაციას ემსახურებოდეს".

ოფიციალური თბილისი, მართალია, მიესალმება დასკვნაში რუსეთის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს, თუმცა კვლავ ადასტურებს, რომ ქართული მხარის მიერ ძალა ლეგიტიმურად იყო გამოყენებული და ოპერაციის მთავარ მიზანს რუსული აგრესიის მოგერიება წარმოადგენდა.

გაცილებით კრიტიკულად არის განწყობილი ევროპული კომისიის დასკვნის მიმართ ექსპერტი ანდრეი ილარიონოვი, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომის ფაქტებს იკვლევს. ექსპერტი აღნიშავს, რომ მოხსენებაში იგნორირებულია რუსული აგრესიის უამრავი ფაქტი, ხოლო დოკუმენტის ტერმინოლოგია ხშირად რუსულ პროპაგანდას იმეორებს.

"ამ მოხსენებით არ არის აღიარებული საქართველოს უფლება - დაიცვას საკუთარი სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა სამხედრო ძალის გამოყენებით, მის წინააღმდეგ საგარეო აგრესიის პირობებში. მოხსენებით ლეგალურად არის აღიარებული რუსული ვერსიის ცენტრალური ნაწილი - რუსი მშვიდობისმყოფელებისა და მოქალაქეების დაცვა სამხედრო ძალით უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე," - აცხადებს ილარიონოვი.

მისი თქმით, კომისიამ რუსეთის ჯარის მოქმედება არალეგალურად მხოლოდ სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გარეთ ცნო. შესაბამისად, ასკვნის ილარიონოვი, ევროპელმა ექსპერტებმა დე ფაქტოდ ცნეს რუსეთის მოქმედების სამართლიანობა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ახალგორისა და ქართული ანკლავების ჩათვლით.

"არსებითად, მოხსენება აგრესორს უჭერს მხარს, რადგან ამართლებს ინტერვენციას და წარმოადგენს კვაზი-სამართლებრივ დასაბუთებას არა მხოლოდ მომხდარი, არამედ, შესაძლოა, მომავალი აგრესიისთვის," - აღნიშნავს ანდრეი ილარიონოვი და მოხსენებას 1938 წლის მიუნხენის გარიგებასაც ადარებს.

დასავლელი მიმომხილველები იმასაც აღნიშნავენ, რომ მართალია, კომისიის ანგარიშით ორივე მხარეა დადანაშაულებული, მაგრამ დოკუმენტი გაცილებით დიდი დარტყმა აღმოჩნდა საქართველოსთვის, ვიდრე რუსეთისთვის. თბილისისგან განსხვავებით, მოსკოვი დასავლეთის მხრიდან ისედაც შეჩვეულია კრიტიკას და მასზე თითქმის არ რეაგირებს.

დოკუმენტის აშკარად წინააღმდეგობრივი შინაარსი, როგორც ჩანს, რთული კომპრომისების შედეგია - არ არის გამორიცხული, ევროკავშირის წევრი ქვეყნების განსხვავებულ საგარეო-პოლიტიკურ ინტრესებს შორის. ყოველ შემთხვევაში, დოკუმენტის ავტორებს მისი გამოქვეყნების პოლიტიკურ შედეგებზე თავიდანვე უნდა ჰქონოდათ წარმოდგენა.

რუსეთ-საქართველოს ხანგრძლივი კონფლიქტის ისტორიაში პირველად გაჩნდა ავტორიტეტული საერთაშორისო ინსტანციის მიერ მომზადებული ვრცელი დოკუმენტი, სადაც დაწვრილებით არის მიმოხილული კონფლიქტის მიზეზები და მისი ისტორია. დოკუმენტში მოცემულ ცალკეულ შეფასებებზე დავა შესაძლოა შემდგომშიც გაგრძელდეს. თუმცა, იმ სამართლიანმა ბრალდებებმა, რასაც საქართველო კრემლს წლების განმავლობაში უყენებდა და რაც საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიღმა რჩებოდა, კომისიის დასკვნის სახით გაცილებით მეტი ლეგიტიმაცია შეიძინა.

ევროპამ რუსეთს ხმა შეუნარჩუნა

ᲓᲐᲗᲝ ᲒᲐᲛᲘᲡᲝᲜᲘᲐ

ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების დელეგაციებმა მხარი არ დაუჭირეს ორგანიზაციაში რუსეთისთვის ხმის გამოყენების უფლების ჩამორთმევას. ევროპელი დეპუტატების მიერ დამტკიცებული ახალი რეზოლუციით, რუსეთს ევროსაბჭოში აღებული ვალდებულებების შესასრულებლად ვადა იანვრამდე გაუხანგრძლივდა.

გუშინ საპარლამენტო ასამბლეაზე არ იყო მოლოდინი, რომ მორიგი რეზოლუცია რუსეთის დელეგაციას ასამბლეაში სრულფასოვანი მოქმედების საშუალებას შეუზღუდავდა. თუმცა, 20-ზე მეტი ქვეყნის დეპუტატების ინიციატივით, გუშინ კენჭი უყარეს რუსეთის საკითხს. საბოლოოდ კი, 88 ხმით 35-ის წინააღმდეგ მიიღეს რეზოლუცია, სადაც აღნიშნულია, რომ **"მართალია, რუსეთს არ შეუსრულებია მოთხოვნების უმეტესობა, მაგრამ ასამბლეამ მაინც გადაწყვიტა რუსეთის დელეგაციისთვის უფლებამოსილების რატიფიცირება. იმ პირობით, რომ ეს შესაძლებლობას მისცემს რუსეთის ხელისუფლებას, მნიშვნელოვან და კონსტრუქციულ დიალოგში ჩაერთოს, რათა აგვისტოს ომის შედეგების შესახებ ასამბლეის რეზოლუციაში ნახსენები საკითხები მოაგვაროს."** მიღებული გადაწყვეტილებით, რუსეთის ფედერაციას ვალდებულებების შესასრულებლად კიდევ ერთი გამოსაცდელი ვადა ამჯერად 25 იანვრამდე განესაზღვრა. ასამბლეის წევრებმა განმარტეს, რომ თუ ამ დროის განმავლობაში მოსკოვი ორგანიზაციის მიერ მიღებული ყველა შესაბამისი რეზოლუციით გათვალისწინებულ ვალდებულებებს არ შეასრულებს, მისთვის ხმის უფლების ჩამორთმევის საკითხი 2010 წელს დღის წესრიგში ისევ დადგება. მიუხედავად ამისა, მოთხოვნების შესრულებას რუსეთი მომავალშიც არ აპირებს. მოსკოვმა საპარლამენტო ასამბლეას ულტიმატუმიც კი წაუყენა, კერძოდ, ორგანიზაციაში ხმის გამოყენების უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში რუსეთი ევროსაბჭოს რიგების დატოვებით დაიმუქრა.

რუსეთის ხისტი პოზიციის წინააღმდეგ თავიანთი დამოკიდებულება დეპუტატებმა ევროსაბჭოში გამართულ დისკუსიაზე გამოხატეს, თუმცა დებატებმა დელეგაციის წევრების არცთუ დიდი ინტერესი გამოიწვია - სიტყვით გამომსვლელთა შორის 25 დეპუტატი ჩაეწერა, მათგან კი მხოლოდ 9 პარლამენტარმა გამოიყენა ევროპის საბჭოს ტრიბუნა. რაც შეეხება საკუთრივ კენჭისყრას, რუსეთისთვის ხმის უფლების ჩამორთმევას, ძირითადად, ბალტიისპირელმა და პოლონელმა დეპუტატებმა დაუჭირეს მხარი. გარდა ამისა, საქართველოს პოზიციის მხარდამჭერებს შორის იყვნენ დანიელი, ფინელი, ბულგარელი, რუმინელი, აზერბაიჯანელი და ესპანელი პარლამენტარები. ხოლო, უკრაინისა და დიდი ბრიტანეთის კანონმდებელთა ხმები რუსეთისა და საქართველოს სასარგებლოდ თანაბრად გადანაწილდა.

ქართული მხარე უკმაყოფილოა სტრასბურგში რუსეთისთვის გამოსაცდელი ვადის დაწესების გამო. ასამბლეაზე გამართული დებატებისა და კენჭისყრის დასრულების შემდეგ ევროსაბჭოში საქართველოს დელეგაციის წარმომადგენელმა გოკა გაბაშვილმა განაცხადა, რომ რუსეთი ვალდებულებებს არც მორიგ ჯერზე შეასრულებს. **"რუსეთისთვის ვადის მიცემას არანაირი აზრი არა აქვს, რადგან იანვარი მოვა და ასამბლეის წევრები დაინახავენ, რომ ამ კონკრეტული ვადისთვის არაფერი იქნება შესრულებული,"** - აცხადებს გაბაშვილი.

რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელი კონსტანტინ კოსაჩოვი მიიჩნევს, რომ გუშინდელი დისკუსია დროის უაზრო ხარჯვა იყო. **"ჩემი ქართველი კოლეგები თავს უხერხულად უნდა გრძნობდნენ. მათ მთელი პოტენციალი დახარჯეს იმაზე, რომ საკუთარი ინიციატივა გაეტანათ, მაგრამ სამარცხვინო უმცირესობაში აღმოჩნდნენ. ვფიქრობ, ქართველი კოლეგები მეტის მიღწევას შეძლებდნენ, მთელი ძალისხმევა რუსეთთან დიალოგის აღდგენაზე რომ დაეხარჯათ,"** - განაცხადა კოსაჩოვმა. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრმა პაატა დავითაიამ ევროპის საბჭოსადმი რუსეთის არასერიოზული დამოკიდებულების შესახებ ისაუბრა. **"მალე ევროსაბჭო თვითონ მივა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ რუსეთს ხმის უფლება უნდა შეუწყვიტოს. რაც შეეხება საკითხისადმი რუსეთის დამოკიდებულებას, ეს თავიდანვე ნათელი იყო, რადგან ისინი კენჭისყრის დროს დარბაზშიც კი არ იმყოფებოდნენ,"** - განაცხადა დავითაიამ.

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ღირსების ორდენით დააჯილდოვეს

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიგაუდას უშაცკასი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრს გრიგოლ ვაშაძეს შეხვდა, სადაც საქართველოსა და ლიტვას შორის გაზაფხულზე ხელმოწერილი ქარტიის ფარგლებში 2010 წლის სამოქმედო გეგმა გაფორმდა.

როგორც გეგმის გაფორმების შემდეგ ერთობლივად გამართულ პრესკონფერენციაზე ლიტვის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა განაცხადა, შეთანხმება ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში საქართველოს მიერ ლიტვის გამოცდილების გაზიარებას ითვალისწინებს. ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, სამოქმედო გეგმა, რომელსაც ხელი მოეწერა, ორივე მხარეს ავალდებულებს გამოცდილება ერთმანეთს ნატოსა და ევროკავშირთან მიმართებაში გაუზიარონ. **"ასევე ლიტვა მზადაა საქართველოს გაუზიაროს ის გამოცდილება, რომელიც ჩვენმა ქვეყნამ აღნიშნულ ორივე ორგანიზაციაში ინტეგრაციის გზაზე მიიღო",** - აღნიშნა ვიგაუდას უშაცკასიმ.

საგარეო საქმერთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ, საუბარი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მუშაობის საკითხებსა და კონფლიქტურ რეგიონებში არსებულ ვითარებას შეეხო. საგენტო ინტერპრესნიუსის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გრიგოლ ვაშაძემ მადლობა გადაუხადა ევროკავშირს იმ განცხადებისათვის, რომელიც გუშინ ტალიავინის კომისიის მიერ დადებული დასკვნის შემდეგ გაკეთდა. კერძოდ, ერთ-ერთ პუნქტში აღნიშნულია, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი და ხანგრძლივი დარეგულირება შესაძლებელია თუ დაცული იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი. ვაშაძემ აღნიშნა, რომ ამ ფაზაშიც იგრძნობა ლიტველი მეგობრების აქტიური მონაწილეობა.

სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენის" ცნობით, ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოუცხადა და აღნიშნა, რომ "ამ მხირვ ლიტვის პოზიცია მყარია". **"ლიტვა საქართველოს მეგობარი სახელმწიფოა. ჩვენ დავეხმარებით მას, რომ ამ ქვეყანაში მოხდეს რეფორმების გაძლიერება და გაგრძელება",** - განმარტა ლიტველმა სტუმარმა. გარდა ამისა, ვიგაუდას უშაცკასიმ ტალიავინის კომისიის დასკვნა კიდევ ერთხელ შეაფასა და თქვა, რომ "ის მსოფლიო დონის დიპლომატიური დოკუმენტია", სადაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება კიდევ ერთხელ მოხდა. მისი, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნის წარმომადგენლის აზრით, ყველა მხარეს მაღალი პასუხისმგებლობის გრძონა უნდა ჰქონდეს, ევროკავშირი კი უნდა გააქტიურდეს ქმედითი ნაბიჯების გადადგმის თვალსაზრისით.

პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ, ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს პარლამენტში, პარლამენტის თავმჯდომარესთან, დავით ბაქრაძესთან შესახვედრად გაემგზავრა. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა და როგორც შეხვედრის შემდეგ ვიგაუდას უშაცკასმა განმარტა "ქვეყნების კიდევ უფრო მეტად დაახლოვება" სამთავრობო და, ასევე, საკანონმდებლო დონეზე უნდა განხორციელდეს. მისივე თქმით, ლიტვა განსაკუთრებით გააძლიერებს საქართველოს მხარდაჭერას ევროკავშირთან თანამშრომლობის საკითხში და, მისი თქმით, ეს შეეხება როგორც საქართველოს ასოცირებულ წევრობას, ასევე ვიზების გამარტივების პროცესს.

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრს გუშინ, კიდევ ერთი შეხვედრა ახლა უკვე თბილისის მერთან, გიგი უგულავასთან მერიის შენობაში ჰქონდა. შეხვედრის შემდეგ თბილისის მერის ინიციატივითა და ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიგაუდას უშაცკასის უშუალო ხელშეწყობით, 12 სტუდენტით დაკომპლექტებული ლიტვური ენის შემსწავლელი კურსი გაიხსნა. სასწავლო პროცესი თბილისის მერიაში წარიმართება.

დღის ბოლოსთავის საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თბილისში ვიზიტით მყოფი ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ღირსების ორდენით დააჯილდოვა. როგორც პრეზიდენტმა ლიტველი სტუმრის დაჯილდოებისას განაცხადა, "ლიტვა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ახლო მეგობარი ქვეყანაა".

"ძალიან ბევრ საკითხთან დაკავშირებით გვაქვს ლიტვის მხარდაჭერა. ეს არის ქვეყანა, რომელმაც გზა გაგვიკლია ყველა მიმართულებით. ისინი შარშან, საქართველოში ომის დროს, ქუჩაში გამოვიდნენ პროცენტულად ისეთივე რაოდენობით, როგორც ქართველები. ეს იყო ასევე მათი ომი, როგორც ეს თავის დროზე გადახდენიათ და მათ ყველაზე მეტად იციან თავისუფლების ფასი. ეს არის უზარმაზარი ისტორიის მქონე ქვეყანა და ჩვენ ძალიან ბევრი საერთო გვაქვს მასთან. ბატონმა ვიგაედას უსაცკასმა დიდი წვლილი შეიტანა ლიტვის ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებაში. ამ ორგანიზაციებში შესვლა მათი ხმების გარეშე ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება", - განაცხადა სააკაშვილმა.

ქვეყნის პირველმა პირმა იმედი გამოთქვა, რომ ევროკავშირი ქართველებზე ვიზების გაცემას წელს გაადვილებს.

შეგახსენებთ, რომ ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი თბილისში ორი დღის წინ ჩამოვიდა.

მაგდა ლეკიაშვილი

პარკირების ახალი ტარიფები ძალაში შევიდა

პარკირების გადასახადი მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ პარკირების ადგილებს შეეხება. ამ ეტაპზე მერიის მიერ მხოლოდ ერთწლიანი პარკირების ტარიფია დადგენილი. ერთწლიანი პარკირებისათვის ავტომანქანის მფლობელებმა 25 ლარი უნდა გადაიხადონ. მოკლევადიანი პარკირების ტარიფების დადგენაზე მერიაში მუშაობენ.

ავტომანქანების უსაფრთხოებასა და დაცულობაზე საპატრულო პოლიცია იზრუნებს.

პარკირების 25-ლარიანი ბარათების შესაძენად მომხმარებელს შესაბამისი თანხის გადახდა "საქართველოს ბანკსა" და "სახალხო ბანკში" შეუძლია.

თელავის გამგებელმა ახალი მანქანის შესაძენად ბიუჯეტიდან 10 ათასი აშშ დოლარი გახარჯა

"ნისანის" მარკის ახალი "ჯიპის" შესაძენად, რომლითაც თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვასილ დავითაშვილი რამდენიმე დღეა გადაადგილდება, ბიუჯეტიდან 10 ათასი აშშ დოლარია გახარჯული. ამის შესახებ "ჯი-ეიჩ-ენს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან აცნობეს.

"ნისანის" მარკის ჯიპი საკრებულოს გადაწყვეტილებით, სამხედრო კომისარიატისთვის იქნა შეძენილი. მე მანქანა არ მყავს და როცა იქნება, მაინც უნდა ვიყიდო. მანამდე ამ მანქანას მოვიხმარ," - განაცხადა ვასილ დავითაშვილმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი მანქანის შეძენამდე თელავის გამგებელს "მერსედესის" მარკის საკმაოდ კომფორტული მანქანა ემსახურებოდა, რომელიც თელავის გამგეობის ბალანსზე ირიცხებოდა.

საყურადღებოა, რომ რამდენიმე დღის წინ თელავის რაიონს სტიქიამ 180 ათასი ლარის ზარალი მიაყენა. დაზარალებულია არაერთი ოჯახი. დაზარალებულ ოჯახებს ადგილობრივმა ხელისუფლებამ დახმარებაზე უარი უთხრა, იმ მიზეზით, რომ ბიუჯეტში თანხები არ აქვთ.

არასწორი პარკირებისთვის ჯარიმის ოდენობა 10 ლარამდე მცირდება

არასწორი პარკირებისთვის ჯარიმის ოდენობა 10 ლარამდე მცირდება. ამის შესახებ გუშინ თბილისის მერმა გიგი უგულავამ "სახალხო ბანკის" ოფისში განაცხადა.

დედაქალაქის მერმა "სახალხო ბანკში" პარკირების საფასური თავად გადაიხადა.

უგულავას განცხადებით, დედაქალაქში პარკირებაზე ზედამხედველობასა და კონტროლს მერია განახორციელებს.

"ავტომფლობელებს თანხის გადახდა "საქართველოს ბანკის", "თიბისი ბანკისა"-სა და "სახალხო ბანკის" ნებისმიერ ფილიალში, ასევე, ინტერნეტითა და სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით შეეძლებათ. პარკირების საფასურის გადახდის შემდეგ ავტომობილის ნომერი შეყვანილი იქნება საერთო ბაზაში და სახელმწიფო პარკირების ადგილებში დგომისას მფლობელი აღარ დაჯარიმდება," - განაცხადა გიგი უგულავამ.

შეგახსენებთ, რომ თბილისში პარკირების ახალი სისტემა გუშინ ამოქმედდა. ავტომფლობელები 25-ლარიან წლიური ბარათს შეიძენენ, რის შემდეგაც მათ ავტომანქანების გაჩერება პარკირების ყველა ზონაში შეეძლებათ.

ქართულ ავტობაზარზე "ლენდ როვერ"-ის ბოლო თაობის "რენჯ როვერი" გამოჩნდა

ქართულ ავტობაზარზე მსოფლიო ავტოინდუსტრიის გიგანტი კორპორაცია "ლენდ როვერ"-ის ბოლო თაობის "რენჯ როვერი" გამოჩნდა.

"რენჯ როვერი" 2010-ის პრეზენტაციას დღეს, 2 ოქტომბერს, 19:00 საათზე, "ლენდ როვერი"-ს ექსკლუზიური დილერი საქართველოში "ჯი თი მოტორსი" მოახდენს.

რენჯ როვერი ბოლო თაობის ავტომანქანაა, რომელიც სრულყოფილი დიზაინისა და მექანიზმების ვირტუოზულ ერთობლიობას წარმოადგენს. მას გააჩნია პირველი კლასის სპეციფიკაციები ყველა სექტორში - დაწყებული ძრავის შესრულებიდან, კეთილმოწყობილი ინტერიერით დასრულებული და აქვს ფართო არჩევანი.

პრეზენტაციის დასასრულს სტუმრებს კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდებათ. მათთვის გაიმართება გათამაშება. პრიზებს შორისაა "ჯი თი მოტორსის" მიერ დაწესებული "ლენდ როვერ"-ის ბოლო მოდელის მობილური ტელეფონი. ასევე თამაშდება ამავე ბრენდის ბოლო მოდელის ველოსიპედი და პიკნიკის აღჭურვილობა.

შიდა და საგარეო ვალი იზრდება

მანანა ვარდიაშვილი

2009 წლის მეორე კვარტალში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 56.6 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა. აქედან 83.3 მლნ. აშშ დოლარი სამთავრობო სექტორზე მოდის. კომპანიათაშორისი და ეროვნული ბანკის სესხებმა, შესაბამისად, 24,9 და 22,4 მლნ. აშშ დოლარით მოიმატეს. სხვა სექტორების უცხოური ვალდებულებები დაახლოებით 40,6 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა. რაც შეეხება საბანკო სექტორის ვალს, ის 114,6 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა.

საგარეო ვალი სახელმწიფო (სამთავრობო სექტორი და ეროვნული ბანკი) და კერძო სექტორის (საბანკო და სხვა სექტორები) საგარეო ვალს მოიცავს. საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 2009 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 7781.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. აქედან 2325.8 მლნ. აშშ დოლარი (29.9 პროცენტი) სამთავრობო სექტორის ვალი იყო, 647.5 მლნ. აშშ დოლარი (8.3 პროცენტი) - ეროვნული ბანკის, 1621.5 მლნ. აშშ დოლარი (20.8 პროცენტი) - საბანკო სექტორის, 1142.1 მლნ. აშშ დოლარი (14.7 პროცენტი) - სხვა სექტორების, ხოლო 2044.2 მლნ. აშშ დოლარი (26.3 პროცენტი) - კომპანიათაშორისი ვალი. მთლიანი საგარეო ვალის 94.8 პროცენტი უცხოურ ვალუტაში იყო დენომინირებული.

საგარეო ვალდებულებების ზრდა დაფიქსირდა როგორც უცხოურ, ასევე ეროვნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მთლიანი ვალი მეორე კვარტალში 39.2 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა და 7376.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხი კი 7.4 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა და 404.7 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა.

სამთავრობო სექტორში საგარეო ვალის ზრდის დაახლოებით 70 პროცენტი (58.3 მლნ აშშ დოლარი) საკურსო ცვლილებით, ხოლო 30 პროცენტი (24.9 მლნ. აშშ დოლარი) ოპერაციული ცვლილებებით იყო გამოწვეული.

ეროვნული ბანკის საგარეო ვალდებულებები 2009 წლის მეორე კვარტალში 1.5 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა. თუმცა, საკურსო ცვლილებამ ეროვნული ბანკის სესხების 23.9 მლნ. აშშ დოლარით ზრდა გამოიწვია.

საბანკო სექტორში საგარეო ვალდებულებების მნიშვნელოვანი შემცირების პროცესი გრძელდება. 2009 წლის მეორე კვარტალში საბანკო სექტორის მოკლევადიანი ვალი 16.3 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო გრძელვადიანი - 101.3 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა. საკურსო ცვლილებებმა საბანკო სექტორის ვალების 3.1 მლნ. აშშ დოლარით ზრდა გამოიწვია. კურსის ცვლილების შედეგად მთლიანი საგარეო ვალი 2009 წლის მეორე კვარტალში 119.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

საგარეო ვალთან ერთად, შიდა ვალიც იზრდება. ბიუჯეტს წინა ხელისუფლების დროიდან "ისტორიული ვალი" - 675,1 მლნ. ლარი მოჰყვება. 2009 წლის 5 აგვისტოდან მთავრობამ ახალი შიდა ვალის აღება დაიწყო და ამ მიზნით სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები - სახაზინო ვალდებულებები გამოუშვა. სახაზინო ვალდებულებებს ძირითადად ბანკები ყიდულობენ. 6 თვის და ერთი წლის შემდეგ (მთავრობა სახაზინო ვალდებულებებს ამ ვადით უშვებს) ბიუჯეტმა კომერციულ ბანკებს ვალი პროცენტით უნდა დაუბრუნოს.

25 სექტემბერს ფინანსთა სამინისტრომ სახაზინო ვალდებულებების აუქციონების მომდევნო 3 თვის კალენდარში ცვლილებები შეიტანა - წლის ბოლომდე, ნაცვლად დაგეგმილი 160 მლნ. ლარის ემისიისა, მთავრობა 280 მლნ. ლარის ოდენობის სახაზინო ვალდებულებებს გამოუშვებს.

სიახლეა ისიც, რომ 1 წლის ვადის დაფარვის მქონე სახაზინო ვალდებულებების აუქციონი თვეში ორჯერ გაიმართება. 6 თვის დაფარვის მქონე ვადიანობის აუქციონზე კი 5 მლნ. ლარის ემისიის ნაცვლად 10 მლნ. ლარის ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გავა.

სამი სიახლე "საქართველოს ბანკისგან"

ნინო ნატროშვილი

"საქართველოს ბანკის" გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა ძველი თბილისის რეაბილიტაციის პროექტში მონაწილეობის დეტალები გააცხადა.

"დავაფინანსებთ ოთხი სამშენებლო კომპანიის პროექტებს. ეს არის "არსის" საცხოვრებელი კომპლექსი "ორთაჭალის ტურფა" და კომპლექსი ავლაბარში. "ოლიმპიური ვარსკვლავის" მშენებლობა შარტავას ქუჩაზე, კომპანია "კალასის" საცხოვრებელი სახლი "ვაკე პალასი" და "ბაგები სითი ჯგუფის" საცხოვრებელი კომპლექსი "პარკ პალასი". ამ ოთხი პროექტის ფარგლებში მშენებლობა ამ თვეში განახლდება. სამშენებლო კომპანიების პროექტების შესაძლო ჯამური დაფინანსება 18 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს," - განაცხადა ირაკლი გილაურმა.

გილაურის განმარტებით, მერიის პროექტი თვალსაჩინოა იმით, რომ ბანკს აქვს მხოლოდ მშენებლობის დასრულების რისკი. "ბანკში მოვიდა 12 კომპანია და მხოლოდ 4 კომპანიის მიერ წარმოდგენილ პროექტებზე ვთქვით თანხმობა. თუმცა მანამდე ჩვენ დავაფინანსეთ რამდენიმე სამშენებლო პროექტი, რომელიც კომერციულად მომგებიანი იყო. სამშენებლო სექტორის უფრო ეფექტურად დაფინანსებისათვის ბანკში ახალ სტრუქტურას ვქმნით. გვაქვს იდეა იმასთან დაკავშირებით, როგორ შევამციროთ წინასწარი გადახდის რისკები. ეს პროექტი მნიშვნელოვან სტიმულს აძლევს სამშენებლო სექტორს. საქართველოს ბანკის მთლიანი სესხების პორტფელი ამ ეტაპზე 1,6 მილიარდი ლარია. აქედან იპოთეკა არის 340 მილიონი ლარი. ფიზიკურ პირებზე კი იპოთეკის მოცულობა 886 მილიონი ლარია. ბანკი ბოლო თვეებში იპოთეკურ სესხებს 6-7 მილიონი ლარის ფარგლებში გასცემს," - ამბობს ირაკლი გილაური.

მეორე სიახლე, რომლის შესახებაც ბანკის გენერალურმა დირექტორმა განაცხადა, დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთის შემცირებაა. ბანკი საპროცენტო განაკვეთებს დეპოზიტის ტიპის მიხედვით 15 ოქტომბრიდან 0,25 და 0,5 პროცენტით შეამცირებს.

"2009 წლის მაისიდან "საქართველოს ბანკში" კლიენტთა დეპოზიტები მნიშვნელოვნად იზრდებოდა. ზრდამ პიკს აგვისტოს თვეში მიაღწია, როდესაც კლიენტთა მთლიანი დეპოზიტები 72,6 მილიონი ლარით გაიზარდა. მათ შორის ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 50 მილიონ ლარს გადააჭარბა. 2009 წლის პირველი ნახევრისათვის ბანკის კლიენტთა დეპოზიტებმა თითქმის 1 მილიარდი ლარი შეადგინა," - განაცხადა ირაკლი გილაურმა.

ბანკმა ასევე გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ ყველა იმ მომხმარებელს, რომელსაც 2009 წლის 15 ივნისამდე საკრედიტო ბარათებზე ერიცხება წარმოშობილი დავალიანება, ბანკი სთავაზობს ვალდებულებების რესტრუქტურიზაციას. რესტრუქტურიზაცია გულისხმობს საკრედიტო ბარათზე არსებული დავალიანების გადანაწილებას 24 თვემდე ვადაზე და ყოველთვიურად დასაფარი ფიქსირებული თანხის დადგენას, მაქსიმუმ 125 ლარამდე თვეში. აღსანიშნავია, რომ ვალდებულებაზე პროცენტის დარიცხვა არ მოხდება. არ იცვლება დავალიანების დაფარვის პირობები - მომხმარებელს კვლავ შეეძლება, მისთვის დადგენილ თარიღში გადაიხადოს.

ტურისტულმა სეზონმა მთიდან ბარში გადმოინაცვლა

"თებულოტურის" მარშრუტები ექსტრემალური ჯიპ-ტურებით

ლიკა ჯობაძე

მთაში მოგზაურობის მოყვარულებისთვის სეზონი მომავალი წლის ივნისამდე დაიხურა. თუ თქვენ თუშეთში, ხევსურეთში, სვანეთში და ხევში მოგზაურობა ვერ მოასწარით, ბევრი დაგიკარგავთ. მაგრამ არა უშავს, მომავალი წლისთვის თადარიგი ახლავე დაიჭირეთ, მანამდე კი კომპანია "თებულოტური" ბარში მოგზაურობას შემოგთავაზებთ.

2009 წლის ტურისტულ სეზონზე კომპანია "თებულოტურმა" საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში გაცილებით მეტი მარშრუტი შეასრულა, ვიდრე წინა წლებში. თუ გასული წლების მანძილზე კომპანიის მომსახურებით ძირითადად უცხოელი ტურისტები ინტერესდებოდნენ, წელს ქართველი მოგზაურების რიცხვიც საგრძნობლად გაიზარდა. "თებულოტურის" ერთ-ერთი დამფუძნებლის პაატა ვარდანაშვილის თქმით, ქართველი და უცხოელი ტურისტების სიმრავლე ეკონომიკურმა კრიზისმაც განაპირობა. **"ქართველების ინტერესი, მოინახულონ და გაიცნონ საკუთარი ქვეყნის მთიანი რეგიონები, ორი მიზეზით არის განპირობებული. პირველი და უმთავრესი - ჩვენ, ქართველებს გაგვიჩნდა სურვილი მოვინახულოთ და გავიცნოთ ჩვენი ქვეყნის ის კუთხეები, რომლებისადმი ინტერესსაც, სამწუხაროდ, უცხოელი ტურისტები უფრო იჩენენ, ვიდრე ქართველები. ამ მხრივ, წელს ვითარება გაუმჯობესდა და მთის რეგიონმა ბევრ ქართველ სტუმარს უმასპინძლა. მეორე მიზეზი კი ეკონომიკური კრიზისი გახლავთ. მთაში 2-3-დღიანი ექსკურსია საზღვარგარეთ დასვენების ფონზე ძალიან იაფია. ვფიქრობ, ამ ფაქტორმა ბევრ ადამიანს გაუჩინა საკუთარი ქვეყნის გაცნობის სურვილი. 2-3 დღით მთაში გასვლა ქალაქის გიჟური რიტმიდან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალებაა. კომპანია "თებულოტურმა" წელს ძალიან ბევრი კორპორატიული კლიენტი შეიძინა, რომელნიც სამსახურიდან თავის დაღწევას ვერ ახერხებენ და მთაში 2-3-დღიანი მოგზაურობა მათთვის საუკეთესო გამოსავალია. შაბათ-კვირის გასვლების გარდა, წელს კომპანია მრავალდღიან ფეხით და ცხენით ლაშქრობებსაც სთავაზობს ტურისტებს,"**

კომპანია "თებულოტურის" დამფუძნებლები ფიქრობენ, რომ მთის რეგიონის პოპულარიზაცია ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტურიზმის, არამედ მაღალმთიანი რეგიონის ეკონომიკური თუ ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის. ამ მიზნით, კომპანია "თებულოტურმა" საფუძველი ჩაუყარა და უკვე ტრადიციადაც აქცია თბილისში მთის საღამოების გამართვა. უკვე მესამე წელია, "მზიურში" ტრადიციულად 26 ივნისს იმართება ღონისძიება "ხევსურული საღამო", რომელშიც არა მარტო ხევსურები, არამედ საქართველოს მთის რეგიონის ყველა წარმომადგენელი მონაწილეობს. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა მთის სეზონის გახსნაც.

მანამ, სანამ ბარი ესტუმრება მთას, მთა თავად ჩამოდის ბარში და თავის კულტურას წარუდგენს საზოგადოებას. ამ ღონისძიების მიზანიც სწორედ ეს არის. **"მთის მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო ტურიზმია. სეზონზე აქტიურად მუშაობენ საოჯახო ტიპის სასტუმროები, ასევე დიდია მოთხოვნილება ადგილობრივი წარმოების პროდუქტზე და რეწვის ნიმუშებზე. კომპანია "თებულოტურის" ტურისტებს ადგილობრივი მოსახლეობა უწევს მეგზურობას. რაც შემოსავლის დამატებითი წყაროა. ვფიქრობ, რომ ტურისტების აქტიურობა მთის რეგიონში არა მხოლოდ ეკონომიკის, არამედ ინფრასტრუქტურის განვითარებასაც შეუწყობს ხელს. "თებულოტურის" საშუალებით, ქართული მთის ფოლკლორით დაინტერესდა გერმანელი იულიან რაბიუსი და ერთობლივი ძალებით ხევსურეთის სოფელ მუცოში წავიყვანეთ მთის ფოლკლორული სიმღერების შემსრულებლები, რომლებმაც ბუნებრივ აკუსტიკაში ჩაწერეს ახალი სიმღერები. მათი ალბომების პრეზენტაცია გაზაფხულზე გაიმართება. მანამდე კი მათი მონაწილეობით თბილისში გაიმართება კონცერტი "მთის საჩუქარი ბარს", რაც მთის სეზონის დახურვას მიეძღვნება,"** - ამბობს პაატა ვარდანაშვილი.

მთის სეზონის დახურვის მიუხედავად, "თებულოტური" აქტიურად განაგრძობს ტურისტული მარშრუტების ორგანიზებას საქართველოს ბარში. კომპანია ზამთარში გეგმავს ე.წ. ექსტრემალურ ჯიპ-ტურებს ვაშლოვანის ნაკრძალში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში, კასპისა და ქარელის რაიონებში, იმერეთსა და სხვა რეგიონებში.

საქართველოში ბიზნესმენთა ახალი ქართული გაერთიანება იქმნება

2 ოქტომბერს, 13:30 საათზე, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართება პრეზენტაცია საქართველოში ბიზნესმენთა ახალი გაერთიანების - "საქართველოს ბიზნესასოციაციის" შექმნის ინიციატივის შესახებ.

ბიზნესასოციაციის შექმნის მთავარი მიზანი საქართველოში ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა იქნება. საქართველოს ბიზნესასოციაცია მიზნის მისაღწევად გეგმავს მჭიდროდ ითანამშრომლოს საქართველოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ადგილობრივ და უცხოურ ბიზნესასოციაციებთან, უცხოურ დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან სხვადასხვა ქვეყნებში, დამოუკიდებელ ექსპერტებთან და სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მასმედიასთან.

"საქართველოს ბიზნესასოციაციის საინიციატივო ჯგუფს მიაჩნია, რომ რაც მეტი ბიზნესმენი დაინტერესდება ბიზნესასოციაციის დაფუძნებაში მონაწილეობის მიღებით და მასში გაწევრიანებით, მით უფრო ძლიერი და გავლენიანი გახდება ბიზნესასოციაცია, რაც თავისთავად სასარგებლო იქნება როგორც წევრი ბიზნესორგანიზაციებისთვის, ასევე ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის," - განუცხადეს "ჯი-ეიჩ-ენს" ბიზნესასოციაციაში.

მევენახეებს ჰიბრიდული ჯიშის ყურძენი ვენახებში ულპებათ

კახელ მევენახეებს ჰიბრიდული ჯიშის ყურძენი ვენახებში ულპებათ. მართალია, ჰიბრიდული ჯიშის ყურძნის მიღება გუშინ ყვარლის რაიონში ახალსოფლის ღვინის ქარხანამ დაიწყო, თუმცა სიღნაღის და გურჯაანის რაიონებიდან იქამდე მოსავლის გადატანა იმდენად ძვირი ჯდება, რომ მევენახეები ზარალდებიან.

ერთი კილოგრამი ჰიბრიდული ჯიშის ყურძნის ფასი 18-დან 20 თეთრამდე მერყეობს. ამ ჯიშის ყურძენზე სახელმწიფო არც სუბსიდიას გასცემს. მევენახეების თქმით, 2 ტონამდე ყურძნის თანხა მხოლოდ ტრანსპორტირებას სჭირდება და ვენახის დაკრეფას აზრი აღარ აქვს. დაზუსტებული ინფორმაციით, ახალსოფლის ღვინის ქარხანაში ყურძენს შპს "რთველი - 2008" იღებს. ეს საწარმო ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბალანსზეა, ანუ ყურძნის მიღება საბიუჯეტო თანხებით ხდება. მევენახეები განმარტებას ითხოვენ, რატომ იღებს გურჯაანში მდებარე საწარმო ჰიბრიდული ჯიშის ყურძენს ყვარლის რაიონში, თუ არა იმიტომ, რომ გლეხებმა ყურძენი არ მოკრიფონ.

"რთველი - 2009"-ის საკოორდინაციო შტაბში გლეხების მოთხოვნაზე განმარტებას არ აკეთებენ.

მუნიციპალური ტრანსპორტით უბილეთოდ მგზავრობისთვის დაწესებული ჯარიმა 5 ლარამდე მცირდება

მუნიციპალური ტრანსპორტით უბილეთოდ მგზავრობისთვის დაწესებული ჯარიმა კიდევ შემცირდება და 5 ლარი გახდება.

ეს გადაწყვეტილება გუშინ დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" ცვლილების შეტანის პროექტის მეორე მოსმენით განხილვისას მიიღეს.

ცვლილების მიხედვით თბილისის ტერიტორიაზე პარკირების ადგილას ავტოტრანსპორტის პარკირებისათვის დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე ავტოტრანსპორტის დგომა, 40 ლარის ნაცვლად, 10 ლარით დაჯარიმდება. ხოლო ყველა ის მგზავრი, ვინც საქალაქო ტრანსპორტით უბილეთოდ იმგზავრებს, 5 ლარით დაჯარიმდება.

კანონპროექტის თავდაპირველ ვარიანტში 15-ლარიანი ჯარიმის 10 ლარამდე შემცირება იყო გათვალისწინებული. სესიაზე პირველი მოსმენით განხილვისას კი ითქვა, რომ ეს ჯარიმა კიდევ უფრო მეტად უნდა შემცირებულიყო და დღეს დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე გადაწყდა, რომ ჯარიმა 5 ლარით განისაზღვრება. ასევე, პარკირებისთვის დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე ავტოტრანსპორტის დგომისთვის დაწესებული 40-ლარიანი ჯარიმა კანონპროექტის პირველი ვარიანტით 20 ლარამდე უნდა შემცირებულიყო, კომიტეტის გადაწყვეტილებით კი ეს ჯარიმა 10 ლარამდე შემცირდება.

ცვლილების თანახმად, დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ადგილას 12 საათზე მეტი დროით დგომისას ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი სატრანსპორტო საშუალებას გადაიყვანს სპეციალურ დაცულ სადგომზე, ხოლო პარკირების სხვა წესების დარღვევისას სატრანსპორტო საშუალების გადაყვანა განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეაფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიროებას შეუქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი მელაძის განცხადებით, უცვლელი დარჩა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ წლიური 25-ლარიანი ბარათების მფლობელებს ნებადართულ ადგილზე ავტომანქანის 12 საათით გაჩერების უფლება ექნებათ.

საქართველოში Microsoft Certified Professional (MCP) კლუბი ოფიციალური გაიხსნება

2 ოქტომბერს, 17:30 საათზე "იუ-ჯი-თის" ტრეინინგ ცენტრში გაიმართება საქართველოში Microsoft Certified Professional (MCP) კლუბის ოფიციალური გახსნის ცერემონიალი.

კლუბის პირველი სხდომა ჩატარდება ღია კარის ფორმატში, სადაც მოწვეულია ყველა მსურველი საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი. MCP კლუბის პრეზენტაცია გაიმართება კომპანია იუ-ჯი-თის ტრეინინგ-ცენტრ IT Knowledge-ს ოფისში. იუ-ჯი-თის შვილობილი კომპანია IT Knowledge ერთადერთია საქართველოში, რომელიც Microsoft-ის ავტორიზებული სასწავლო ცენტრის სტატუსის მფლობელია.

საქართველოში პირველი MCP კლუბის შექმნით ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სივრცეში მოღვაწე სპეციალისტებს ეძლევათ შესაძლებლობა, შეიკრიბონ და მიიღონ ინფორმაცია Microsoft-ის ტექნოლოგიურ და საპროდუქტო სიახლეებზე, გაიზიარონ კოლეგების მიერ დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება. ამ სფეროში მოღვაწე სპეციალისტებმა უკეთ გაიცნონ ერთმანეთი და წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები.

MCP კლუბი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არსებობს. საქართველოში Microsoft Certified Professional კლუბის შეკრებებს უზრუნველყოფს კომპანია High-Tech Solutions, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს: აიტი კონსალტინგს, აუთსორსინგს და ჰოსტინგს. MCP კლუბის პერმანენტული შეხვედრები კი გაიმართება კომპანია იუ-ჯი-თის ტრეინინგ-ცენტრ IT Knowledge-ს ოფისში.

MCP კლუბს აქვს წამახალისებელი პროგრამა. კლუბის წევრებს საინტერესო თემების წარმოდგენისთვის სხვადასხვა ტიპის საჩუქრები გადაეცემათ.

საერთაშორისო კონფერენცია თბილისში

"თბილისი მერიოტში" იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და პოლონეთის მოსამართლეთა და პროკურორთა ნაციონალური სკოლის ინიციატივით მომზადებული საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა. კონფერენციას ესწრებოდნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელორუსის, მოლდოვას, უკრაინის, პოლონეთისა და საქართველოს მოსამართლეთა და პროკურატურის სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლები. კონფერენცია მიზნად ისახავს, აღნიშნულ დაწესებულებათა შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლას და მომავალი თანამშრომლობის დაგეგმვას.

კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს მოსამართლეთა სწავლების მნიშვნელობა, სასწავლო პროგრამების დაგეგმვა და მიზნები, ტრენერების შერჩევის საკითხები, სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება. კონფერენცია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა გახსნა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მნიშვნელობასა და უკვე განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა.

"ჩვენ დღეს ვიმსჯელებთ მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლების იმ პროექტებზე, რომელიც არსებობს სხვა ქვეყნების სასამართლოებში, თუმცა, აქვე სიამოვნებით აღვნიშნავ იმასაც, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლას უკვე აქვს ისეთი გამოცდილება, რომელიც სხვა ქვეყნებისთვისაც საინტერესო იქნება. ვფიქრობ, სავსებით სამართლიანი იქნება შეფასებაც, რომ მოსამართლეების შერჩევის, სწავლების, მომზადებისა და დანიშვნის სრულიად ახალ სისტემაზე გადასვლა, სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ნაბიჯია," - განაცხადა კონსტანტინე კუბლაშვილმა

საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ევროკომისიის (TAIEX) მიერ იყო ორგანიზებული 2 ოქტომბერს დასრულდება.

ინტერპრესნიუსი

გაუგებრობები ადვოკატთა ასოციაციაში

ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლებმა უთანხმოების გარკვევა პარლამენტში სცადეს. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში ადვოკატები ერთმანეთს მწვავედ დაუპირისპირდნენ.

კომიტეტს "ადვოკატთა შესახებ" კანონში ცვლილებები უნდა განეხილა, რომელიც ადვოკატთა ასოციაციის მიერ არის მომზადებული, თუმცა როგორც გაირკვა, ადვოკატთა ასოციაციის სახელით და ერთი და იმავე ბლანკით პარლამენტში ორი სხვადასხვა წერილია შესული. ადვოკატთა ერთი ნაწილი ეთანხმება კანონში ცვლილებებს, მეორე კი - არა.

კერძოდ, ასოციაციაში პრობლემებია ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით. ასოციაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა სვანიძეა და ასოციაციის თავმჯდომარე კი - კახა ასლანიშვილი.

კომიტეტის სხდომაზე კანონპროექტი გოჩა სვანიძემ წარმოადგინა, რის შემდეგაც ცნობილი გახდა, რომ კახა ასლანიშვილმაც გაგზავნა კომიტეტში წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ "ადვოკატთა შესახებ კანონში" ცვლილებები არ გამოხატავს ადვოკატთა პროფესიული საზოგადოების ნებას და წარმოდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არა აქვს ადვოკატთა ასოციაციის სახელით მოქმედების უფლება.

იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა ასოციაციის წარმომადგენლებს მოუწოდა, რომ შიდა საქმეები თავად გაარკვიონ და შეჯერებულ პოზიციამდე მივიდნენ. კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ კანონპროექტის ინიცირება დაიწყოს, ხოლო "ვინ საუბრობს ასოციაციის სახელით", ეს ასოციაციამ თავად უნდა გაარკვიოს. გუშინვე გაირკვა, რომ ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელს ხელფასის უკანონოდ აღებას ედავებიან. ასოციაციის ხელმძღანელს კახა ასლანიშვილს ამავე ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი ზაზა ხატიაშვილი 50 ათასი ლარის დაბრუნებას სთხოვს.

როგორც ზაზა ხატიაშვილი განმარტავს, ასლანიშვილმა 50 ათასი ლარი ხელფასის სახით მიიღო, ვიდრე აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნებოდა. მისივე თქმით, თანხის დაბრუნების მოთხოვნით, პრიდადად შეიტანა განაცხადი ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოში და იმავდროულად, მიიწვია აუდიტი, რომელმაც შესაბამისი დასკვნაც მოამზადა.

ხატიაშვილის პრეტენზიებს არ იზიარებს კახა ასლანიშვილი და როგორც აცხადებს, ხატიაშვილი უაპელაციოდ უვრცელებს ბრალდებებს.

"აუდიტის დასკვნა სახეზეა, სადაც წერია, რომ არანაირი დარღვევა არ არის," - აღნიშნა კახა ასლანიშვილმა და განაცხადა, რომ აიღო ყოველთვიური ხელფასი 5 ათასი ლარი და გადაიხადა საშემოსავლოც.

როგორც გაირკვა, ხელფასის გარდა, ადვოკატებს შორის სხვა საკითხზეც არის დაპირსპირება. როგორც ხატიაშვილი აცხადებს, ასლანიშვილმა ერთი წლის განმავლობაში ასოციაცია ისე დატოვა, რომ ხელმძღვანელობა არავის არ გადააბარა, რაც, მისი მტკიცებით, სამართალდარღვევაა.

კახა ასლანიშვილი კი ამბობს, რომ აშშ-ში სასწავლებლად იყო, ასოციაციის თავმჯდომარის მოვალეობას კი გოჩა სვანიძე ასრულებდა. 2009 წლის 6 აგვისტოდან კი რაც საქართველოში დაბრუნდა, უკვე თავად ასრულებს ამ უფლებამოსილებას.

ინტერპრესნიუსი

"უდოს" ახალი კომისიის პირველი შედეგები

თამარ კაკიტაძე

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლების, ე.წ. "უდოს" განახლებულმა კომისიამ პირობით ვადამდე განთავისუფლების თაობაზე 72 მსჯავრდებულის შუამდგომლობა განიხილა. განხილვის შედეგად, კომისიამ 18 მსჯავრდებულის პირობით ვადამდე განთავისუფლების საკითხზე სასამართლოს წარდგინებით მიმართა. დანარჩენ მსჯავრდებულებთან დაკავშირებით კომისიამ ჩათვალა, რომ ამ ეტაპზე მათი განცხადებები არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2006 წელს ვადაზე ადრე გათავისუფლების პრინციპით გათავისუფლდა 56 პატიმარი, 2007 წელს ეს ციფრი 279-მდე გაიზარდა, 2008 წელს კი 1055-ს მიაღწია. თუმცა, ამავე სტატისტიკის თანახმად, მიმდინარე წლის იანვარში გათავისუფლდა ორი პატიმარი, თებერვალში - 59, მარტში - 179, აპრილში კი - 25.

მიუხედავად ოფიციალურად დასახელებული ციფრებისა, ბოლო წლების განმავლობაში არასამთავრობო სექტორის და თავად პატიმრების მხრიდან ხშირად ისმოდა საყვედურები, რომ ქვეყანაში ე.წ. უდოს მექანიზმით პატიმართა გათავისუფლება არ ხდება. არადა, მსჯავრდებულთა ამ გზით გათავისუფლება კანონით იყო სავალდებულო. სწორედ "უდოს" უმოქმედობით იხსნებოდა ციხეების გადატვირთულობაც. საბოლოოდ კი, საყვედურის ადრესატი მაშინდელi სასჯელაღსრულების დეპარტამენტიs ხელმძღვანელობა იყო. კანონით, სწორედ მას უნდა გაეწია რეკომენდაცია პატიმრებისთვის, ვისაც ვადაზე ადრე გათავისუფლება ეხებოდა.

"პატიმართა კოდექსის" 37-ე მუხლში წერია, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა:

ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის - თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის არანაკლებ სამი მეოთხედი. კანონით "უდო" ეხება იმ პირებსაც, რომლებიც ადრეც იყვნენ ვადამდე გათავისუფლებულები, თუმცა, ამ შემთხვევაში მათ მოხდილი უნდა ჰქონოდათ სასჯელის სამი მეოთხედი.

რაც შეეხებთა არასრულწლოვან მსჯავრდებულებს, მათი პირობით ვადამდე გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა

ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის ვადის ერთი მესამედი,

მძიმე დანაშაულისათვის სასჯელის ნახევარი, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის პატიმრობის ორი მესამედი. ამასთან მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცდახუთი წელი.

პირობით ვადამდე გათავისუფლებული მსჯავრდებულის ყოფაქცევის კონტროლს ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პრობაციის სამსახური, ხოლო სამხედრო მოსამსახურის ყოფაქცევისა - სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა.

კანონით, თუ მსჯავრდებულმა, სასჯელის მოუხდელ ვადაში სისტემატურად ან უხეშად თავი აარიდა პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას ან ჩაიდინა დანაშაული, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ გაუქმდეს პირობით ვადამდე გათავისუფლება და აღსრულდეს სასჯელის მოუხდელი ნაწილი.

კანონით, პატიმრათა ვადაზე ადრე გათავისუფლების რეკომენდაციით სასამართლოს სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლები მიმართავდნენ, თუმცა, მომჩივანთა თქმით, წლების განმავლობაში ციხეების ზედამხედველები თავისუფლების ვიზას აძლევდნენ არა მათ, ვისაც ეს კანონით ეხებოდა, არამედ, იმათ, ვინც დაიმსახურებდა.

სწორედ ამ ყბადაღებული თემის გამო მიმდინარე წლის სექტემბერში "პატიმართა კოდექსში" ცვილებები შევიდა და პარლამენტმა ვადაზე ადრე გათავისუფლების მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობა შეცვალა.

ახალი შემადგენლობით, ვადაზე ადრე გათავისუფლების ცხრაკაციანი კომისია სამინისტროს ექვსი, პარლამენტის ორი (ერთი უმრავლესობიდან და ერთი უმცირესობიდან) და არასამთავრობო სექტორის ერთი წარმომადგენლისგან შედგება.

კომისიის თავმჯდომარეა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილე ლევან ზარანდია. სამინისტროს კომისიაში კიდევ ექვსი წარმომადგენელი ჰყავს. პარლამენტის ქვოტით კომისიის შემადგენლობაში უმრავლესობიდან - გია არსენიშვილი, ხოლო უმცირესობიდან დიმიტრი ლორთქიფანიძე და არასამთავრობო სექტორის წარმომადგელელი ნინო მესტუმრიშვილი შევიდნენ. წევრები როტაციის პრინციპით სამ თვეში შეიცვლებიან.

სწორედ კომისიის ამ შემადგენლობამ განიხილა 72 მსჯავრდებულის საქმე და სასამართლოს მხოლოდ იმ 18 პატიმრის საია მიაწოდა, ვისაც რეკომენდაციას ისევ სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორები უწევდნენ.

როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში ირწმუნებიან, ახალმა კომისიამ გამჭვირვალედ და ორი მთავარი პრინციპის გათვალისწინებით იმუშავა - პატიმართა უფლებებისა და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის გათვალისწინებით.

შერჩეულ პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლებას კომიის ყველა წევრმა დაუჭირა მხარი, გარდა საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელის დიმირი ლორთქიფანიძისა. თუმცა, დეპუტატი კომისიის მუშაობას მთლიანობაში წარმატებულად აფასებს. მისი თქმით, ამჯერად "უდო" პატიმართა თითქმის 25 პროცენტს შეეხო, რაც აშკარა პროგრესია, რადგან ადრინდელი მონაცემებით, ვადაზე ადრე გათავისუფლების პრინციპით საპატიმროებს 100-დან მხოლოდ 3-4 პატიმარი თუ ტოვებდა.

"პირველ რიგში, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმის გაცნობა, რა ტაქტიკით ხელმძღვანელობს თავად სასჯელაღსრულების დეპარტამენტი "უდოს" კომისიის საქმიანობისას. მიუხედავად იმისა, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიმიღია, ვთვლი, რომ კომისიამ შედეგიანად იმუშავა. მე, პირადად, კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი წინადადება მქონდა, მათ შორის რეკომენდაციის სახით, რომელიც ყველა წევრმა, მათ შორის კომისიის თავმჯდომარე ლევან ზარანდიამაც გაიზიარა.

კომისიის სხდომაზე, წარსულში როგორც იყო მიღებული, წარმოდგენილი იყო, ამონაწერი პატიმართა დახასიათებიდან, რომელსაც დაწესებულების დირექტორი აწერდა ხელს. ჩემი მოთხოვნა კი იყო, კომისიას წარედგინოს პატიმრის მთლიანი დახასიათება ციხეში ყოფნის პერიოდში, რათა გაირკვეს დინამიკაში საით მიემართება მისი რესოციალიზაცია - პოზიტივისკენ თუ ნეგატივისკენ. ამასთან, მოვითხოვე კომისიაში შემოსულიყო, ის შესაძლო შემასუბუქებელი გარემოებები, რომელიც შეიძლება პატიმარის ვადაზე ადრე გათავისუფლების საფუძველი გახდეს. მაგალითად, ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობის შესახებ, სოციალური სტატუსი და ასე შემდეგ. ამ დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენის შემდეგ, შეიძლება, გვქონდეს სრული წარმოდგენა, ღირსია თუ არა იგი გაიცეს რეკომენდაცია სასამართლოს წინაშე," - განაცხადა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

დეპუტატის თქმით, კომისიის ყველა წევრმა გაიზიარა მისი რეკომენდაციები და შემდეგ სხდომაზე, რომელიც სავარაუდოდ, 30 ოქტომბერს შეიკრიბება, პატიმართა საქმეები სწორედ ამ მოთხოვნის მიხედვით გადაიგზავნება.

ერთი სიტყვით, ვადაზე ადრე გათავისუფლების ახალი კომისიის პირველი სხდომა შედგა და სასამართლოს 18 პატიმრის გათავისუფლებაზე რეკომენდაციაც გაეგზავნა. იმ პატიმრებს კი ვისაც ამჯერად არ გაუმართლა, 6 თვეში კვლავ ექნებათ კომისიისთვის მიმართვის უფლება.

პარკირების ახალი სისტემა და შემცირებული ჯარიმები

თბილისში პარკირების ახალი სისტემა უკვე ამოქმედდა. დედაქალაქში პარკირებაზე ზედამხედველობასა და კონტროლს მერია განახორციელებს. ახალი წესების მიხედვით, წლიური 25-ლარიანი ბარათების მფლობელებს ნებადართულ ადგილზე ავტომანქანის 12 საათით გაჩერების უფლება ექნებათ.

ავტომფლობელებს თანხის გადახდა "საქართველოს ბანკის", "თიბისი ბანკსა" და "სახალხო ბანკის" ნებისმიერ ფილიალში, ასევე, ინტერნეტითა და სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით შეეძლებათ. პარკირების საფასურის გადახდის შემდეგ ავტომობილის ნომერი შეყვანილი იქნება საერთო ბაზაში და პარკირების ადგილებში დგომისას ავტომანქანის მფლობელი აღარ დაჯარიმდება.

ახალი სისტემის პრეზენტაციას თბილისის მერი გიგი უგულავა "სახალხო ბანკის" სათაო ოფისში დაესწრო და პარკირების საფასური ერთ-ერთმა პირველმა გადაიხადა.

დედაქალაქის მერის განცხადებით, შემცირებულია არასწორი პარკირებისთვის ჯარიმის ოდენობაც. ცვლილების მიხედვით, პარკირების ადგილას ავტოტრანსპორტის დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე გაჩერების გამო მოქალაქე 40 ლარის ნაცვლად 10 ლარით დაჯარიმდება.

"დაჯარიმება ბიუჯეტის შევსების წყაროა და პანაცეა არ არის. მთავარია, თბილისი საცობებისგან მინიმუმამდე იყოს განტვირთული. "სითი პარკის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს და თუ კომპანია ახალ წესებს დაექვემდებარება, დედაქალაქში პარკირების ადმინისტრირებას გააგრძელებს," - აღნიშნა თბილისის მერმა.

როგორც გაირკვა, ამ ეტაპზე მერიის მიერ მხოლოდ ერთნლიანი პარკირების ტარიფია დადგენილი. დედაქალაქის მერის განცხადებით, ავტომანქანების უსაფრთხოებასა და დაცულობაზე საპატრულო პოლიცია იზრუნებს.

დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ადგილას 12 საათზე მეტი დროით დგომისას ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი სატრანსპორტო საშუალებას გადაიყვანს სპეციალურ დაცულ სადგომზე, ხოლო პარკირების სხვა წესების დარღვევისას სატრანსპორტო საშუალების გადაყვანა განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეაფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას შეუქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას.

თბილისში ავტომობილების პარკირების ახალი წესების შემოღებას უკავშირდება "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" შესატანი ცვლილებების პაკეტი, რომელიც პარლამნეტმა გუშინ უკვე მიიღო პირველი მოსმენით. პროექტის თანახმად,

საქალაქო ტრანსპორტით უბილეთოდ მგზავრობისთვის მოქალაქეები 15 ლარის ნაცვლად 5 ლარით დაჯარიმდებიან. თავდაპირველად, უბილეთოდ მგზავრობისთვის დაწესებული 15-ლარიანი ჯარიმის 10 ლარამდე შემცირება იგეგმებოდა, თუმცა, საბოლოოდ, ჯარიმის ოდენობის 5 ლარამდე შემცირება გადაწყდა.

საკუთარი ინფორმაცია

ძლიერი მიწისძვრა სუმატრაზე

ინდონეზიის ქალაქ პადანგში სამაშველო ოპერაციების შედეგად 1100-ზე მეტი ცხედარია ნაპოვნი. მიწისქვეშა ბიძგებმა ასობით შენობა ჩამოანგრია. ხელისუფლება დაღუპულთა რიცხვის ზრდას არ გამორიცხავს. დაშავებულია დაახლოებით 2500 კაცი, აქედან 290 მძიმე მდგომარეობაშია.

30 სექტემბერს სუმატრაზე მიწისძვრის პირველი ბიძგი დაფიქსირდა, რომლის სიმძლავრე რიხტერის სკალით 7,6 ბალი იყო და დასავლეთ სუმატრას პროვინციის მთავარ ქალაქ პადანგში მასობრივი ნგრევა გამოიწვია. მიწისქვეშა ბიძგი 24 საათში განმეორდა, ამჟამად 7 ბალის სიმძლავრის, რამაც მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა.

ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, პადანგში დანგრეულია ასობით შენობა - საცხოვრებელი სახლები, დაწესებულებები, სასტუმროები, საავადმყოფოები, საბავშვო ბაღები, სკოლები და ხიდები, ბოლო მონაცემებით ქალაქიის 75% პროცენტი. ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებების მიხედვით, პადანგის აეროპორტს ჩამონგრეული აქვს სახურავი. წყლის მილების გასკდომის შედეგად ქუჩები წყლით დაიტბორა. დაზიანდა ენერგომიწოდების სისტემა. ქალაქთან გაწყვეტილია კავშირი. სამაშველო სამსახურების წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ გარდაცვლილთა რიცხვმა შეესაძლოა 1000-ს გადააჭარბოს. პადანგის მოსახლეობა სულ 900 ათას კაცს შეადგენს.

ეს მიწისძვრა თავისი ძალით 2006 წელს იავაზე მომხდარ მიწისძვრას შეადარეს, როდესაც 6 ათას კაცამდე დაიღუპა და 150 ათასი სახლი დაინგრა. მიწისძვრის ბიძგები ისეთი ძლიერი იყო, ქუჩაში მყოფ ადამიანებს მიწაზე დაჯდომა უწევდათ, რომ არ წაქცეულიყვნენ. მიწისძვრა მეზობელ ქვეყნებშიც იგრძნეს. 440 კილომეტრით დაშორებულ სინგაპურში მაღალი შენობებიდან ხალხი გამოიყვანეს. ცათამბჯენები მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურშიც შეირყა.

პადანგი სეისმურად ძალიან აქტურ რაიონში მდებარეობს. ინდონეზიელმა სეისმოლოგებმა არერთხელ გააფრთხილეს ხალხი, რომ ამ საშიშროების გამო ქალაქი შესაძლოა მთლიანად განადგურდეს.

როგორც თვითმხილველები ჰყვებიან, დახმარების მოლოდინში მოსახლეობა გადარჩენილთა მოსაძებნად ხერგილების გაწმენდას შიშველი ხელებით ცდილობს.

ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრ სიტი ფადილა სუპარის სიტყვებით, ბოლო წლების განმავლობაში ეს ინდონეზიაში მომხდარი ყველაზე საშინელი სტიქიური უბედურებაა. ხელისუფლებს აზრით, ბოლო მიწისძვრის შედეგი, შესაძლოა 2006 წელს ჯაკარტაში მომხდარი მიწისძვრის შედეგზე მძიმე იყოს.

აღნიშნულ მიწისძვრამდე რამდენიმე საათით ადრე სხვა მიწისქვეშა ბიძგმა ცუნამი გამოიწვია, რომელიც წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში სამოას კუნძულებს დაატყდა და 100-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. თუმცა სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მანძილის სიშორის გამო ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან კავშირში არ არის.

საერთოდ ინდონეზია პლანეტის ყველაზე აქტიურ სეისმურ ზონაში მდებარეობს და ე.წ. წყნარი ოკეანის ცეცხლოვანი წრის - მძლავრი ტექტონიკური ნარღვევის ნაწილია. იქ წელიწადში, დაახლოებით, 7 ათასი მიწისძვრა ფიქსირდება, რომელთა სიმძლავრეც რიხტერის სკალით, საშუალოდ, 4 ბალს აღემატება ხოლმე.

მოამზადა თამთა კახაძემ

დიდი ბრიტანეთის იუსტიციის მინისტრი თაღლითთა მსხვერპლი გახდა

დიდი ბრიტანეთის იუსტიციის მინისტრი ჯეკ სტრო ნიგერიელ თაღლით-გამომძალველთა მსხვერპლი გახდა. უფრო ზუსტად, დამნაშავეები მინისტრის სახელით აგზავნიდნენ ელექტრონულ შეტყობინებებს და ფულად დახმარებას ითხოვდნენ.

დიდი ბრიტანეთის იუსტიციის მინისტრი ჯეკ სტრო

კიბერთაღლითთა მიერ სტროს სახელით წერილები იგზავნებოდა მინისტრის ელექტრონულ ფოსტაში საკონტაქტო სიაში შეყვანილ მისამართებზე. წერილში ნათქვამი იყო, რომ აფრიკაში საქველმოქმედო ვიზიტისას მინისტრმა დაკარგა საფულე და სახლში - დიდ ბრიტანეთში დასაბრუნებლად ესაჭიროებოდა 3,5 ათასი დოლარი.

ბრიტანულ გაზეთ Lancashire Telegraph-ისთვის მიცემულ ინტერვიუში იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ მის პირად ტელეფონზე ყოველდღიურად ასობით ზარი შედიოდა და ზარის ავტორები ეკითხებოდნენ, მართლაც ნიგერიაშია თუ არა ის და მართლაც ესაჭიროება თუ არა ფულადი დახმარება.

მინისტრის თქმით, ბოროტმოქმედებმა ქალაქ ბლეკბერნში გატეხეს მისი პირად კომპიუტერი და მოახერხეს პირადი კოდის გაშიფვრა, რისი გამოყენებითაც დააგზავნეს წერილები ფულადი დახმარების მოთხოვნით.

Lancashire Telegraph-ს დიდი ბრიტანეთის იუსტიციის მინისტრმა განუცხადა, რომ **"უამრავი მიმართულებით ინტერნეტი არაჩვეულებრივი საშუალებაა, თუმცა პროფესიონალი დამნაშავეებისთვის ფულის შოვნის საუკეთესო საშუალებად იქცა. არადა, ჩემს შემთხვევაში სასაცილოა იმის დაჯერება, რომ წავედი აფრიკაში საქველმოქმედო ღონისძებაზე, დავკარგე საფულე და ვითხოვე ფულადი დახმარება სახლში დასაბრუნებლად. თუმცა, თაღლითთა ამ სატყუარას უამრავი ადამიანი წამოეგო,"** - განაცხადა მინისტრმა.

გამოცემის ინფორმაციით, ჯერჯერობით უცნობია დაეხმარა თუ არა ვინმე აფრიკაში "დაზარალებულ" მინისტრს. როგორც გამოცემა აცხადებს, მისთვის მიცემულ ინტერვიუში დიდი ბრიტანეთის მინისტრს არ უსაუბრია მიღებული შემოწირულობების თაობაზე.

თაღლითთა მიერ ბრიტანელი მაღალჩინოსნებისთვის სტროს სახელით გაგზავნილ წერილში ნათქვამი იყო, რომ დიდი ბრიტანეთის იუსტიციის მინისტრი აფრიკაში იმყოფებოდა აქციის "ახალგაზრდობის რასიზმზე გამარჯვება" დახმარების მიზნით. წერილის მიხედვით, მინისტრი იმყოფებოდა ნიგერიის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ქალაქში - ლაგოსში.

"როდესაც მივდიოდი სასტუმროში, აღმოვაჩინე, რომ საფულე აღარ მქონდა, გთხოვთ, დამეხმაროთ," - ნათქვამი იყო თაღლითების მიერ გაგზავნილ წერილში.

გამოცემის დაუზუსტებელი ინფორმაციით, თაღლითების მიერ მითითებულ მინისტრის "პირად ანგარიშზე" დახმარება - 10 ათას დოლარზე მეტი დაჯდა. სკოტლენდიარდისთვის ჯერჯერობით უცნობია ვინ დაგეგმა და განახორციელა თაღლითური ოპერაცია დიდი ბრიტანეთის იუსტიციის მინისტრის წინააღდეგ.

ფილიპინებს ახალი ტაიფუნი "პარმა" უახლოვდება

ფილიპინები სტიქიის ახალ შემოტევას ელოდება. ამ ქვეყნის ნაპირებს ტროპიკული ტაიფუნი "პარმა" უახლოვდება. ის წყნარ ოკეანეში წარმოიქმნა და მეცნიერთა განცხადებით, ფილიპინების მიმართულებით210 კილომეტრი საათში სისწრაფით მიემართება. სპეციალისტთა განცხადებით, 3 ოქტომბრისთვის ტაიფუნი უკვე მიაღწევს ფილიპინების სანაპიროს. წინა ტაიფუნმა "კეტსანამ", რომელიც აღმოსავლეთ-სამხრეთ აზიის ქვეყნებს დაატყდა, 383 ადამიანი შეიწირა. ტაილანდში, ვიეტნამში, კამბოჯასა და ფილიპინებში მილიონამდე ადამიანის ევაკუირება მოხდა. ფილიპინელი ჩინოვნიკების განცხადებით, ისინი უკვე ემზადებიან მოსახლეობის სასწრაფო ევაკუაციისთვის იმ რეგიონებიდან, რომლებსაც საფრთხე ემუქრებათ. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ შეიძლება "პარმა" უფრო ძლიერი აღმოჩდეს. მას შეიძლება უფრო ცოტა ნალექი მოჰყვეს, მაგრამ ძლიერი ქარები უფრო მეტ ნგრევას მოიტანენ, ვიდრე ეს "კეტსანამ" შეძლო. იმის იმედიც არის, რომ ტაიფუნი ფილიპინების კუნძულებს გვერდს აუვლის. ოფიციალური მონაცემებით, "კეტსანას" შემოტევისას 277 ადამიანი დაიღუპა, 42 უგზო-უკვლოდ დაიკარგა, 375 ათასი ადამიანი კი საცხოვრებელი სახლის გარეშე დარჩა. მარტო ფილიპინებში 2,5 მილიონი ადამიანი დაზარალდა.

კამბოჯაში და ცენტრალურ ვიეტნამში ბოლო ათი წლის განმავლობაში ყველაზე დიდმა ტაიფუნმა მოსახლეობა იძულებული გახადა, ორ მთიან რეგიონში გახიზნულიყო. ოფიციალური მონაცემებითმ ვიეტნამში 92 ადამიანი გარდაიცვალა.

წყნარი ოკეანის ამ ნაწილში ტაიფუნები მთელი წლის განმავლობაში წარმოიქმნება. მათ შორის ყველაზე ძლიერები - აგვისტოდან და ნოემბრამდე. აგვისტოს დასაწყისში ტაიფუნმა "მორაკოტმა" 46 ადამიანი იმსხვერპლა.

სომალის ისლამურ დაჯგუფებებს შორის შეტაკება მოხდა

დაპირისპირებული ისლამისტური დაჯგუფებები "ხიზბ ალ-ისლამ" და "აშ-შაბაბი" სომალის სამხრეთში ფართომასშტაბიან ბრძოლებს აწარმოებენ, რათა პორტ კისმაიოზე კონტროლის უფლება მოიპოვონ. "ბი-ბი-სი"-ს კორესპონდენტის განცხადებით, ასობით მშვიდობიანი მოქალაქე იძულებულია, საცხოვრებელი სახლები დატოვოს და თავს გაქცევით უშველოს.

ტაჯიკეთის პრეზიდენტი ოჯახის წევრებს აწინაურებს

ორი დღის წინ ტაჯიკეთის პრეზიდენტმა ემამოლი რახმონოვმა თავისი ქალიშვილი ოზოდა რახმონი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშნა.

2007 წლიდან ოზოდა რახმონი საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო სამმართველოს ხელმძღვანელობდა. მისი ქმარი ჯამოლიდინ ნურალიევი კი ფინანსთა მინისტრის მოადგილეა.

პრეზიდენტს სულ 7 ქალიშვილი და 2 ვაჟი ჰყავს. მისი ერთ-ერთი შვილი რუსტამ ემომალი ტაჯიკ ახალგაზრდათა კავშირის (კომკავშირის სამართალმემკვიდრე) თავმჯდომარის მოადგილედ არის "არჩეული". ტაჯიკ ახალგაზრდათა კავშირი პოლიტიკური ორგანიზაციაა და ტაჯიკური კანონებით მას პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს. გამორიცხული არ არის, ტაჯიკეთი ცენტრალური აზიის იმ სახელმწიფოთა რიცხვს შეურთდეს, სადაც ხელისუფლება მამიდან შვილზე გადადის. ასეთი დანიშვნები ცენტრალური აზიის რეგიონისთვის სულაც არ არის უჩვეულო. იქ მნიშვნელოვან თანამდებობებზე შვილებისა და ნათესავების დანიშვნა ტრადიციად გადაიქცა. მაგალითად, მეზობელ უზბეკეთში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა პრეზიდენტ ისლამ კარიმოვის ქალიშვილ გულნარას უკავია. ყაზახეთის პრეზიდენტ ნაზარბაევის ერთ-ერთ შემცვლელადაც მისი ქალიშვილი მოიაზრება.

ასეთ პრაქტიკას ადგილობრივი ანალიტიკოსებიც არ აღიქვამენ განსაკუთრებულ ტრაგედიად. მაგალითად პარვიზა მულოჯანოვას აზრით, "ყველა მშობელს სურს, თავისი შვილი რაც შეიძლება უზრუნველყოს. ასე ფიქრობენ პრეზიდენტებიც. არ არის გამორიცხული უახლოეს მომავალში პრეზიდენტის ქალიშვილის "დაწინაურება". ექსპერტები იქვე გამოთქვამენ თავიანთ "მოკრძალებულ" აზრს, რომ კარგი იქნებოდა თანამდებობები კომპეტენტურმა ადამიანებმა დაიკავონ და არა ახლობლებმა და ნათესავებმა. პრეზიდენტის ვაჟს ჯერ პოლიტიკური აქტიურობა არ გამოუვლენია. იგი ცნობილია, როგორც ფეხბურთის აქტიური ქომაგი და სპორტული მანქანების მოყვარული. თუმცა ის ჯერ მხოლოდ 22 წლის არის და კიდევ აქვს დრო. ემამოლი რახმონოვს 2013 წელს მორიგი ვადით - 7 წლით აქვს პრეზიდენტის სავარძლის დაკავების შანსი.

გერმანია ევროკავშირში თურქეთის მიღების წინააღმდეგია

პირველი გვერდიდან

თურქეთი ევროკავშირში შესვლას თითქმის ორი ათეული წელია, ცდილობს. ამ საკითხზე ოფიციალურ მოლაპარაკებებს 2005 წლიდან აწარმოებს - იმ დროიდან, როდესაც კვიპროსის სადავო საკითხზე კომპრომისის მიღწევა მოხერხდა. თურქეთისგან კვიპროსის ოფიციალურ ცნობას მოითხოვენ. თურქეთი კუნძულ კვიპროსის თურქულ ნაწილში არსებულ ჩრდილოეთ კვიპროსის რესპუბლიკას უჭერს მხარს. იქ თურქეთის ჯარი დგას.

ბრიუსელში მიმდინარე დაძაბული დისკუსიების შემდეგ თურქეთის ხელისუფლება დათანხმდა, რომ კვიპროსის ბერძნულ და თურქულ თემებს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციას ხელს შეუწყობდა და ამის შესახებ ოფიციალური განცხადებაც გააკეთა. მაგრამ პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა ისიც განაცხადა, რომ ეს არ ნიშნავს თურქეთის მიერ ნიქოზიის მთავრობის ოფიციალურ აღიარებას.

გერმანიის ყოფილი კანცლერი გერჰარდ შრიოდერი მიიჩნევდა, რომ თურქეთის უარი - ეცნო კვიპროსი, რომელიც 2004 წელს უკვე ევროკავშირის წევრი გახდა, ერთადერთი დაბრკოლებაა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე. თუმცა არის სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებიც. როგორც ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზუ აღნიშნავს, თურქეთში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხში ჯერ კიდევ არსებობს ხარვეზები. ასევე ანკარა დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებასაც არ ჩქარობს.

თურქეთთან მოლაპარაკებების დაწყების შესახებ ევროკავშირის გადაწყვეტილება ადვილად მისაღები არ ყოფილა, - აცხადებენ დიპლომატები: ევროკავშირის ხელმძღვანელობას მათ ორგანიზაციაში თურქეთის მიღების შესაძლებლობაზე ერთი აზრი არა აქვს. საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანას ევროპელები არ ჩქარობენ. ევროკავშირი არც იმის გარანტიას იძლევა, რომ მათი პასუხი აუცილებლად დადებითი იქნება.

თურქეთისთვის, რომელიც სამხედრო გადატრიალებებშია ჩაფლული, ევროკავშირში შესვლა არა მარტო ცხოვრების დონის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს, არამედ დემოკრატიის განმტკიცების წინაპირობაც არის. მეორე მხრივ, თურქეთის მიღების შემთხვევაში ევროკავშირი თავის საზღვრებს აფართოებს ისეთ ქვეყნებამდე, როგორებიც არის რუსეთი, ირანი, ერაყი და სირია. ახლო აღმოსავლეთი კი მსოფლიოში ყველაზე არასტაბილურ ზონას წარმოადგენს.

ეკონომიკური ასპექტიც არსებობს. თურქეთის ექსპორტის ნახევარზე მეტი ევროპის ქვეყნებზე მოდის, მაგრამ უკრაინისგან განსხვავებით, რომელიც ევროპულ ოჯახში შესასვლელად ასევე ისწრაფვის, მუსლიმური თურქეთი ევროპის ქვეყნებში შიშს იწვევს.

სკეპტიკოსები მიიჩნევენ, რომ ღარიბი და მოსახლეობის მხრივ სწრაფად მზარდი მუსლიმური ქვეყნისთვის კარის გაღებით ევროკავშირი დე ფაქტო მთლიანად შეცვლის თავის ევროპულ და ქრისტიანულ სახეს. ძველი სამყაროს მოსახლეობის უმრავლესობა კი დარწმუნებული არ არის, რომ ეროვნულ და რელიგიურ საზღვრებმოშლილ საზოგადოებაში სურთ ცხოვრება.

ირანთან ურთულესი მოლაპარაკებები დაიწყო

ივა ჭილაკაძე

გუშინ "ექვსეულის" (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, რუსეთი, გერმანია) წარმომადგენლებმა ჟენევაში ირანთან მოლაპარაკებები დაიწყეს. მოლაპარაკებების დაწყების შესახებ განცხადება გააკეთა ამ პროცესის უშუალო ხელმძღვანელის, საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელ ხავიერ სოლანას პრესმდივანმა კრისტინა გალახმა.

შეხვედრის წინ "ექვსეულის" წარმომადგენლები სამუშაო ატმოსფეროს შექმნას შეეცადნენ და მოლაპარაკებების წარმატებით დამთავრების იმედი ფრთხილი და დიპლომატიური ფორმულირებებით გამოთქვეს, თუმცა ყველა მხარე აღნიშნავს, რომ ძალიან რთული და შრომატევადი პროცესი იწყება და შეიძლება მოლაპარაკებები პერმანენტულ რეჟიმში დიდხანს გაგრძელდეს. დასავლეთმა ამ ეტაპზე დიპლომატიას მიანიჭა უპირატესობა მიუხედავად ირანის პროვოკაციებისა, რომელმაც შეხვედრების დაგეგმვის შემდეგ ურანის გამამდიდრებელი მეორე ქარხნის არსებობის შესახებ გააკეთა განცხადება (თან ურცხვად განმარტა, რომ თურმე ამის შესახებ "მაგატეს" 18 თვის წინ გაუგზავნა შეტყობინება) და წინა შაბათ-კვირას სამხედრო სწავლებების დროს სხვადასხვა სიმორის რაკეტებიც გამოსცადა.

ოფიციალური პირები (ქვეყნები შეხვედრაზე, ძირითადად, საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა დონეზე არიან წარმოდგენილნი) და ექსპერტებიც ირანთან მოლაპარაკებების მიმართ დიდი ოპტიმიზმით არ არიან გამსჭვალულნი, რამდენადაც მხარეთა პოზიციები ერთმანეთისგან დიდად განსხვავდება. ირანის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათი ბირთვული პროგრამა ერთი წამითაც არ შეჩერდება და მათი სახელმწიფოს უფლება - ჰქონდეს ურანის გამამდიდრებელი ქარხნები - განხილვას არ ექვემდებარება. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს კი სწორედ ირანის ბირთვული პროგრამა აშფოთებთ და შეეცდებიან, უარი ათქმევინონ მას ბირთვული ენერგიის სამხედრო მიზნებისთვის გამოყენებაზე. ამ ეტაპზე ამის ერთადერთი საშუალებაა "მაგატეს" (ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო) ინსპექტორების დაშვება ყველა ობიექტზე, არადა ირანს "მაგატეს" დამატებითი "ოქმი", რომელიც სწორედ ასეთ შემოწმებას გულისხმობს, რატიფიცირებული არა აქვს.

ექსპერტები აზრით, ირანის ხელისუფლებამ, კონკრეტულად კი პრეზიდენტმა აჰმადინეჯადიმ ეს მოლაპარაკებები, რომლებიც სავარაუდოდ, დიდხანს გაგრძელდება, შეიძლება დროის გასაყვანად და საკუთარი რეჟიმის არაპირდაპირი ლეგიტიმაციისთვის გამოიყენოს. ამ ზაფხულში ირანში გაყალბებული არჩევნებისა და ხალხის სერიოზული საპროტესტო გამოსვლების შემდეგ მისი პრეზიდენტობა ცოტა საეჭვო გახდა.

უკანასკნელი მონაცემებით, ირანი გუშინვე დათანხმდა "მაგატეს" ინსპექტორების შეშვებას ურანის გამამდიდრებელ მშენებარე ქარხანაში, რომელიც ქალაქ კუმთან მდებარეობს. ქარხნის ინსპექტირება, დაახლოებით, ორი კვირის ვადაში უნდა განხორციელდეს. ამის შესახებ პრესას ხავიერ სოლანამ განუცხადა. მოლაპარაკებების მიმდინარე რაუნდი დღეს უნდა დამთავრდეს.

რეგიუ

პიანისტთა თბილისის IV საერთაშორისო კონკურსი დაიწყო

სოფო კილასონია

ალექსანდრე კორსანტია

დიახ, დაიწყო. გუშინ საღამოს ის საზეიმოდ გაიხნა.

რთულია კლასიკური მუსიკის მოყვარულთათვის იმაზე კარგი ზეიმის მოფიქრება, ვიდრე ალექსანდრე კორსანტიას კონცერტი. ასეც მოხდა, კონკურსის საზიმო გახნის ცერემონიის შემდეგ, საღამოს მეორე განყოფილება მას, უბრალოდ გენიალურ მუსიკოსს დაეთმო. მოგვასმენინა რახმანინოვის თხზულება #22, შოპენის თემაზე, რამდენიმე ბისზე კი ცხადია, რომ შოპენს აღარ უღალატა...

მაგრამ, სანამ კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში საღამოს ყველაზე შთამბეჭდავი ნაწილი დაიწყებოდა, მანამდე ოფიციალური ცერემონია და აუცილებლად აღსანიშნავი მოხდა და ითქვა. კონკურსის დამფუძნებელმა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორმა, ქალბატონმა მანანა დოიჯაშვილმა საპატიო სტუმრებთან, ჟიურის სხვა წევრებთან და კონკურსანტებთან ერთად, პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსი გახსნილად, ამჯერად უკვე მეოთხედ, გამოაცხადა. კონკურსანტებს და მსმენელს რიგ-რიგობით ესალმებოდნენ კონკურსის მასპინძლები, სტუმრები და მხარდამჭერები.

დღეიდან 14 ოქტომბერამდე თბილისში ტარდება პიანისტთა თბილისის მეოთხე საერთაშორისო კონკურსი, რომელიც საქართველოს მუსიკალური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. კონკურსზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან თავი მოიყარეს ახალგაზრდა პიანისტებმა, ჟიურის წევრებმა და საპატიო სტუმრებმა. მათ შორის არიან სახელგანთქმული მუსიკოსები და იმპრესარიოები.

იმაში, რომ ომგამოვლილ ქვეყანაში, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, საერთაშორისო მუსიკალური კონკურსი ტარდება წვლილი ბევრს მიუძღვის: კონკურსი საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პატრონაჟით ხორციელდება, მხარდამჭერები არიან ასევე საქართველოს კულტურის სამინისტრო და თბილისის მერია.

გუშინ საღამოს, კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე ვიხილეთ არა მხოლოდ კონკურსანტები, არამედ კონკურსთან და მის საორგანიზაციო პროცესებთან დაახლოებული დიპლომატიური წრე. განსაკუთრებით საინტერესო გახლდათ საფრანგეთის ელჩის, ბატონ ერიკ ფურნიეს გამოსვლა. ეს უკანასკნელი სხვების მსგავსად მოგვესალმა, თუმცა მას არ დაუზარია კონკურსანტებისთვის კონსერვატორიის დიდი დარბაზის სპეციფიკურობის და მომხიბვლელობის დეტალები გაენდო. გაანდო ისე, როგორც კოლეგამ, რომელიც ამ სცენაზე რამდენჯერმე მუსიკოსის ამპლუაში მდგარა...

სტუმრებს შორის ბრძანდებოდა ქალბატონი სანდრა რულოვსიც, როგორც მანანა დოიჯაშვილმა აღნიშნა, კლასიკური მუსიკის დიდი მოამაგე. საქართველოს პირველმა ლედიმ საერთაშორისო ჟიურის უსურვა სიბრძნე და სამართლიანობა. ხუმრობით კი, ქართველი და ერთიც ჰოლანდიელი კონკურსანტისადმი ყურადღება ითხოვა.

კონკურსანტებს შორის ნამდვილად ჭარბობენ ქართველები, თუმცა ქართველებ კონკურენციას არაერთი უცხოელიც გაუწევს. სხვათა შორის, მრავლად არიან იტალიელები, მათ გვერდით პერუელი, ჩინელი, იაპონელი, რუსი, უკრაინელი, ბრიტანელი და ა.შ. ჟიურიც წარმომადგენლობითია.

მანანა დოიჯაშვილი და სანდრა რულოვსი

კონკურსანტები

საინტერესო ისაა, რომ ესპანეთს ჟიურიში წარმოადგენს ქართველი მუსიკოსი ნინო კერესელიძე, ჟიურიშია ასევე ალექსანდრე კორსანტიაც.

იმედი ვიქონიოთ, რომ ეს კონკურენცია იქნება ჯანსაღი, მაგრამ მწვავე. ეს ყოველივე კონკურსანტებს წაადგებათ. რაც შეეხება მსმენელს, მათი უმრავლესობა გუშინ აღნიშნავდა, რომ საკონკურსო ტურებს დაესწრება ისე, როგორც კონცერტებს და წინ არაერთ სასიამოვნო მუსიკალურ დღეებს ელის.

განსაკუთრებული მადლობა კონკურსის მთავარი მასპინძელისგან, ქალბატონი მანანა დოიჯაშვილისგან მიიღო გენერალურმა სპონსორმა - კომპანიამ "მაგთიმ".

აქვე უნდა აღვნიშნო "მაგთის" წვლილი კულტურული პროცესების ხელშეწყობისთვის. ზუსტად 2 წლის წინ ამავე გაზეთში ვწერდი, რომ "მაგთი" იმ წლის საუკეთესო პარტნიორს წარმაოდგენდა კულტურის სფეროსთვის. პარტნიორი ორგანიზაცია, რომელსაც წვლილი შეაქვს არა იმდენად მასკულტურული პროექტების განხორციელებაში, რამდენადაც ეხმარება კლასიკური და აკადემიური სფეროების სხვადასხვა პროექტების განხორციელებას. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას მიმდინარე წელიწადზეც. საკმარისია ვახსენოთ "მაგთის" პარტნიობა ეროვნულ მუსიკალურ ცენტრთან, გია ყანჩელის მუსიკის საღამო, ირაკლი ფარჯიანის საიუბილეო გამოფენა, მხატვრის კატალოგის გამოცემა და ა.შ. ამ ჩამონათვალში ჯერჯერობით ბოლო არის სწორედ პიანისტთა კონკურსი.

"მაგთის" გარდა, ამ კონკურსს სხვა მხარდამჭერებიც ჰყავს, თანაც არაერთი. მაგალითისთვის: სასტუმროები "კოპალა", "მერიოტი", კომპანია "Ernst & Young"-ი", "თელიანი ველი", "ჯგუფი სამგორი 94"; ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდლის სახლ-მუზეუმი, "კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის ასოციაცია"; კორპორაცია BAGEBEY CITY GROUP-ი; კომპანია OUTDOOR.GE-ი; საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა დახმარების ფონდი "Solo"; "ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა ეროვნული კონკურსი"; საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი; თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი. ასევე კონსერვატორიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები.

გუშინ საღამოს კონსერვატორიის დიდ დარბაზში რამდენიმე ადამიანმა მოიგონა ალექსანდრე კორსანტიას შემოქმედებითი გზა - კონკურსები, გამარჯვებები... ამ საუბრების შემდეგ პიანისტმა მართლაც ვირტუოზული და დახვეწილი შესრულებით მსმენელი და მათ შორის ახალბედა პიანისტები - კონკურსანტები მოაჯადოვა. უნდა ვივარაუდოთ, რომ გუშინდელი საღამო ამ ახალგაზრდა მუსიკოსებისთის სერიოზული სტიმული გახდება წარმატების მოსაპოვებლად.

ᲭᲐᲑᲣᲐ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ქალბატონებო და ბატონებო,
გლოვაში დებო და ძმებო

პატიებას გთხოვთ, სიბერით დავრდომილობის გამო ვერ გესწრებით, მაგრამ ალბათ გჯერათ, რომ სულითა და გულით თქვენთან ვარ.

ქართველი ერის მარადისობას შესწირეს თავი ჩვენმა ბიჭებმა. ასე იყო მუდამ, მთელი ისტორიის მანძილზე. საქართველო მუდმივი ომების ქვეყანა არის და საფიქრებელია - იქნება კიდეც. თქვენი ბიჭები და ჩემი ირაკლი რომ დაიღუპნენ აფხაზეთში, მე პარლამენტის წევრი ვიყავი. იმდენ დეპუტატსა და ჩვენს მამულს მივმართე სიტყვით, რომ ახალი არაფერი მომხდარა, ჩვენი წინაპრების უმრავლესობამ მომხვდური მტრის მოგერიებაში განუტევა-მეთქი სული. მართლაც არაფერი მომხდარა იმის მეტი, რომ ორი ინსულტი გადავიტანე, მაგრამ მაღალმა ღმერთმა აგერ უკვე ოთხმოცდარვა წლის სიცოცხლე მარგუნა. ალბათ ის წლები დამიმატა, რომელიც ჩემს ირაკლის წაართვეს რუსებმა. ამჟამად უკვე საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ სახელდობრ რუსების იმპერიამ წამოიწყო ეს ომი.

მინდა გაგამხნევოთ თქვენ და ჩვენი გმირი ბიჭების სული იმით, რომ სამი ათასი წელიწადია ვართ და ვიქნებით, რამდენ ხანსაც ინებებს ღმერთი.

მაღალო ღმერთო, სამოთხეში ამყოფე საქართველოსთვის თავშეწირული ჩვენი ბიჭები!

ხოლო შემდგომ თაობებს გულმხურვალედ შევთხოვ, დაიცვან გულითა და საქმით ჩვენი ერი და ქვეყანა.

ქართველნო, დაიცავით საქართველო, თუნდ ახალი მსხვერპლის ფასად!

ღმერთო, დაგვიფარე და გამარჯვება გვიბოძე ამ არეულ-დარეულ ქვეყნიერებაში!

ჭაბუა ამირეჯიბი
თბილისი 27.09.2009

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

26 სექტემბერი - 18 ოქტომბერი, 2009
საერთაშორისო პროგრამა

3 ოქტომბერი, შაბათი
გოეთე
"ფაუსტი" თეატრალური კომპანია "MENO FORTAS", ლიტვა (ქართული და ინგლისური სუბტიტრებით)
რეჟისორი ეიმუნტას ნეკროშიუსი
დასაწყისი: 19.00
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

4 ოქტომბერი, კვირა
"მოცეკვავე დერვიშები" - Istambul SEMA GROUP OZ Productions, თურქეთი
რიტუალური ცეკვა და მუსიკა
დასაწყისი: 20.00
ეროვნული მუსიკალური ცენტრი

5 ოქტომბერი, ორშაბათი
"ნიღაბი" - ბაქოს პანტომიმის სახელმწიფო დრამატული თეატრი, აზერბაიჯანი
რეჟისორი ბახტიარ ხანიზადე
დასაწყისი: 20:00
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

6, 7 ოქტომბერი
სამშაბათი/ოთხშაბთი

So, So (ისე რა...)
COMPAGNIE DES LOUPS. COPRODUCTEURS: EUROKAZ FESTIVAL and LA
COMMUNAUTE INAVOUABLE
Production Franco - Croatian
საფრანგეთი, ხორვატია (ქართული და ინგლისური სუბტიტრებით)
რეჟისორი ბრანკო ბრეზოვეჩი
დასაყისი: 20:00
სასტუმრო Tbilisi Mariott

8, 9 ოქტომბერი
ხუთშაბათი/პარასკევი
"ზიგმუნდის ოინები" Company Philipe Genty, საფრანგეთი (ქართული და ინგლისური სუბტიტრებით)
რეჟისორი ფილიპ ჟანტი
დასაწყისი: 20:00
ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული რუსული თეატრი, მცირე სცენა

ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ

გამოვიდა ავთანდილ ვარსიმაშვილის მეორე მხატვრული ფილმი

ᲘᲐ ᲕᲔᲙᲣᲐ

თუკი ოდესმე ვინმე გეტყვით, რომ ყველაფერი კარგად იქნება, მაშინვე ნუ დაუჯერებთ - ხანდახან ეს სიტყვები იმაზე მეტად ტყუიან, ვიდრე წარმოგიდგენიათ. თუმცა ბოლომდე იმედგაცრუებული რომ არ დარჩეთ, ყველაფერს იუმორით შეხედეთ, ავთო ვარსიმაშვილის ახალი მხატვრული ფილმის დანიშნულება ხომ სწორედ ესაა - იუმორით დაგვარწმუნოს, რომ ყველაფერი არც ისე ცუდადაა და მომავალში კიდევ უკეთესად იქნება. ფილმის ნახვა კი უკვე შეგიძლიათ თბილისის კინოთეატრებში.

კარგი კინომეხსიერების მქონეთ ალბათ ახსოვთ ავთო ვარსიმაშვილის პირველი ფილმი "იდიოტოკრატია", რომელის კინოთეატრებში შესაშური ანშლაგით გადიოდა და შეიძლება ითქვას, დამსახურებულადაც, რადგან ჟანრობრივადაც სიახლეს წარმოადგენდა და თავის მთავარ დანიშნულებასაც ასრულებდა - სასაცილო იყო. სხვა საკითხია, როგორ იუმორზე იყო აწყობილი, თუმცა ფაქტია, რომ მასიურმა მაყურებელმა ფილმი მიიღო. "იდიოტოკრატიამ" წარმატებასთან ერთად ფინანსური მოგებაც ნახა, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ მისი გადაღება მინიმალური თანხა დაჯდა.

დაახლოებით 100 ათასი ლარია ფილმის "ყველაფერი კარგად იქნება" ბიუჯეტი, რისი გამართლებაც პირველ რიგში იმით შეიძლება, რომ ფილმის ძირითადი ნაწილი საქართველოდან ძალიან შორს, ინდოეთშია გადაღებული. რატომ ინდოეთში, ამის გარკვევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ფილმის სიუჟეტურ ხაზს გავყვებით. ინდოეთის ზღვისპირა შტატი გოა საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანი ადგილია. აქ არის აღმოჩენილი ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები, რადგან როგორც ცნობილია, მისი ნაწამები სხეული პორტუგალიელმა მისიონერებმა სწორედ გოაში გადაასვენეს და საიდუმლოდ დაკრძალეს. ფილმის მთავარი გმირს, საქართველოს დეზინფექციის მინისტს ქვეყნის პრეზიდენტი სწორედ ამ წმინდა ნაწილების სამშობლოში დასაბრუნებლად აგზავნის. ნიკო გომელაური პერსონაჟი მინისტრი გოგა (მეტსახელად (ბოდიში მომითხოვია) სირი) საიდუმლო მისიის შესასრულებლად მიემგზავრება, თან კი ექსცენტრიკული მოადგილე გრიშა (სანდრო მარგალიტაშვილი) და ლამაზმანი ანი (შორენა ბეგაშვილი) მიჰყავს.

პარალელურად მაყურებელი პარიზში მდებარე სომხური მასონური ლოჟის საუდუმლო შეკრებას ადევნებს თვალს. სომეხ აგენტებს (გოგა ბარბაქაძე და ირაკლი აფაქიძე) ქართველების კვალში ჩადგომა და ქეთევან დედოფლის საფლავის საიდუმლოდ გამოკვლევა ევალებათ იმ გათვლით, რომ იქნებ იქ რამე სათავისო აღმოაჩინონ. რა ხდება ამ დროს რუსულ ბანაკში? აქ რუსული უშიშროების ფედერალური სამსახურის მაღალჩინოსანი და მისი თანაშემწე, საქართველოზე უგზო-უკვლოდ შეყვარებული, თუმცა უშიშროების მიერ "დაერბოვკებული" ჟურნალისტი ირაზმებიან, რათა ჩვენი სიწმინდე მიითვისონ (რეალურად არაფერში სჭირდებათ, უბრალოდ ჩვენ რომ არ დაგვრჩეს). მოკლედ, სამი ჯგუფი გოასკენ მიემართება, მაგრამ იქ ისეთები ხდება, ქეთევან დედოფლის საფლავი აღარავის ახსოვს.

შეიძლება ითქვას, რომ ფილმი ძალიან სტერეოტიპული იუმორითაა აგებული, რაც სასაცილოს პრაქტიკულად აღარ ტოვებს. სტერეოტიპულია, რომ ქართველები ქეიფის, დროსტარებისა და ქალების მოყვარულები არიან, სტერეოტიპულია რუსებს მაგარი "ნაშები" რომ ჰყავთ, ჩვენთვის ყველაფრის წართმევა რომ უნდათ, სომხებს კი მითვისება. ეს ყველაფერი კი თითქოს ანეკდოტური იუმორის დონითაა გადმოცემული, რაც ტოვებს განცდას, რომ ეს ყველაფერი ადრე უკვე მოგვისმენია და გვინახავს.

გაცინების მხრივ, გაცილებით რთულ სიტუაციაში აღმოჩნდება ის მაყურებელი, ვისაც "იდიოტოკრატია" აქვს ნანახი. საქმე ისაა, რომ ახალი ფილმისთვის ახალი პერსონაჟების შექმნისთვის თავი არავის შეუწუხებია. მაგალითად "იდიოტოკრატიაში" მინისტრის მოადგილე გრიშა იმდენად სახასიათო და სასაცილო პერსონაჟი იყო, ფილმის ვარსკვლავადაც კი იქცა. სახასიათო იყო ნიკო გომელაურის გოგაც (მისი მეტსახელი ზემოთ უკვე ვახსენე), მართალია ისიც საშინლად სტერეოტიპულია - ცოლს ღალატობს, დროს ტარების მეტი არაფერი ანაღვლებს, ყველა ბინძურ საქმეს მოადგილეს აკეთებინებს და ასე შემდეგ, მაგრამ მაინც ქმნიდა საინტერესო სახეს. "ყველაფერი კარგად იქნებაში" კი ეს ყველაფერი პირდაპირაა კალკირებული, რაც ფილმს ძალიან მოსაწყენს ხდის. თუმცა ამ ყველაფრის გვერდით ცხადია ბევრი სიახლეცაა, თუნდაც ის, რომ შორენა ბეგაშვილი დაუზარელად ახდენს სხეულის დემოსტრირებას. მართალია, ამ მსახიობის სიშიშვლით დღეს ვერავის გააკვირვებ, მაგრამ მაინც.

მთლიანობაში ფილმი აბსურდული კომედიის სტილშია გადაღებული. თუნდაც ის სცენები შეიძლება გავიხსენოთ, როდესაც ნიკო გომელაურის გოგა (იგივე სირი) სხვადასხვა სიტუაციებში სულ ერთსა და იმავე ჩაქუჩს აჯდება. მაყურებლის გაცინების ეს მეთოდი 70-80-იანი წლების ამერიკულ კომედიებში საკმაოდ პოპულარული იყო, მაგალითად "შიშველი პისტოლეტის" ერთ-ერთ სერიაში სხვადასხვა პერსონაჟები პატარა ძაღლს აჯდებიან და ასე შემდეგ.

ოდნავ გადამლაშებული და ლოზუნგურია ფილმის ფინალი, როდესაც მინისტრი გოგა კლუბში ატეხილი ჩხუბის შემდეგ სიტყვით გამოდის და სიყვარულში ეფიცება საქართველოში მცხოვრებს ყველა ეროვნებას, რუსების სიყვარულს კი ხაზსაც უსვამს. მის ტოლერანტულ სიტყვას საქართველოს ჰიმნი, ბოლოს კი რუსი ჟურნალისტის საქართველოსადმი ახსნილი სიყვარული მოსდევს. ალბათ ჯობდა, ფინალი გაცილებით მხიარული ყოფილიყო, რომ მთელი ფილმის განმავლობაში გაუცინარი მაყურებელი კიდევ უფრო არ შეწუხებულიყო, ანუ უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, არ "დაგრუზულიყო".

ᲔᲠᲗᲘ ᲣᲮᲔᲠᲮᲣᲚᲘ ᲖᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ბროდვეის სპექტაკლი მობილურმა ტელეფონმა შეწყვიტა

ᲘᲐ ᲕᲔᲙᲣᲐ

ეს ამბავი საქართველოში რომ მომხდარიყო, ვერავინ გაიგებდა და ცხადია, არც საერთაშორისო მასშტაბის კურიოზად იქცეოდა ასეთი რამ ხომ აქ თითქმის ყოველ დღე ხდება. საქმე ისაა, რომ რამდენიმე დღის წინ ბროდვეის ცნობილი დადგმა "ხანგრძლივი წვიმა" ხუთი წუთის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო შეჩერდა, რომ დარბაზში, თანაც წინა რიგში, მობილური ტელეფონის ზარი გაისმა. დღეს ამ ზარის ხმას მილიონობით ადამიანი ცნობს, რადგან სპექტაკლის მსვლელობისას გადაღებული სატელეფონო ჩანაწერი "იუტუბის" პორტალზეა განთავსებული.

ახლა კი ამ მოვლენის მონაწილეებს გაგაცნობთ: მთავარ როლშია ჰიუ ჯეკმანი, მეორე ხარისხოვანში დენიელ კრეიგი. როგორც იცით, ორივე ჰოლივუდის ვარსკვლავია, თუმცა ტიპიური ჰოლივუდელებისგან განსხვავებით ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა თეატრალურ დადგმაში, ჯეკმანი კი სულაც ბროდვეის ერთ-ერთ წამყვან მსახიობად მიიჩნევა. კრეიგთან ერთად "ხანგრძლივ წვიმაში" რამდენიმე კვირაა თამაშობს, მაგრამ ასეთი სპექტაკლი ჯერ არ ჰქონიათ: ერთ-ერთ სცენაში, როდესაც დანიელ კრეიგის პერსონაჟი სცენის შუაში სკამზე ზის, ხოლო ჯეკმანის გმირი მონოლოგით გამოდის, რის დროსაც ნერვულად დადის, მობილურის ხმა გაისმა. ისე რომ როლიდან არ გამოსულა, ჯეკმანმა ტელეფონის პატრონს მიმართა: "გინდათ უპასუხოთ?.. უპასუხეთ, არ არის პრობლემა. ჩვენ მანამდე დაგელოდებით. ნუ გერიდებათ, ამოიღეთ ტელეფონი და უპასუხეთ". მართალია, მის სიტყვებს დარბაზის მქუხარე აპლოდისმენტი და მსახიობის მისამართით საქებარი შეძახილები მოჰყვა, საეჭვოა ჯეკმანი ამ დროს გართობის ხასიათზე ყოფილიყო, რაც სახეზე აშკარად ეტყობოდა. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ტელეფონის ზარი არა და არ წყდებოდა, პატრონი კი არც პასუხს აპირებდა და არც მის გამორთვას. აღნიშნული სცენა დაახლოებით ხუთი წუთის განმავლობაში გრძელდებოდა, რასაც ვერც დანიელ კრეიგმა გაუძლო და რამდენიმე კომენტარი მანაც გააკეთა.

ის რაც ბროდვეიზე მოხდა, ჩვენთან ლამის ტრადიციადაა ქცეული. მაყურებლის გარკვეული ნაწილი არად აგდებს სპექტაკლის ან კონცერტის დაწყებამდე გაკეთებულ განცხადებას მობილური ტელეფონების გამორთვასთან, უკიდურეს შემთხვევში, ხმის ჩაწევასთან დაკავშირებით, რასაც საკმაოდ უხერხული სიტუაციები მოჰყვება ხოლმე მთავარი დაზარალებული კი სცენაზე მყოფი ადამიანების გარდა თავად ტელეფონის პატრონია. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ის ამ დროს საკმაოდ უხერხულ სიტუაციაში ვარდება (უფრო სწორად, თავს იგდებს). გაცილებით უარესი სიტუაციაა კინოთეატრებში. აქ, არა თუ არ რთავენ ტელეფონებს, არამედ ზარებსაც პასუხობენ. მოგეხსენებათ, კინოდარბაზში როგორი ხმაურია, ასეთ პირობებში სატელეფონო საუბარი კი ძალიან ხმაურიანი გამოდის.

რაც შეეხება სკანდალური ამბის მომსწრე სპექტაკლს, კიტ ჰაფას პიესის მიხედვით დადგმული "ხანგრძლივი წვიმა" ორი მეგობარი პოლიციელის ურთიერთობაზეა. მათი მეგობრობა უეცრად კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდება, როდესაც ოჯახური კონფლიქტისას, რომლის გასანეიტრალებლად მათ იძახებენ, პატარა ბიჭუნა ილუპება. ახლა კი მეგობრები იძულებული არიან, ამ ფატალური შეცდომის რეალური დამნაშავე გამოააშკარაონ - არჩევანი კი დიდი არაა, დამნაშავე ერთ-ერთი მათგანია...

ფაუსტური მარტოობა და მოლოდინი, ანუ ერთი საღამო ნეკროშიუსის თეატრთან ერთად

სოფო კილასონია

3 ოქტომბერს, ანუ შაბათ საღამოს, ისევ კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენათან შევიკრიბებით და თბილისის თეატრალური ფესტივალის პროგრამის რიგით მესამე, მაგრამ ყველაზე საინტერესო და ნანატრი წარმოდგენის დაწყებას დავუცდით. ეს წარმოდგენა ლიტვური თეატრალური გაერთიანების მორიგი ნამუშევარია - "ფაუსტი"! მაგრამ სპექტაკლისადმი ინტერესს ამ შემთხვევაში მხოლოდ გოეთე როდი განაპირობებს. სულაც არა. წარმოდგენას სამ მოქმედებად თბილისში უკვე კარგად ცნობილი და აღიარებული რეჟისორი - ეიმუნტას ნეკროშიუსი და მისი თეატრალური კომპანია "Meno Fortas"-ი გვთავაზობს...

"ფაუსტი"

იმუნტას ნეკროშიუსი

თეატრალური კომპანია "Meno Fortas"-ი 1998 წლის 28 იანვარს ლიტვის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ინიციატივით, ეიმუნტას ნეკროშიუსის და ნადეჟდა გულტიაიევას მიერ დაარსდა. "Meno Fortas"-ის მთავარი საქმიანობაა ეიმუნტას ნეკროშიუსის მიერ სპექტაკლების დადგმა და მათი ჩვენება ლიტვისა და მსოფლიო საზოგადოებისთვის. გარდა ამისა, კომპანია საერთაშორისო თეატრალურ პროექტებში იღებს მონაწილეობას და თანადგომას უწევს ახალგაზრდა ხელოვანებს, რათა წარმოაჩინონ საკუთარი თავი.

ეიმუნტას ნეკროშიუსმა ყველა დადგმა Meno Fortas-ში განახორციელა ლიტველი და უცხოელი თანაპროდიუსერების დახმარებით.

კომპანიის მუდმივ მუშაობაში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა მსახიობები. აქ ხშირად ტარდება კამერული კონცერტები და პერფორმანსები. 2007 წლის ოქტომბერში, რეკონსტრუქციის შემდეგ, Meno Fortas-ის თეატრი იწყებს მოღვაწეობას, როგორც კამერული თეატრი.

შარშან ნანახი ნეკროშიუსის დადგმით ("ოტელო") - ქართველი მაყურებელი ლიტვური თეატრის საუკეთესო მიღწევას, ნეკროშიუსის თეატრის ხიბლსა და ენას ერთბაშად ეზიარა. ნეკროშიუსისა, რომელიც ამ თეატრის ნამდვილი პატრიარქია. თუმცა აჯობებს ხმამაღალ სიტყვებსა და შეფასებებს მოვეშვა და ამ ეტაპზე ეს საუბარი იმით დავასრულო, რომ დიდი ხანია ქართველ თეატრალებს თეატრალური ენის პირობითობის და თეატრალური ფორმის მონუმენტალიზმის ასეთი ჰიბრიდი არ ენახა. საქმე იმ მონუმენტალიზმს ეხება, რომელიც ლაკონურობასა და მცირედით ნათქვამ "ყველაფერს" წარმოადგენს... და ეს ენა მგონი ყველა დროში თანამედროვეა.

"ფაუსტი, ეიმუნტას ნეკროშიუსის მისტიური დადგმა".

"ნეკროშიუსის "ფაუსტი" ყველაზე ახლოს არის გოეთეს ქმნილებასთან"

"წარმოდგენაში კარგად არის ასახული რეჟისორის შინაგანი სამყარო და ბუნება. ეს ფაუსტური ხასიათის საუკეთესო გამოვლინებაა, რომელიც ირეკლება სივრცეში და მოიცავს მთელ სცენურ განზომილებას."

ამგვარ შეფასებებს მრავლად ამოიკითხავთ სხვადასცვა თეატრალური ფესტივალების მიმოხილვებში, ინტერნეტში თუ სხვაგან, მაგრამ "ფაუსტზე" საუბარს ჩვენ კიდევ მოვასწრებთ და ბევრად ხარისხიანად მოვახერხებთ ამას, მას შემდეგ რაც წარმოდგენას ვიხილავთ, ფაუსტურ მარტოობას გავნიცდით და გადავიტანთ...

სანამ ეს მოხდება, მკითველს შევთავაზებ ამონარიდებს დიალოგიდან, რომელიც რამდენიმე დღის წინ სპეციალურად "24 საათისთვის" შედგა ეიმუნტას ნეკროშიუსსა და გურამ ვაშაკიძეს შორის:

გურამ ვაშაკიძე: წლევანდელი თქვენი სტუმრობა თბილისში რიგით მესამეა. ამჯერად რა განწყობილებით ბრუნდებით ჩვენს ქალაქში?

ეიმუნტას ნეკროშიუსი: მე ნამყოფი ვარ თბილისში. ჩემთვის ეს ის ქალაქი და ადგილია, რომლისთვისაც მზად ვიყავი ყველაფერი გამეღო.

- გაგვიზიარეთ შთაბეჭდილებები მიღებული "მოგზაურობიდან თეატრის საოცარ სამყაროში".

- შეგნებულად არასდროს ვცდილობ შევქმნა რაღაც განსაკუთრებული სამყარო. მოვსინჯავ ხოლმე სხვადასხვაგვარ სცენურ გადაწყვეტას. ვცდილობ ვიმუშაო ძალდაუტანებლად და ბუნებრივად. რასაც ვფიქრობ, იმას ვაკეთებ, ყოველგვარი ძიებების გარეშე.

- რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდით, როდესაც 90-იან წლებში დაარსეთ საკუთარი თეატრალური კომპანია Meno Fortas-ი?

- უპირველეს ყოვლისა, დიდი ხნის განმავლობაში ვმუშაობდი სახელმწიფო თეატრში და ის ბალასტი, რაც იქ არსებობდა მიუღებელი აღმოჩნდა ჩემთვის. სინამდვილეში იმგვარი წარმოება, რასაც სახელმწიფო თეატრი წარმოადგენს მაიძულებდა ერთ ადგილზედ გავშეშებულიყავი და წინსვლის ნაცვლად, უკან მაბრუნებდა. მე ვფიქრობ, ნამდვილ თეატრს არ ესაჭიროება უზარმაზარი საწარმოები და მომუშავე პერსონალის მრავალრიცხოვანი ჯგუფი. ეს ყველაფერი მარტივად, უბრალოდ და ძალდაუტანებლად უნდა ხდებოდეს.

- თქვენი თეატრალური კომპანია დღიდან დაარსებისა ბევრს მოგზაურობას. ვილნიუსში თქვენ იშვიათად წარმოადგენთ სპექტაკლებს. რა არის ამის მიზეზი?

- ვილნიუსი პატარა ქალაქია, არც თუ ისე დიდია მაყურებელთა რაოდენობა. თითოეულ მაყურებელს, ვინც თეატრის თაყვანისმცემელია, უკვე 4-4 ჯერ აქვს ჩვენი სპექტაკლები ნანახი. ერთი მხრივ, ამგვარი მდგომარეობა მე ხელს მაძლევს, მითუმეტეს, რომ მე არ ვდგამ სპექტაკლებს მასებისთვის.

- უკვე დიდი ხანია თქვენ ხელმძღვანელობთ დამოუკიდებელ თეატრალურ კომპანიას, ამ გადმოსახედიდან რა გეჩვენებათ მიმზიდველი სახელმწიფო თეატრში?

- სახელმწიფო თეატრში საზრუნავს მოკლებული მუშაობ. გაქვს დაფინანსება და ხშირად ჯეროვან ყურადღებას არ აქცევ პროდუქციის ხარისხს. ჩვენ კი ყველაფერი სხვანაირად უნდა ვაკეთოთ, დამოუკიდებელ კომპანიაში ყველაფერზე პასუხისმგებელნი ჩვენ თვითონ ვართ, ფულიც ჩვენ უნდა ვიშოვოთ, მაყურებელი მოვიზიდოთ და ნაწარმოების ხარისხზე პასუხიც უნდა ვაგოთ. ჩვენ უხარისხო სპექტაკლის დადგმის უფლება არ გვაქვს, ამაზე ჩვენი კომპანიის ბედია დამოკიდებული.

- როგორია სიტყვისა და უსიტყვო ქმედების დანიშნულება თქვენს სპექტაკლებში?

- კარგია როდესაც სპექტაკლში მიღწეულია ბალანსი სიტყვასა და უსიტყვო ქმედებას შორის. ჩემს დადგმებში უხვადაა უსიტყვო სცენები... მე ასე გამომდის, სხვებს კი - სხვანაირად.

- როგორ აისახა თქვენს შემოქმედებაში ბავშვობასა და ახალგაზრდობაში მიღებული შთაბეჭდილებები?

- შთაბეჭდილებები სკივრებს ჰგავს. ზოგიერთი მათგანი სავსეა, ზოგი განახევრებული. შეიძლება უცბად აღმოჩნდეს, რომ რომელიღაცა სკივრი დროთა განმავლობაში დაცარიელდა. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, რაც უფრო შედიხარ ასაკში, მით უფრო ხშირად იხედები წარსულში და გიჩნდება სურვილი ბავშვობაში დაბრუნებისა.

- როგორ აირჩიეთ რეჟისორის პროფესია? თქვენი აზრით, გათვითცნობიერებული აქვს თუ არა ახალგაზრდას ამ პროფესიას არჩევანი?

- ალბათ არა. სიყმაწვილეში, როდესაც ამ პროფესიას ირჩევ, ვერც კი ხვდები სად მიდიხარ, პირადად მე, ისე გამოვიდა, რომ შემთხვევით მოვხვდი თეატრში. ეს უკვე ბედისწერაა.

- მსახიობებთან ურთიერთობისას რა მძლავრობს თქვენში ეჭვიანობა, თუ სიყვარული. იქნებ ეჭვიანი შემოქმედი ეს იგივეა, რაც შეყვარებული შემოქმედი?

- მე თეორეტიკოსი არ გახლავართ... არ ვიცი, არ დავფიქრებულვარ. მე მგონია, რომ უნდა გქონდეს კარგი, კეთილი აზრები, ჯანსაღი გონება და რა თქმა უნდა, გამბედაობა. მორჩა, სულ ეს არის.

- მსახიობი ვლადას ბაგდონასი გამჭოლ მოქმედებასავით გასდევს თქვენს შემოქმედებას, ის მონაწილეობს თქვენს თითქმის ყველა დადგმაში. ვის წარმოადგენს ის თქვენთვის - საყვარელ მსახიობს, თუ მხატვრის შემოქმედებით მეს?

- მე მხატვარი ვარ.

- მამის თემა თქვენს შემოქმედებაში...

- როგორ გითხრათ, ჩემთვის ეს თემა მნიშვნელოვანია. მამა, განსაკუთრებით ვაჟიშვილს, უყალიბებს შეხედულებას, უღვივებს სიმამაცეს, აძლევს გაბედულობის მაგალითს. თაობიდან თაობამდე ყველა ეს თვისება გადაეცემა შთამომავლობას, მამა ახალგაზრდა ყმაწვილკაცში ბავშვობიდანვე აღვივებს მამაკაცურ თვისებებს, ამზადებს მომავალ მამად!

- უძღები შვილი როდის გარდაისახება მამად?

- არ ვიცი, არ შემიძლია ზუსტად დავასახელო რაღაც წერტილი. ფაქტია, რომ ეს გარდასახვა ხდება. შეიძლება იმ წამს, როდესაც თავს ძალიან სუსტად და მიტოვებულად გრძნობ, ან კიდევ მაშინ, როდესაც დიდების ზენიტში ხარ. თითოეულ ჩვენთაგანს საკუთარი წერტილი გააჩნია.

- რამდენად აქტუალურია თქვენი აზრით, ლიტერატურული შედევრების სცენაზე ამეტყველება?..

- კარგად დადგმული სპექტაკლი ყოველთვის აქტუალურია, ცუდად დადგმული კი - არააქტუალურია. თეატრალურ იღბალზედ ბევრი რამაა დამოკიდებული.

- რომანტიკოსი ბრძანდებით?

- ალბათ, რომანტიკოსი არ ვარ. რა თქმა უნდა, მიოცნებია რომანტიკაზე, მაგრამ ჩემი ხასიათი ხელს არ მიწყობს.

- დღესდღეობით, რა აზრის ხართ თანამედროვე დრამატურგიაზე? კრიზისს ხომ არ განიცდის?

- არ ვიცი. კრიზისშია თუ არა დღესდღეობით თანამედროვე დრამატურგია? ეს 50-60 წლის შემდეგ გახდება ნათელი. შეიძლება სულაც არაა კრიზისში.. ჩვენ გვიყვარს იმის ლაპარაკი, რომ წარსულში, ანუ ჩვენს დროს ყველაფერი უკეთესად იყო. მე არ მინდა ასე ვიფიქრო.

- უმთავრესად მსოფლიო ლიტერატურისა და დრამატურგიის შედევრებს დგამთ, რითია ეს განპირობებული?

- პირველ რიგში იმით, რომ ვიცი, კარგი ლიტერატურაა თეატრის საფუძველი. მდარე ხარისხის ლიტერატურული ნაწარმოებიდანაც შეიძლება დადგა კარგი სპექტაკლი, მაგრამ არ ღირს.

- რას უსურვებდით თბილისის I საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს და ჩვენს ქალაქს?

- გისურვებდით, რომ ფესტივალი იყოს წარმატებული და მუდამ განვითარებადი. რომ ფესტივალმა იარსებოს ხანგრძლივი დროის განმავლობაში და მიაღწიოს სერიოზულ ასაკს. დღეს ეს ევროპაში იშვიათობაა. გისურვებდით, რომ ჩამოყალიბდეს საფესტივალო ტრადიცია. თბილისი ხომ განსაკუთრებული ქალაქია და გისურვებდით, რომ ის ყოველთვის ყოფილიყოს მიზიდულობის ცენტრი.

P.S. მისი "ოტელო" და როგორც ამბობენ, მისი "ფაუსტიც" მაყურებლისგან ენერგიას, დუმილს, თანაგანცდასა და ნებისყოფას მოითხოვს. დადგმები 3-4 საათი გრძელდება... თუ თეატრში მხოლოდ სამხიარულოდ დადიხართ, მაშინ ნეკროშიუსის თეატრს მოერიდეთ. მაგრამ თუ მასშტაბისა და ძლიერი იმპულსების არ გეშინიათ, თუ მზად ხართ, საცენაზე მყოფ ადამიანებთან ერთად გაუყვეთ იმ გზებსა და შრეებს, რომელსაც ცნობილი რეჟისორი თქვენთვის იკვლევს, თუ განცდებისთვის თავი არ გეცოდებათ და ემოციებს არ ისხლეტთ, მაშინ შაბათს თქვენც იქ იქნებით, სადაც მე და ყველა, ვისაც თეატრი უყვარს, მთელი მისი განშტოებებით, სიღრმეებითა და მრავალფეროვნებით.

საპარლამენტო მმართველობა

ნუთუ მართლა ასეთი კარგი იქნება საქართველოსთვის?

ვასილ რუხაძე
კენტის უნივერსიტეტის (Kent State University, USA) პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი.

თითქმის დღე არ გავა, რომ ქართული ტელევიზიის ეკრანებიდან ან პრესის ფურცლებიდან მავანნი და მავანნი საქართველოში საპარლამენტო პოლიტიკური სისტემის აუცილებლობაზე და ენითაუწერელ უპირატესობაზე აღტკინებით, ან კიდევ მოჩვენებითი ღრმა სიბრძნითა და სიმშვიდით საზოგადოებას არ მოძღვრავდნენ. მათ შემყურეს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნება, იფიქრებს, თუ საქართველო ამ კვირაშივე საპარლამენტო რესპუბლიკა არ გახდა, ალბათ, იმ კვირას ცოცხალს ვეღარც გავატანთო. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ პარლამენტარიზმი ღამის საქართველოს ნამდვილ ხსნად, ხოლო საპრეზიდენტო სისტემა ჩვენი ქვეყნის ყველა პოლიტიკური პრობლემისა და უბედურების სათავედ გამოცხადდეს.

საქართველო და ქართველი ხალხი მრავალჯერ გამხდარა უგუნური პარადოქსების მოწმე. ამ შემთხვევაში პარადოქსი ის გახლავთ, რომ ჩვენში პარლამენტარიზმის მოქადაგე ადამიანებს არასდროს დაუკონკრეტებიათ კერძოდ როგორი სახის საპარლამენტო სისტემის დამყარება სურთ საქართველოში. თუმცა, გასაოცარია, მათთვის ეს არც არავის უკითხავს. საქმე ის გახლავთ, რომ მსოფლიოში პროპორციული და პლურალისტური საპარლამენტო სისტემების ერთმანეთისაგან მმართველობის ეფექტურობისა და სამთავრობო სტაბილურობის ხარისხით დიამეტრალურად განსხვავებული უამრავი ქვეფორმა არსებობს: ზოგი მათგანი ბევრად არაფრით გამოირჩევა საპრეზიდენტო სისტემისაგან, ზოგი კი იმდენად დეცენტრალიზებული გახლავთ, რომ მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბებასაც კი თვეები სჭირდება, რაც წარუმატებლობის შემთხვევაში ხშირად ახალი რიგგარეშე არჩევნებით მთავრდება. მაგალითად, ბრიტანული პლურალისტური პარლამენტარიზმი, სადაც არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური პარტია ხუთი წლის ვადით, ერთპიროვნულად აყალიბებს მთავრობას, ძალზე განსხვავდება გერმანული და ბერძნული ტიპის ნახევრადმაჟორიტარული საპარლამენტო სისტემებისაგან. ეს უკანაკნელნი კი საკმაოდ შორს დგანან იტალიის პროპორციული პარლამენტური ფორმისგან, რომელიც საოცარი პოლიტიკური არასტაბილურობითა და სამთავრობო კრიზისებით გამოირჩევა.

ამ სტატიის მიზანი არ გახლავთ პარლამენტარიზმის სხვადასხვა ფორმების განხილვა-ანალიზი. ჩემი ერთ-ერთი მიზანია, ქართულ საზოგადოებაში აღვძრა კითხვები: რატომ ფიქრობენ ჩვენში პარლამენტარიზმის ქადაგნი, რომ მმართველობის ეს ფორმა არსებულ საპრეზიდენტო სისტემაზე უკეთესი იქნება? კოკნრეტულად რას ელიან ისინი საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლით, მეტ დემოკრატიას? უფრო ეფექტურ მმართველობას? მეტ სტაბილურობას? თუ ეს ასეა, საინტერესოა, რა აძლევთ მათ ამგვარად ფიქრის საფუძველს? საქართველოში ხომ არც ერთი სერიოზული სამეცნიერო-პოლიტიკური კვლევა არ ჩატარებულა, რომელიც ქართული და უცხოური პოლიტიკური რეალობების გათვალისწინებით, საპარლამენტო სისტემის ავკარგს, თუნდაც ნაწილობრივ, გაანალიზებდა და საქართველოში მისი მიზანშეწონილობის საკითხს შეისწავლიდა. თუკი ჩვენში პარლამენტარიზმის მომხრეთ დასავლეთის ქვეყნებში მმართველობის ამ ფორმის წარმატება აქვთ სამაგალითოდ, მაშინ იმ ქვეყნებსაც რატომ არ მიუთითებენ, საიდაც მმართველობის ეს ფორმა საკმაოდ წარუმატებლად ითვლება. მაგალითად, იტალიაში, ისრაელში, იაპონიაში და ა.შ. საპარლამენტო მმართველობის სისტემა კოალიციური მთავრობების პერმანენტულ კრიზისებთან, პოლიტიკურ სკანდალებთან, კორუფციასთან და არასტაბილურობასთან ასოცირდება, რაც ამ ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს მუდმივად არყევს. თუნდაც საპარლამენტო სისტემა დასავლეთის უმეტეს ქვეყნებში წარმატებით მუშაობდეს, ჩვენში ამ სისტემის მომხრეთ რა აძლევს საფუძველს ივარაუდონ, რომ იგი საქართველოშიც ისეთივე წარმატებული იქნება? ყველამ კარგად ვუწყით, რომ პოლიტიკური წარმატების უნივერსალური რეცეპტი არ არსებობს. ის, რამაც სხვას წამლად არგო, ხომ შესაძლებელია, ჩვენ საწამლავად შემოგვიბრუნდეს?!

მეორე პარადოქსი ის გახლავთ, რომ საქართველოში არ არსებობს საპარლამენტო მმართველობისათვის უმთავრესი რამ: პროფესიონალური, ინსტიტუციონალური პოლიტიკური პარტიები. ბუნებრივია, ზოგიერთს გაუჩნდება კითხვა: მაშ, რა არის ეს ათობით და იქნებ, ასობით პარტია? სწორედაც, ამ ათობით და ასობით იურიდიულად რეგისტრირებული "პოლიტიკური პარტიიდან", ალბათ, გაგვიჭირდება ნამდვილი, სრულფასოვანი პოლიტიკური პარტიის შერჩევა. განვიხილოთ ქართული "პოლიტიკური პარტიებისათვის" დამახასიათებელი უმთავრესი ნიშანთვისებები: ა) მათი აბსოლუტური ურმავლესობის წევრთა რაოდენობა რამდენიმე ასეულ ადამიანს არ აღემატება, რომელიც უმეტესად ნათესავების ფართო წრის, ახლობლებ-მეგობრებისა და კიდევ მათი ნაცნობების ხარჯზე კომპლექტდება; ბ) პარტიის წევრთა პოლიტიკური განათლება და პრაქტიკული პოლიტიკური გამოცდილება, უკეთეს შემთხვევაში, მწირია, ან სულაც არარსებული; გ) დედაქალაქისა და უკეთეს შემთხვევაში, ორიოდე დიდი ქალაქის ან რაიონის გარდა, პარტიებს არ გააჩნიათ პარტიული წარმომადგენლობები და განყოფილებები, თავიანთი პროგრამებისა და პოლიტიკური იდეების სისტემატური გავრცელებისათვის; დ) პარტიათა იდეოლოგიური და პოლიტიკური სამოქმედო პროგრამები წყლის ორი წვეთივით გვანან ერთმანეთს; ე) პარტიული საწევროების სიმწირის გამო, პარტიული ბიუჯეტი ფაქტობრივად არ არსებობს, უმრავლეს შემთხვევაში ეს უკანასკნელი, მთლიანად მისი ოფიციალური ლიდერის (საეჭვო გზით გამდიდრებული საქმოსნის, ან კიდევ ყოფილი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელის) ფინანსურ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული, რაც პარტიის ბიუჯეტს და მისი თავჯდომარის ჯიბეს შორის ყოველგვარ ზღვარს შლის და პარტიას მის პირად სალაროდ აქცევს; უარეს შემთხვევაში, გაღატაკებული პარტიები და მათი ლიდერები ფულს საქართველოს გარეთ, ძალიან ხშირად, ჩვენთვის კარგად ნაცნობ, მტრულად განწყობილ სახელწიფოში ეძებენ, სადაც დაბანაკებული გადაგვარებული ქართველები თუ არაქართველები მათთვის ფულს არ იშურებენ გარკვეული სამსახურის სანაცვლოდ; ვ) ჩვენში ტრადიციად დამკვიდრდა პარტიების შექმნა, უმეტესად, გადაყენებულ-გადამდგარი და განაწყენებული, მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების, ან კიდევ ხელმოცარული ბიზნესმენების ძალისხმევით, მთავრობასთან კონფრონტაციის ესკალაციის და მოკლე ვადებში ხელისუფლების ხელში აღების მიზნით. ამგვარად, ჩვენში პარტიები იქმნება ყოველგვარი იდეოლოგიური და ადმინისტრაციული მომზადების, გამოცდილი პოლიტიკური ორგანიზატორების და პოლიტიკური მეცნიერების მონაწილეობის გარეშე; ზ) საქართველოში არსებული პარტიების აბსოლუტურ უმრავლესობაში დომინირებს ერთი, ხშირად საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ადამიანი, რომელიც ერთდროულად გახლავთ პარტიის დამაარსებელი, მისი თავჯდომარე, დამფინანსებელი, პრესმდივანი, საარჩევნო კანდიდატი, ნდობით აღჭურვილი პირი და ა.შ. უიშვიათესია ისეთი პარტია, რომლიდანაც საზოგადოება მის ორ-სამ წევრზე მეტს იცნობდეს (თუკი, რა თქმა უნდა, ეს თავად მმართველი პარტია არ გახლავთ). ამგვარი "ერთკაციანი პარტიები" ხელს უშლის მის წიაღში ახალი, ენერგიული პარტიული, პოლიტიკური კადრების მოზიდვა-ჩამოყალიბებას, რომლებიც პარტიის პოლიტიკურ სტრუქტურებს და სამოქმედო პროგრამებს განავითარებდნენ და დახვეწდნენ. შედეგი კი ის გახლავთ, რომ როდესაც ეს ცნობილი ლიდერი პოლიტიკური სცენიდან უჩინარდება, მასთან ერთად მისი პარტიაც ქრება.

ჩამონათვალი, როგორც ვხედავთ, საკმაოდ გრძელია და დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო შორს შეგვეძლო წავსულიყავით, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც საკმარისია, რათა ნათლად დავინახოთ, რომ საქართველოში, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, გვყავს არა პოლიტიკური პარტიები, არამედ ცუდად განვითარებული მცირე და საშუალო ზომის დაჯგუფებები, რომლებიც კლანურ-ნათესაურ ან მეგობრულ ქსელს ემყარებიან. პოლიტიკური პარტია საპარლამენტო მმართველობის მამოძრავებელი ძრავაა. თუკი ჩვენში ეს ძრავა არ არსებობს და უფრო ურმის დაღრეცილ ბორბალს წაგავს, ვიდრე დახვეწილ ძრავას, როგორ უნდა ვამუშაოთ და ვამოძრავოთ ქართული საპარლამენტო მმართველობის მანქანა?! გადავხედოთ ყველა განვითარებულ საპარლამენტო სახელმწიფოს: დიდ ბრიტანეთს, შვედეთს, გერმანიას, კანადას, ესპანეთს და ა.შ. და დავინახავთ, რომ ყველა ამ ქვეყანაში საპარლამენტო მმართველობა ემყარება რამდენიმე დიდ, მაღალი პოლიტიკური კულტურის მატარებელ ეროვნულ პარტიას, რომელთაგან თითოეული უაღრესად დახვეწილ, განვითარებულ პოლიტიკურ სტრუქტურებს, ძლიერ შიდა ფინანსურ სისტემებს და ათასობით პოლიტიკურად გამობრძმედილ და განათლებულ პარტიულ ლიდერს ეყრდნობა. მიმოვიხედოთ საქართველოში - ჩვენში ხომ ჯერ ამგვარი სახის პარტიების ჩანასახიც არ არსებობს, მაგრამ მთავარი პრობლემა მაინც სხვა რამ გახლავთ, კერძოდ ის, თუ რა შეიძლება მოუტანოს საპარლამენტო მმართველობამ ახალგაზრდა ქართულ დემოკრატიას და ქართულ სახელმწიფოს? რომელი სახის საპარლამენტო მმართველობაც არ უნდა აირჩიონ ჩვენში მისმა მომხრეებმა (ვესტმინსტერის ბრიტანული მოდელის გარდა, რომელსაც უამრავი პოლიტიკური ანალიტიკოსი ძალიან ამგვანებს საპრეზიდენტო მმართველობას), პარლამენტური სისტემა, უპირველეს ყოვლისა, პარტიებს შორის ძალაუფლების და სამინისტრო პორტფელების გაყოფასა და პარტიების მიერ კოალიციური მთავრობების ჩამოყალიბებას გულისხმობს. მე მინდა მივმართო ჩემს მკითხველს, რომელიც, დარწმუნებული ვარ, აღქმის ასჯერ უკეთესი ნიჭით არის დაჯილდოებული, ვიდრე პარლამენტარიზმის მოქადაგე ყველა ჩვენი "პოლიტიკოსი" ერთადაღებული. როგორ ფიქრობთ, რას დაემსგავსება ისედაც ქაოტური ქართული პოლიტიკა, როდესაც საპარლამენტო მოდელის თანხმად, პარლამენტში მოხვედრილი, სავარაუდოდ, ოთხი-ხუთი პოლიტიკური დაჯგუფება (ჩვენში პოლიტიკურ პარტიად წოდებული), საერთო შეათანხმების პრინციპით, შეუდგება მთავრობის ჩამოყალიბებას? როგორ გაიყოფს კლანურნათესაურ პრინციპებზე დაფუძნებული რამდენიმე ჯგუფი საგარეო საქმეთა მინისტრის, თავდაცვის მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრის, ფინანსთა მინისტრის, ეკონომიკის მინისტრის, ვაჭრობის მინისტრის და ა.შ. თანამდებობებს? დავუშვათ, მრავალკვირიანი და ალბათ, მრავალთვიანი ვაჭრობისა და პოლიტიკური ჩიხის შემდეგ, მოხერხდა მთავრობის ჩამოყალიბება. როგორ შეძლებს მთავრობის წევრი, თითოეული პარტიის ნებაზე დამყარებული, პოლიტიკურად ჭრელი მინისტრთა კაბინეტი, საერთო პოლიტიკური და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას და ჩვენი სინამდვილიდან გამომდინარე, უამრავ საგარეო და საშინაო საფრხეებზე აუცილებელ უსწრაფეს რეაგირებას? ჩვენი ტრადიციული დაქსაქსულობისა და პოლიტიკური დაჯგუფებების ქრონიკული გათიშულობის გათვალისწინებით, დამეთანხმებით, ეს ერთობ რთული ან სულაც შეუძლებელი იქნება!

ძალაუფლების კონცენტრაცია პარლამენტში (რაც საპარლამენტო მმართველობის ასევე უმთავრესი ნიშან-თვისებაა) გამოიწვევს პარლამენტართა ხმის მოსყიდვის, მოწინააღმდეგეთა გადმობირებისა და კორუფციის ფართო და დახვეწილი ქსელის შექმნას. მოგეხსენებათ, კორუფციის მხრივ, ჩვენს ქვეყანას საკმაოდ მდიდარი ისტორია და გამოცდილება აქვს და ვფიქრობ, აღნიშნული საფრთხე სრულიად რეალურია. გარდა ამისა, ძალაუფლების კონცენტრაცია პარლამენტში ამ ორგანოს გადააქცევს საქართველოს საგარეო მტრის მთავარ და იოლ სამიზნედ, რომელიც მთელი თავისი პოლიტიკური და ფინანსური ძალების კონცენტრაციას მოახდენს პარლამენტის მერყევი წევრების მოსყიდვა-გადმობირებაზე და მყარად მდგომთა შანტაჟზე, რათა მინისტრთა კაბინეტში რაც შეიძლება მეტი მხარდამჭერი (ან უარეს შემთხვევაში ნეიტრალური) მინისტრი გაიყვანოს, ან სულაც, პარლამენტს პრემიერ-მინისტრად მისთვის სასურველი კანდიდატი აარჩევინოს.

პოლიტიკური პარტიების მიერ მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადება და მინისტრთა კაბინეტიდან მუდმივი გადადგომები გამოიწვევს სამთავრობო კრიზისებს და გაუთავებელ ვადამდელ არჩევნებს. ეს ყველაფერი, დანარჩენ ზემოთ აღნიშნულთან ერთად, თანდათანობით დაღლის საზოგადოებას, გამოიწვევს აპათიას და პოლიტიკურ ინდიფერენტულობას, რაც დასცემს ჩვენი საზოგადოების მონაწილეობის დონეს არჩევნებში და სხვა პოლიტიკურ-დემოკრატიულ პროცესებში. შედეგად მივიღებთ ეროვნულ ნიჰილიზმს და არაფუნქციონირებად ქართულ დემოკრატიას.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ საპარლამენტო მმართველობა გაზრდის ძალაუფლებას მოწყურებულ, მაგრამ ფინანსურად ღარიბ და პოლიტიკურად სუსტ თვით ყველაზე მარგინალური პარტიებისა და დაჯგუფებების გავლენას ზოგადად ქართულ პოლიტიკურ სისტემაზე. და რას მოუტანს ეს საქართველოს? მუდმივ სამთავრობო კრიზისებს, გაუთავებელ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, არასტაბილურობას და შინააშლილობას, ფართომასშტაბიან სამთავრობო კორუფციულ სისტემას, საზოგადოების პოლიტიკურ უნდობლობას, აპათიასა და ეროვნულ ნიჰილიზმს. ასევე გარეშე მტრის გავლენის გაზრდასა და შესაძლო საბოლოო ოკუპაციას, უსისხლო მოსყიდვა-გადმობირების მზაკვრული და იოლი გზით. ღირს კი ეს ყველაფერი რამდენიმე ათეული პოლიტიკური დაჯგუფებისა და მათი მეთაურების ბედნიერებად? რა თქმა უნდა, პასუხი ყველამ კარგად ვუწყით.

საუკუნეების განმავლობაში საასიკვდილო საფრთხეებს შერკინებული ქართული სახელმწიფო და ქართველი ხალხი მუდამ ერთი სამხედრო-პოლიტიკური ლიდერის ირგვლივ ირაზმებოდა. ასეთი სისტემა ყველაზე მეტად ესადაგებოდა ქართველი ადამიანის ბუნებას. მობილიზიაციის, თვითორგანიზაციისა და თავდაცვის ამგვარმა მეთოდმა საქართველოში გაამართლა, რის შედეგადაც, ავად თუ კარგად, ქართველები გადავრჩით და 21-ე საუკუნემდე მოვატანეთ.

საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ხანგრძლივი, დრამატული ისტორიის მანძილზე, უკვე მერამდენედ, მომაკვდინებელი საგარეო და საშინაო საფრთხეების წინაშე დგას, რაც, ალბათ, კარგა ხნით ასეც დარჩება. ამ პირობებში ჩვენს უძველეს, მაგრამ განახლებად სახელმწიფოს ესაჭიროება ეფექტური მმართველობა, ერთიანი აღმასრულებელი ხელისუფლება და სამხედრო მეთაურობა. საპარლამენტო სისტემა, ჩვენს მიერ ზემოთ განხილული პოლიტიკური სინამდვილიდან გამომდინარე, ამას ვერ გვპირდება. საპრეზიდენტო მმართველობის სისტემა გახლავთ ის ერთადერთი მძლავრი მექანიზმი, რომელსაც შეუძლია ქართული სახელმწიფოს წინაშე წარმოქმნილი დიდი საფრთხეების პირობებში მოახდინოს ქვეყნის ხელთ არსებული რესურსებისა და საზოგადოების სწრაფი მობილიზაცია, თავდაცვა, ეფექტური მართვა და განვითარების მოკლე და გრძელვადიანი პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელება. ვფიქრობ, საპრეზიდენტო მმართველობის სისტემა თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ხერხემალია.

დემოკრატიის თანამედროვე ეპოქა საშუალებას გვაძლევს, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი და უმაღლესი მთავარსარდალი გარკვეული ვადით ავირჩიოთ, შემდეგ მისი ღვაწლი შევაფასოთ და მეორედ (და უკანასკნელად) ავირჩიოთ, ან სულაც გადავირჩიოთ. საპრეზიდენტო მმართველობის ფორმა ისეთივე ნაწილი გახლავთ დემოკრატიული სისტემისა, როგორც საპარლამენტო მმართველობის ფორმა. მაშ, რატომ უნდა შევცვალოთ იგი გაურკვეველი შედეგების მომტანი საპარლამენტო მმართველობით. თუკი ჩვენს თანამედროვე საპრეზიდენტო სისტემას გარკვეული ლაფსუსები აქვს, იქნებ ჯობდეს, გაუქმების ნაცვლად იგი კიდევ უფრო დავხვეწოთ, უფრო ეფექტური და დემოკრატიული გავხადოთ?! საპრეზიდენტო სისტემა ხომ დემოკრატიის ის ფორმაა, რომელსაც ახალი ქართული სახელმწიფო და ჩვენ, ქართველი ხალხი ყველაზე კარგად ვიცნობთ?! ან იქნებ პრობლემა სულაც არა საპრეზიდენტო სისტემაში, არამედ ავადმყოფურ სულსწრაფობასა და სულმოკლეობაშია, რომელიც ერთი არჩევნებიდან მეორემდე მოთმინებისა და მოცდის საშუალებას არ იძლევა.

ქართული დემოკრატია და ქართული სახელმწიფო აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო სისტემების დაყოფას, ძლიერ საპრეზიდენტო ინსტიტუტს, ძლიერ საკანონმდებლო ორგანოსა და დამოუკიდებელ სასამართლოს უნდას ემყარებოდეს. ეს გახლავთ ის სიტემა, რითაც თავისუფალი ქართული სახელმწიფო და ქართველთა მომავალი თაობები თავისუფლებასა და განვითარებას წარმატებით დაიცავენ.

ახლა, როდესაც საქართველოში ახალი კონსტიტუციის პროექტზე გაცხოველებული სჯა-ბაასი და მუშაობა მიმდინარეობს, ზემოთ განხილულ საკითხზე ფიქრი განსაკუთრებულად მართებს მთელ ქართველ საზოგადოებას, გამორჩეულად მას, ვინც ამ საკითხზე უშუალოდ მუშაობს და სახელდობრ, საპარლამენტო მმართველობის ფორმაზე უჩვეულო აღტკინებით მოსაუბრეთ. ფრთხილად ვიყოთ, ეფექტური მმართველობის სისტემისა და ჯანსაღი ქართული დემოკრატიის ნაცვლად, მომავალ თაობებს ქაოტური, არაფუნქციონირებადი სახელწიფო სისტემა და აპათიური ფსევდოდემოკრატია არ დავუტოვოთ!

სპორტი

სარეკორდო მხარდაჭერა გადამეტებული მოლოდინის ფონზე

ზვიად სიჭინავა - 93-პროცენტიანი პრეზიდენტი

გიორგი ბუხაიძის ფოტო

ვიად სიჭინავა წელიწადნახევრის მანძილზე ქართულ ფეხბურთს უხელმძღვანელებს

მიხეილ აბაიშვილი

მომდევნო წელიწადნახევრის განმავლობაში ქართულ ფეხბურთს ბიზნესმენი ზვიად სიჭინავა უხელმძღვანელებს. ასეთი მაღალი ხარისხის ნდობა სიჭინავას არც ერთ წინამორბედს არ დაუმსახურებია. გუშინ, ეროვნული ნაკრები გუნდების ტექნიკურ ცენტრ "ბასაში", რიგგარეშე ყრილობაზე ჩატარებული კენჭისყრისას სიჭინავამ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით გაიმარჯვა: ხმის უფლების მქონე 31 დელეგატიდან მას 29 ამომრჩეველმა დაუჭირა მხარი და მხოლოდ ორი წავიდა წინააღმდეგი. ეს კი ციფრობრივად 93,6-პროცენტიანი მხარდაჭერაა. თქმა არ უნდა, ასეთი ერთსულოვნება გარკვეულწილად იმ ფაქტორმაც განაპირობა, რომ ზვიად სიჭინავა გუშინდელ არჩევნებში ერთადერთი და უალტერნატივო კანდიდატი იყო. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, აუცილებელი 50-პროცენტიანი ბარიერის ასეთი მაღალი ჰანდიკაპით გადალახვა იმაზე მიუთითებს, რომ ქართული საფეხბურთო სამყარო, ყოველ შემთხვევაში, ხმის უფლების მქონე დელეგატები და მათ უკან მდგომი სუბიექტები დიდ იმედებს ამყარებენ ახალ პრეზიდენტზე. არა მხოლოდ სუბიექტების, არამედ ხელისუფლების, გულშემატკივრებისა და მედიის მხრიდანაც დიდი მოლოდინია, რაც ასეთ ვითარებაში ხელშემშლელი ფაქტორიც კი შეიძლება გახდეს. თავად ახლად არჩეულმა პრეზიდენტმაც, ლეგიტიმაციის მიღების შემდეგ, პირველ რიგში, სწორედ ამ საკითხს გაუსვა ხაზი.

"მოხარული ვარ, რომ დელეგატებმა თითქმის ერთსულოვნად დამიჭირეს მხარი, მაგრამ ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ ეს უფრო მძიმე ვალდებულებაა, ვიდრე ფუფუნება და მოსალოცი. ვალდებულება კი მაკისრებს ქართულ ფეხბურთში არსებული პრობლემების გადაწყვეტას, ხარვეზების აღმოფხვრას და განვითარების, პროგრესის გზით წინსვლას. დღეს მხარი დაუჭირეს არა ზვიად სიჭინავას და მის გუნდს, არამედ ჩვენს სამოქმედო პროგრამას. სწორედ ამ პროგრამით ვიხელმძღვანელებთ და, მისი ეტაპობრივად განხორციელების პარალელურად, მოვიმკით იმ სპორტულ შედეგებს, რომელსაც ასე მოუთმენლად ელის თითოეული ქართველი ქომაგი. არავის არ უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ დღეს ან ხვალ ინგლისს, იტალიას და ბრაზილიას მოვუგებთ. მაგრამ ესეც აუცილებლად მოხდება და ამ მიმართულებით უნდა ვიაროთ", - განუცხადა "24 საათს" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა, რომლის სამოქმედო პროგრამა მართლაც იმ პირამიდის შესაბამისად არის აწყობილი, რაზეც მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების საფეხბურთო მეურნეობა.

ინფრასტრუქტურის მოწყობა-მოწესრიგება, ბავშვთა ფეხბურთი, ჩემპიონატისა და კლუბების პროფესიული სრულყოფა, ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდები, სამოყვარულო ფეხბურთის განვითარება, რეგიონული ფეხბურთის მოსამზადებელი ცენტრების შექმნა და მათი უზრუნველყოფა მატერიალურ-ტექნიკურ-ინტელექტუალური რესურსით, მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება, ავტორიტეტულ და პოპულარულ ვეტერან ფეხბურთელთა ჩართულობა, მასმედიასთან ურთიერთობა-პარტნიორობა - ასეთია იმ პროგრამის თეზისები, რომლითაც ზვიად სიჭინავა და მისი გუნდი დაიწყებენ საქმიანობას.

თავად ახალი პრეზიდენტი აცხადებს, რომ მისი გუნდის უმთავრესი დანიშნულება ინვესტიციების მოზიდვა და ქართულ ფეხბურთში ყაირათიანად დაბანდებაა. ამის თაობაზე უცხოურ ფინანსურ წრეებთან უკვე მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები. უცხოური კაპიტალის გარდა, ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობას სახელმწიფოს მხარდაჭერის საფუძვლიანი იმედიც შეიძლება ჰქონდეს.

"ვინც არ უნდა მოვიდეს ქართული ფეხბურთის მართვის სადავეებთან, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა გარანტირებული ექნება. გასულ წლებში ფეხბურთის განვითარებისთვის სახელმწიფომ არაერთი მილიონი დახარჯა და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება. იმედი გვაქვს, ახალი ხელმძღვანელობის პირობებში და სახელმწიფოს მხარდაჭერით საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია წარმატებით დაძლევს ყველა სირთულეს და საქართველოში ფეხბურთი სწრაფი ტემპით განვითარდება", - კენჭისყრის დაწყებამდე განაცხადა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დავით ნამგალაურმა.

სრულფასოვან საქმიანობას განახლებული ფეხბურთის ფედერაცია, სავარაუდოდ, ორი კვირის შემდეგ დაიწყებს. დაახლოებით ამდენი დროა საჭირო ხელმძღვანელ თანამდებობებზე კანდიდატურების შესარჩევად, აღმასრულებელი კომიტეტის დასაკომპლექტებლად და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად. ამასთან, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ფინეთის სწორთან მიახლოებულ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ორი მატჩი დარჩა ჩასატარებელი - ჩერნოგორიის (10 ოქტომბერს) და ბულგარეთის (14 ოქტომბერს) ნაკრებ გუნდებთან. ორივე მატჩი გასვლითია და, გარდა იმისა, რომ მგზავრობასთან და თამაშებთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები ფედერაციის ძველმა ხელმძღვანელობამ უნდა მოაგვაროს, არგენტინელმა მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმაც უნდა ჩაამთავროს საკუთარი კონტრაქტი. უკვე ცნობილია, რომ ახალი მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია იქნება. კანდიდატსა და ფედერაციის ახალ ხელმძღვბანელობას შორის სიტყვიერი მოლაპარაკება უკვე გაიმართა და რამდენიმე პრინციპულ საკითხზე თანხმობა არსებობს.

ხიზანიშვილის დებიუტი "სენტ ჯეიმს პარკზე"

როდესაც მთელი საფეხბურთო ევროპა ჩემპიონთა ლიგის მატჩებით იყო დაკავებული, ინგლისური ჩემპიონლიგის მეათე ტურის გამოტოვებულ მატჩში "ნიუკასლმა" ქპრ-ს უმასპინძლა.

ქართველი მცველი ამჯერადაც "კაჭკაჭთა" სასტარტო შემადგენლობაში იყო და 90 წუთს გაისარჯა. ზურამ ახალი გუნდის მაისურით "სენტ ჯეიმს" პარკზე პირველი შეხვედრა ჩაატარა. მატჩი ფრედ - 1:1 დასრულდა.

"ნიუკასლს" 23 ქულა მოუგროვდა და მეორე ადგილზე მყოფ "ვესტ ბრომვიჩ ალბიონს" 3 ქულით უსწრებს.

ალექსი "მილანში"?

სატრანსფერო ბაზარი დაიხურა, "მილანმა" კი ახლა დაიწყო აქტიურობა. როგორც ავტორიტეტული ინგლისური გამოცემა daily mail იტყობინება, დიდია იმის ალბათობა, რომ ბრაზილიელმა მცველმა ალექსმა "მილანში" ამოყოს თავი. თუმცა, იგივე გამოცემა ამბობს, რომ ალექსით რაფა ბენიტესიცაა დაინტერესებული. გამოცდილმა მცველმა უარი თქვა "არისტოკრატებთან" ორი წლით კონტრაქტის გახანგრძლივებაზე და უფრო გრძელვადიანი ხელშეკრულება მოითხოვა, რაც ზემოთ აღნიშნულ ფაქტს უფრო სანდოს ხდის. ასე რომ, თუ ალექსსა და "ჩელსის" შორი რაიმე პრობლემა შეიქმნა, მცველზე მთავარი კანდიდატი როსონერია, მაგრამ თუ მცველმა კონტრაქტი გაახანგრძლივა, ეს ტრანსფერი ნაკლებად სავარაუდო იქნება.

ამ ინფორმაციას ავრცელებს daily mail, მაგრამ არის ერთი დიდი უზუსტობა. "არისტოკრატებს" 2011 წლის ზამთრამდე აკრძალული აქვთ რომელიმე ფეხბურთელთან კონტრაქტის დადება. ასე რომ, თუ ეს ინფორმაცია სანდოა, მაშინ ალექსის "მილანში" ხილვის შანსი საკმაოდ დიდია. აქვე გეტყვით, რომ "ჩელსის" გულშემატკივრები ძალიან კმაყოფილი არიან იმით, რომ კლუბმა განაჩენის გამოტანამდე რამდენიმე დღით ადრე მოასწრო ჯონ ტერისთან და ეშლი კოულთან კონტრქატების გახანგრძლივება.

რონალდუ: ფერგიუსონის დამსახურებაა, რომ დღეს "რეალში" ვარ

კრიშტიანუ რონალდუმ ბრიტანულ გაზეთ guardian-თან საუბარში განაცხადა, რომ მისი ფეხბურთელად ჩამოყალიბება სერ ალექს ფერგიუსონის დამსახურებაა.

"მან მასწავლა ყველაფერი, რაც შეიძლებოდა, რომ მესწავლა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ "რეალში" მოვხვდი, თანაც ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელის სტატუსით. მე ვიყავი არაფერი და გავხდი ყველაფერი. ეს მისი ცოდნისა და ოსტატობის დამსახურებაა. არ მეგონა, თუ ოდესმე ამდენს მივაღწევდი!"

ქარიმის ღამის ცხოვრება

მადრიდის "რეალის" პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი წუხს, რომ ქარიმ ბენზემა ღამის კლუბების ხშირი სტუმარია. მისი ასეთი ქმედება კლუბის ეტიკეტს არღვევს.

ეს წესები შედგება რვა პუნქტისგან. ერთ-ერთი კი ეხება ღამის ცხოვრებას.

"რეალმა" ბენზემა შეიძინა "ლიონისგან" 35 მლნ. ევროდ და არ სურთ ქარიმმა გაიმეოროს ვესლი სნეიდერის ბედი.

სნეიდერმა პირველი სეზონი მადრიდში შესანიშნავად გაატარა, მაგრამ მერე ჟურნალისტებმა ჰოლანდიელი ბევრჯერ შეამჩნიეს ღამის კლუბებში. კლუბი თვლის, რომ სწორედ ამიტომ ამოვარდა ვესლი ფორმიდან.

სერხიო რამოსიც ღამის კლუბების ხშირი სტუმარია. პრესაში რამოსის უამრავი ფოტოა, ღამის კლუბში გადაღებული.

ასევე როისტონ დრენტემაც და გონსალო იგუაინმაც გადაწყვიტეს ღამის კლუბებში სიარული. ასე რომ, "სამეფო კლუბის" ხელმძღვანელობა აპირებს სერიოზული ღონისძიებების გატარებას.

მეხის მსხვერპლი

21 წლის სალვადორელი ფეხბურთელი დავიდ სალდივარ ტობარი მატჩის დროს მეხმა იმსხვერპლა.

სალვადორის პოლიციის მიერ გავრცელებული ცნობით, "ატლეტიკო მორასანის" ნახევარმცველი ქალაქ სან-მიგელის საავადმყოფოში უკვე გარდაცვლილი მიასვენეს.

ასეთი შემთხვევა უცხო არ არის სალვადორისთვის - რამდენიმე თვის წინ მეხმა ქალაქ სან-სალვადორშიც შეიწირა ერთი ფეხბურთელის სიცოცხლე.

სულ რამდენიმე დღის წინ ტრაგედია დანიაშიც დატრიალდა: "ნორდსიელანდის" 24 წლის მოთამაშე ჯონათან რიხტერი რეანიმაციაში გადაიყვანეს, სადაც დღემდე სიკვდილს ებრძვის. ექიმებმა რიხტერისთვის ტემპერატურის დაწევა კი მოახერხეს, მაგრამ მისი გადარჩენის იმედს ვერ იძლევიან. რიხტერს დანიურ "ჰვივოდრესთან" ამხანაგური მატჩის დროს დაეცა მეხი.

ოუენი სამ კვირას იუქმებს

"მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ვოლფსბურგის" მატჩში დაშავდა მანკუნიანელთა ფორვარდი მაიკლ ოუენი. 29 წლის ფეხბურთელმა საზარდული დაიზიანა და, ექიმების თქმით, ორი-სამი კვირა დასვენება დასჭირდება.

"ასეთი ტრავმების დროს მკურნალობის ზუსტი ვადის დადგენა შეუძლებელია. სავარაუდოდ, სარეაბილიტაციო კურსი ორ-სამ კვირას გაგრძელდება. თუმცა, მაიკლი კარგ ფიზიკურ ფორმაშია და არ არის გამორიცხული, უფრო მალე გამოჯანმრთელდეს", - განაცხადა მატჩის შემდეგ მანჩესტერელთა დამრიგებელმა სერ ალექს ფერგიუსონმა.

რესტორანში მიღებული ტრავმა

ფეხბურთელთა უდიდესი ნაწილი ტრავმებს საფეხბურთო მინდორზე იღებს, თუმცა დორტმუნდის "ბორუსიას" მეკარე რომან ვაიდენფელერი გამონაკლისია. მან სხეულის მსუბუქი დაზიანება რესტორანში ატეხილი ჩხუბისას მიიღო.

გერმანული პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დორტმუნდელთა მეკარე თავის მეგობრებთან ერთად ჩაითრიეს კონფლიქტში, რომელიც სიტყვიერი შეურაცხყოფით დაიწყო და ცემა-ტყეპაში გადაიზარდა.

ვაიდენფელერმა თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია და ორი მათგანის დაკავებაში სამართალდამცველებს დაეხმარა კიდეც. პოლიციელები ინციდენტის დეტალებზე საუბრისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ, თუმცა, ამბობენ, რომ კონფლიქტი ალკოჰოლის გადაჭარბებული დოზით მიღებას არ გამოუწვევია.

ვინ ვერ იყიდა პერესმა

მადრიდის "რეალის" პრეზიდენტის ფლორენტინო პერესის საქმიანობას თუ გადავხედავთ, შეგვექმნება შთაბეჭდილება, რომ ის ყიდულობს ყველა იმ ფეხბურთელს, რომელსაც თვალს დაადგამს. თუმცა, მთლად ასე არ ყოფილა. თურმე ნუ იტყვით და, არიან ფეხბურთელები, რომელთა ყიდვა თავად პერესმაც კი ვერ შეძლო.

პერესი არ მალავს, რომ თავის დროზე პაოლო მალდინისა და ფრანჩესკო ტოტის შეძენა სურდა.

"რეალის" რიგებში ყოველთვის მინდოდა ტოტის ხილვა, თუმცა ასეთი მაღალი კლასის ფეხბურთელებს ყოველთვის ვერ დაარწმუნებ იმაში, რომ თავიანთი გუნდი დატოვონ. მომწონდა მალდინიც, მაგრამ მისი შეძენა შეუძლებელი იყო", - ამბობს პერესი.

ვალიელის 150-ე გოლი

უელსელმა ნახევარმცველმა რაიან გიგზმა ინგლისური "მანჩესტერ იუნაიტედის" მაისურით თავისი 150-ე გოლი გაიტანა.

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეორე ტურში "ვოლფსბურგის" კარში საჯარიმოდან გატანილი გოლი რაიან გიგზისთვის მანჩესტერულ კარიერაში რიგით 150-ე აღმოჩნდა.

ამგვარად, 35 წლის ვეტერანი ნახევარმცველი "მანჩესტერის" ისტორიაში გახდა მეცხრე მოთამაშე, რომელმაც ამ მაჩვენებელს მიაღწია.

"თუ სიმართლე გინდათ, საჯარიმო დარტყმა ცუდად შევასრულე, მაგრამ ცოტა გამიმართლა და ბურთი რიკოშეტით კარში აღმოჩნდა. "მანჩესტერის" რიგებში გატანილი 150-ე გოლი არაფერზე მეტყველებს, თუმცა, ცხადია, ამ მიღწევით ვამაყობ. ისე კი, დღეს ეს გოლი თამაშის მსვლელობის გარდატეხაში დაგვეხმარა", - ამბობს რაიან გიგზი.

მარკოიშვილის მორიგი წარმატებული თამაში

ჩვენი ნაკრების კალათბურთელებისთვის სეზონი აგვისტოში დაიწყო. ალბათ საჭირო არ არის იმაზე საუბარი, თუ რა დიდი სიხარული მიანიჭა ქართველ გულშემატკივარს ჩვენი ნაკრების წარმატებამ. ბიჭები ახლა თავიანთ კლუბებში არიან და იქ განაგრძობენ ახალი მწვერვალების დაპყრობას. ბევრ მათგანს ახალი კლუბი აქვს.

გიორგი შერმადინის ბერძნულ წარმატებებზე უკვე მოგიყევით. ვიქტორ სანიკიძემ თავისი გუნდის შემადგენლობაში პირველი ტიტული მოიგო. ზაფხულში ტრავმებით გაწამებულმა მანუჩარ მარკოიშვილმა კი, როგორც ჩანს, თავის ახალ კლუბ "კანტუს" ძირითადში თამაში უკვე დაიბევა.

მანუჩარ მარკოიშვილმა მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა იტალიურ "კანტუს" შემადგენლობაში. "მანუმ" "ბიელასთან" ამხანაგურ შეხვედრაში 14 ქულა მიითვალა და მატჩის ერთ-ერთი შედეგიანი გახდა.

ბურთით მანუჩარ მარკოიშვილია

ქართველი კალათბურთელის ამ ბრწყინვალე თამაშს ის თუ ახუნებს, რომ გუშინდელ მატჩში მისმა გუნდმა მარცხი განიცადა. კანტუელები თამაშის პირველი ნახევრის შემდეგ ათი ქულის სხვაობით (37:27) იგებდნენ, თუმცა, საბოლოოდ, 71:73 დამარცხდნენ.

"კანტუს" რიგებში მარკოიშვილს აჯობა მხოლოდ მაცარინომ, რომელმაც 16 ქულა დააგროვა.

ბერძნულმა კლუბმა "ტრიკალამ", რომლის ღირსებას ქართველი კალათბურთელი გიორგი ცინცაძე იცავს, მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა და "პერისტერი" 80:79 დაამარცხა.

ტრიკალელთა რიგებში ათქულიან ზღვარს სამი მოთამაშე გასცდა. ცინცაძის ანგარიშზე 2 ქულა და 7 შედეგიანი პასი დაგროვდა.

2-3 ოქტომბერს "ტრიკალა" ჩაებმება ოთხთა ტურნირში, რომელშიც მისი მეტოქეები იქნებიან "კოლოსი", "კავალა" და "ილისიაკოსი".

ჩაჭიდავებული კონტინენტები

გიგა გურასაშვილი

ჰერნინგის მსოფლიო ჩემპიონატზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებიდან ერთადერთ წარმატებას ბრინჯაოს მედლით გიორგი გოგშელიძემ (96 კგ.) მიაღწია. იგივე შედეგთან ნაკრების დანარჩენ წევრთაგან ყველაზე ახლოს მძიმეწონოსანი ლექსო მოდებაძე იყო, მაგრამ მესამე ადგილისთვის ბრძოლაში სათანადოდ ვერ გაისარჯა და ხალიჩა მეხუთე ადგილით დატოვა. საერთოდ, 2009 წლის სეზონის შეჯამებისას აღმოაჩენთ, რომ თავისუფლებმა წლეულს კონტინენტის უმთავრესი ასპარეზობები ოქროს მედლის გარეშე დაასრულეს. ასეთი შედეგი მოსალოდნელიც იყო. ამის მიზეზი ოლიმპიურ თამაშებში უნდა ვეძებოთ. საქმე ის არის, რომ, ტრადიციისამებრ, ოლიმპიური თამაშების მომდევნო წელს პატარა ქვეყნის ნაკრებებს ჩავარდნა აქვთ, მათ შორის, საქართველოსაც, რომელიც კონტინენტის პირველობებს სასურველი კონდიციით ვერ ხვდება და მომდევნო შეჯიბრებებზე აკეთებს აქცენტს. იქამდე კი მწვრთნელები გზას უხსნიან, გამოცდილებას მატებენ ახალგაზრდა სპორტსმენებს, რომლებმაც მომავალში ესტაფეტა უნდა ჩაიბარონ.

ზაზა თურმანიძის სამწყსო წლეულს ვილნიუსის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლსა (ბესარიონ გუჩაშვილი) და ორ ბრინჯაოს მედალს (მალხაზ ქურდიანი, მალხაზ მუზიაშვილი) გამორჩა, მსოფლიოზე კი - გოგშელიძის ბრინჯაოს. თუმცა, მის შემთხვევაში უკეთესი შედეგის მოლოდინში ვიყავით. კენჭისყრამ პირველივე წრეში მომავალ ჩემპიონს, რუს ხაჯიმურატ გაცალოვს შეახვედრა. უმჯობესი იქნებოდა, ქართველისა და რუსის გზები ფინალში გადაკვეთილიყო. ამით წაგებას სულაც არ ვამართლებთ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ბოლომდე კონცენტრირებული, მობილიზებული არ იყო. პეკინის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორისთვის გაცალოვი ალბათ ყველაზე უხერხული მეტოქეა. იგივე ითქმის რუსზეც.

ნაკრების დანარჩენ წევრებზე საუბრისას რამე მნიშვნელოვანი მიზეზის მოძებნა ნამდვილად ჭირს.

ბესიკ გუჩაშვილი (55 კგ.) პირველივე წრეში გამოეთიშა მსოფლიო ჩემპიონატს. რაღაცით არ გაუმართლა შალვა მუზიაშვილს (66 კგ.). თურმანიძე, რომელიც მისგან სამეულში შესვლას ელოდა, გაწბილებული დარჩა. თავის გასამართლებად ის თუ გამოადგება, რომ მუზიაშვილს სამწლიანი პაუზა ჰქონდა.

როგორც ვთქვით, ოლიმპიური თამაშების მომდევნო წელს მწვრთნელთა საბჭო გამოცდილების შესაძენად ნაკრებში ახალგაზრდებს, გამოუცდელებს უხმობს. ასე იყო მალხაზ ზარქუასა (60 კგ.) და ნიკოლოზ გაგნიძის (84 კგ.) შემთხვევაში.

ჰერნინგში ტრავმების გამო არ უჭიდავიათ ოლიმპიურ ჩემპიონს რევაზ მინდორაშვილსა (84 კგ.) და ბრინჯაოს პრიზიორს ოთარ თუშიშვილს (66 კგ.).

დიდი შედეგებით ვერც ბეგი დარჩიას გუნდი დაიკვეხნის - ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებზე თითო მედალს გამორჩნენ. ამასთან, ორივე მედალი მანუჩარ ცხადაიას (66 კგ.) დამსახურებაა. სასიამოვნოა, რომ ცხადაიას სახით ნაკრებში ახალი ვარსკვლავი ამობრწყინდა. ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული ბრინჯაოს მერე ცხადაიამ მსოფლიოზე ვერცხლით იყოჩაღა.

ჰერნინგის მსოფლიო ჩემპიონატმა, რომელიც ცხადაიასთვის სადებიუტო იყო, საჭიდაო სამყაროში დიდი მოწონება დაიმსახურა. ოქროსკენ მიმავალ გზაზე ახალგაზრდა სპორტსმენმა არაერთი გამოცდილი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან. ფინალში არ შეეპუა ტიტულოვან აზერბაიჯანელ ფალავანს, ღირსეულად ეჭიდავა და, ის იყო, დამატებითი, მესამე პერიოდი უნდა დანიშნულიყო, რომ მსაჯებმა არარსებული ქულა ოლიმპიურ, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონს ფარიდ მანსუროვს მიაკუთვნეს. არავინ იცის, მესამე პერიოდი ვისი გამარჯვებით დასრულდებოდა, მაგრამ აშკარაა, მსაჯებმა თავი დაიზღვიეს უსიამოვნო სიურპირზისგან და გამარჯვება აზერბაიჯანელს მიაკუთვნეს, რასაც დარბაზში მყოფთა მკვეთრი რეაქცია, მოგვიანებით კი, დაჯილდოების ცერემონიალზე - ცხადაიას ტირილი მოყვა. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მაღალჩინოსნები კი ამაოდ ცდილობდნენ მის დამშვიდებას.

მილანელთა ლიგური ფიასკო

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეორე ტურის მატჩები პირობითად მილანური კლუბების სრულ ფიასკოდ შეიძლება ჩაითვალოს. "ინტერმა" ყაზანის "რუბინი" ვერ დაამარცხა. მეტიც, მოურინიოს გუნდი ბეწვზე გადარჩა. რაც შეეხება "მილანს", "როსონერიმ" "სან სიროზე" "ციურიხთან" წააგო.

ცხადია, უფრო დიდ სენსაცია "მილანის" მარცხია, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რა ფეხბურთს აჩვენებს ლეონარდოს გუნდი სეზონის დასაწყისში, "ციურიხთან" მარცხი დიდი ვერაფერი სენსაციაა. ბოლოს და ბოლოს, "მილანმა" საკუთარ მოედანზე "ბარი" ვერ დაამარცხა და რა გასაკვირია, თუ "ციურიხთან" წააგო.

"ისღა დაგვრჩენია, ფანებს მოვუბოდიშოთ. რა გვაქვს სათქმელი. არც "ბარისთან" უნდა გვეთამაშა ფრედ და არც "ციურიხთან" წაგვეგო. იმედია, ვითარებას გამოვასწორებთ", - აღნიშნა მატჩის შემდეგ ალესანდრო ნესტამ. რაც შეეხება კახა კალაძეს, ის ძირითადში იყო, მთელი 90 წუთი გაატარა მინდორზე და მსაჯისგან ყვითელი ბარათიც მიიღო.

"ინტერი" ამბიციური კლუბია ამბიციური პრეზიდენტით, ამბიციური ფანებით და ზეამბიციური მწვრთნელით, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის მოგება სწადია. "ინტერი" წლევანდელ ევროპულ კომპანიას ორი ფრით იწყებს. შედეგი საგანგაშო არ არის, მაგრამ გუნდი, რომელსაც ლიგის მოგების ამბიცია აქვს, უკეთეს ფეხბურთს უნდა აჩვენებდეს. ამავე დროს, გუნდს, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის მოგების ამბიცია აქვს, არ უნდა ჰყავდეს მწვრთნელი, რომელიც დროის უდიდეს ნაწილს ჟურნალისტებთან ჩხუბში ატარებს. გთავაზობთ ჟოზე მოურინიოს ინტერვიუს, რომელიც მან იტალიურ მედიას "რუბინთან" მატჩის შემდეგ მისცა, თუმცა, მანამდე გეტყვით, რა მოხდა მატჩის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე. ამ თემაზე რუსულ მედიაში ბევრი დაიწერა.

მოურინიო მივიდა პრესკონფერენციაზე და თავაზიანად უპასუხა რამდენიმე რუსი ჟურნალისტის შეკითხვას. შემდეგ იტალიური მედიის ჯერი

მოურინიო ყაზანში გამართულ პრესკონფერენციაზე

დადგა. აპენინელი ჟურნალისტის შეკითხვა მოურინიოს იმდენად არ ესიამოვნა, რომ საუბარი ხმამაღლა გააგრძელა. ერთ-ერთი რუსი ჟურნალისტი ამის შესახებ წერდა: "ვისხედით და ვუყურებდით, როგორ ეჩხუბებოდა მოურინიო იტალიელ კოლეგებს. ბოლოს ყვირილზე გადავიდა და გამწარებულმა დატოვა დარბაზი".

მართალია, მატჩის შემდეგ იტალიელ ჟურნალისტებთან საუბარში მოურინიოს არ უჩხუბია, მაგრამ ინტერვიუდანაც ჩანს, რომ პორტუგალიელი ჟურნალისტებს არ სწყალობს.

- შეგიძლიათ პირდაპირ გვითხრათ, ხართ თუ არა კმაყოფილი მატჩის შედეგით?

- კვლავ ქვეტექსტებით მესაუბრებით. თითქოს რაიმე საზარელი მოხდა. თუმცა მაინც გაპასუხებთ. ამ შეკითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ მაქვს. ვერც იმას ვიტყვი, რომ კმაყოფილი ვარ და მსაჯის საფინალო ნიშნის შემდეგ არც მაინცდამაინც უკმაყოფილო უნდა ვყოფილიყავი. ძალიან არ მომეწონა, თუ როგორ ჩაატარა ჩემმა გუნდმა ასპარეზობისთვის განკუთვნილი პირველი ათი წუთი. გაშვებული გოლის შემდეგ "ინტერის" თამაში სასიკეთოდ გადასხვაფერდა. ამასთან, რიცხობრივ უმცირესობაში მყოფებმა, გასვლით მატჩში ფრეს მივაღწიეთ, რაც არცთუ ურიგო შედეგია. ახლა ორი მატჩი გველის კიევის "დინამოსთან" და იმედი მაქვს, ქულათა მაქსიმუმს ავიღებთ.

- დიეგო მილიტო რატომ არ ათამაშეთ?

- რა, არ იცით, რომ მილიტო ტრავმირებულია? აი, ამიტომ ვერ ვათამაშე. სხვა რა მიზეზი უნდა ყოფილიყო?!

- მსაჯობაზე ხომ არ გვეტყოდით რამეს?

- არ ვარ ის ადამიანი, რომელიც მსაჯებზე საუბრობს. განსაკუთრებით იმ თამაშის შემდეგ, რომელშიც ქულები დავკარგეთ. მსაჯს ნამდვილად ვერაფერს დავაბრალებ. თქვენი კითხვის აზრი კი გასაგებია. გაინტერესებთ, რა აზრის ვარ ბალოტელის გაძევებაზე. გიპასუხებთ, რომ არბიტრმა მარიო სამართლიანად გააგდო მოედნიდან.

- ალბათ დამეთანხმებით, რომ ასეთი ლაფსუსები დაუშვებელია ჩემპიონთა ლიგის მატჩებში. ხომ არ ფიქრობთ, რომ ბალოტელი ამ დონის ტურნირისთვის ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და ფსიქოლოგიურად არ არის მზად?

- მარიო სულ ახალახან გახდა 19 წლის. ცხადია, არა აქვს ის გამოცდილება, რაც ჩემპიონთა ლიგის მატჩებს სჭირდება. მილანში რომ დავბრუნდებით, მას სერიოზულად ვესაუბრები. პრესის წარმომადგენლებს კი ვთხოვ, მარიოს ზედმეტად ნუ გააკრიტიკებთ. მერწმუნეთ, რაც სათქმელია, თავად ვეტყვი თქვენი დახმარების გარეშე.

- "ინტერმა" ჩემპიონთა ლიგაში არც ისე დამაჯერებელი სტარტი აიღო.

- გააჩნია, როგორ შევხედავთ. დაგროვილი ორი ქულა ცოტაა. მეორე მხრივ, ფრე "ბარსელონასთან" და "რუბინთან" სტუმრად მოპოვებული ქულა. ვფიქრობ, ჯგუფური ეტაპის ბარიერს მაინც გადავლახავთ. საამისოდ მილანში "რუბინსა" და "დინამოს" უნდა მოვუგოთ. ეს 6 ქულა პლეიოფში გასასვლელად საკმარისი იქნება.

- "ინტერის" თამაშით უკმაყოფილო არ ხართ, მაგრამ "რუბინმა" რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი შექმნა და ერთ-ერთი მაინც რომ გამოეყენებინა, უარეს გუნებაზე იქნებოდით.

- კაცნაკლული ვთამაშობდით. ამიტომაც გაგვიჭირდა. ამის მიუხედავად, უსუსურად არ გამოვიყურებოდით. დროდადრო ტაქტიკურ ცვლილებებსაც ვახდენდით. თუ დააკვირდით, მეტოქემ სტანკოვიჩის მოქმედება მაქსიმალურად შებოჭა, რის გამოც სხვაგვარი განლაგება ავირჩიეთ. ამან სასურველი ეფექტი მოგვცა.

- მეტოქემ არ გაგაკვირვათ? ელოდით, რომ "რუბინი" ასეთ ფეხბურთს აჩვენებდა?

- გაკვირვებით არაფერი გამკვირვებია. მეტოქე კარგად მყავდა შესწავლილი და ვიცოდი, რა ძალის გუნდსაც ვეთამაშებოდით. არ დაგავიწყდეთ, რომ ეს პირველი მატჩია ჩემპიონთა ლიგის ეგიდით, რომელიც აქ, ყაზანში გაიმართა. "რუბინის" ფეხბურთელები იმდენად მოტივირებული იყვნენ, რომ იმაზე მეტი გააკეთეს, რაც შეუძლიათ.

- რამდენად კმაყოფილი ხართ წინასასეზონოდ "ინტერის" მიერ განხორციელებული სატრანსფერო ცვლილებებით?

- კმაყოფილი ვარ. ახალმა შემსრულებლებმა სათამაშო ტაქტიკაში ახლებური სიო შემოიტანეს. მთლიანად გუნდმაც დამატებითი მოტივაცია შეიძინა.

კომენტარები:

ტრადიციად იქცა, რომ ჩემპიონთა ლიგის მატჩების დასრულების შემდეგ გუნდების წარმომადგენლები უეფას ოფიციალური ვებგვერდისთვის კომენტარს აკეთებენ. არც ჩვენ დავარღვევთ ტრადიციას და გეტყვით, თუ ვინ რა თქვა ოთხშაბათის მატჩების შემდეგ.

ფალკაო ("პორტოს" ფეხბურთელი, "ატლეტიკოს" კარში გატანილი ერთ-ერთი გოლის ავტორი): "ჩემპიონთა ლიგაში თამაში ყოველთვის ჩემი ოცნება იყო. ოცნება ავისრულე და, თანაც როგორ."

ტომაშ უიფალუში ("ატლეტიკოს" მცველი): "ჩემპიონთა ლიგა არის ტურნირი, რომლის თითოეულ თამაშში ბოლომდე უნდა დაიხარჯო. არ არის საკმარისი, მხოლოდ 70 ან 80 წუთი ითამაშო კარგად."

პეტრ ჩეხი ("ჩელსის" მეკარე): "თამაში კარგად დავიწყეთ და საწადელსაც მალე მივაღწიეთ. მართალია, მეორე ტაიმში ოდნავ გაგვიჭირდა, მაგრამ ჩემი გუნდის გამარჯვებაში ეჭვი არ მეპარებოდა".

კონსტანტინოს ჩალამბერიდისი ("აპოელის" ფორვარდი): "არაფერია სამარცხვინო იმაში, რომ "ჩელსისთან" დავმარცხდით. თუმცა, დარწმუნებული ვარ, უფრო მეტი შეგვეძლო. ცოტა რომ გაგვმართლებოდა, ფრესაც გამოვკრავდით ხელს".

კრიშტიანუ რონალდუ ("რეალის" ფორვარდი) "პირველ გოლამდე გაგვიჭირდა, მერე კი ყველაფერი თავის ადგილას დადგა. მეტოქე გაიხსნა, მეტი სივრცე მოგვეცა და შედეგიც ყველამ დაინახა."

ბრანდაო ("მარსელის" თავდამსხმელი): საგანგაშო არაფერია. დღეს "მილანმაც" წააგო. ოთხი მატჩი გვაქვს დარჩენილი და, მჯერა, შემდეგ ეტაპზე გასვლა შეგვიძლია".

ჰაანუ ტიჰინენი ("ციურიხის" კაპიტანი): კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ და, ცხადია, გაგვიმართლა კიდეც. თუმცა, ჯობს, რეალისტები ვიყოთ. გამართლების გარეშე "მილანს" "სან სიროზე", ჩვენ კი არა, გრანდებიც ვერ დაამარცხებენ".

რაიან გიგზი ("მანჩესტერ იუნაიტედი"): "მატჩამდეც ვიცოდით, რომ რთული თამაში გველოდა. მიხარია, რომ ჩემი გოლით ანგარიში გავათანაბრე. მერწმუნეთ, იმ მომენტში ნამდვილად არ მიფიქრია იმაზე, თუ მერამდენე გოლი გავიტანე კარიერაში".

ერვინ ჯეკო ("ვოლფსბურგი"): "ურიგოდ არ გვითამაშია. ვფიქრობ, ასეთ ტურნირებში თამაშის მეტი გამოცდილება რომ გვქონდეს, "ოლდ ტრაფორდიდან", სულ მცირე, ქულას წამოვიღებდით".

ასლან ძაგოევი (ცსკა): "გაცილებით უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე პირველ ტურში. გამარჯვებას ვიმსახურებდით და ახლა შემდეგ ეტაპზე გასვლაც რეალური გახდა".

მიკაელ კანი ("ბორდოს" ნახევარმცველი): "ეს ჩემი პირველი გოლია "ბორდოს" შემადგენლობაში. რაც მთავარია, ეს გოლი უმნიშვნელოვანეს მატჩში გავიტანე".

ცეპრ მასილელა ("მაკაბის" ფეხბურთელი): "აშკარად არ გაგვიმართლა. მეტოქემ მატჩის ბოლო წუთებზე გაგვიტანა. ჩემპიონთა ლიგაში თამაში ჩვენთვის უდიდესი გამოცდილებაა. ცხადია, გვესმოდა, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლა ფანტასტიკის სფერო იყო."

დანიელ ვან ბუიტენი ("ბაიერნის" მცველი): "ვფიქრობ, არ გაგვიმართლა. სულ ცოტა, ერთ გოლს მაინც ვიმსახურებდით. ბურთი ძელს მოვარტყით."

ჯანლუიჯი ბუფონი ("იუვენტუსი"): "სტუმრად ქულის აღება ურიგო შედეგი არ არის. თუმცა, მთლიანობაში ჩემპიონთა ლიგა მთლად კარგად ვერ დავიწყეთ. იმისთვის, რომ შემდეგ ეტაპზე გავიდეთ, დიდი ბრძოლების გადატანა მოგვიწევს".

უოლკოტი ბრუნდება

"არსენალისა" და ინგლისის ნაკრების ახალგაზრდა ფორვარდმა თეო უოლკოტმა ტრავმა მოიშუშა და მალე მინდორს დაუბრუნდება.

მეტიც, "მეთოფეთა" მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი გულშემატკივრებს დაჰპირდა, რომ კვირას, "ბლექბერნთან" მატჩში, უოლკოტს თამაშის საშუალებას მისცემს.

ტრავმით გამოწვეული იძულებითი შესვენების შემდეგ ინგლისის ნაკრების 20 წლის ფეხბურთელმა ვარჯიში ათი დღის წინათ განაახლა, ორშაბათს კი "არსენალის" დუბლების შემადგენლობაში "ოლიმპიაკოსის" ახალგაზრდული გუნდის წინააღმდეგ ითამაშა. ასე რომ, მოედანზე დასაბრუნებლად ის მზად არის. "ოლიმპიაკოსის" ახალგაზრდულ გუნდთან მატჩში თეო კარგად გამოიყურებოდა. მან მოედანზე 60 წუთი დაჰყო და დატვირთვას იოლად გაუძლო. უახლოეს ტურში, "ბლექბერნთან", აუცილებლად ვათამაშებ. მერე კი სანაკრებოდაც მზად იქნება", - აღნიშნა ვენგერმა. ინგლისის ეროვნულ გუნდს ოქტომბერში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლო ორი მატჩი ელის - სტუმრად უკრაინასთან და შინ ბელარუსთან.

მკაცრი სანქცია

ინგლისური "მანჩესტერ იუნაიტედის" ქომაგს სამი წლით აუკრძალეს "ოლდ ტრაფორდზე" შესვლა. ჯეიკ კლარკს, "იუნაიტედსა" და "სიტის" შორის გამართული მანჩესტერული დერბის შემდეგ მინდორზე შეჭრისთვის, "ოლდ ტრაფორდზე" შესვლის უფლების სამი წლის ვადით ჩამორთმევასთან ერთად, ფულადი ჯარიმაც დაეკისრა. "მანჩესტერის" ფანს საყვარელი გუნდის საშინაო არენაზე შესვლა მხოლოდ ხელისუფლების განსაკუთრებული ნებართვის შემდეგ შეეძლება. გარდა ამისა, ის 220 გირვანქა სტერლინგითაც დაჯარიმდა. როგორც ცნობილია, "მანჩესტერის" გულშემატკივარმა დაცვის კორდონი გააღღვია და მინდორზე შეიჭრა, სადაც "სიტის" ფეხბურთელ კრეიგ ბელამისგან სახეში დარტყმა მიიღო. ამის შემდეგ ის წესრიგის დამცველებმა დააკავეს.

ვან დერ ვაარტს იტალიაში ელიან

მადრიდის "რეალის" მიერ დაწუნებული რაფაელ ვან დერ ვაარტის მიმართ იტალიური კლუბების დაინტერესება არ ცხრება. საერთოდ, "სამეფო კლუბის" მიერ დაწუნებულმა ჰოლანდიელებმა მეტწილად სწორედ იტალიაში პოვეს თავშესაფარი. კლასიან ჰუნტელაარისა ("რეალიდან" გადავიდა "მილანში") და ვესლი სნეიდერის ("რეალიდან" "ინტერში") შემდეგ პირენეიდან აპენინებზე გადასვლის პერსპექტივა რაფაელ ვან დერ ვაარტსაც გაუჩნდა. 26 წლის შემტევი ნახევარმცველის შეძენა "ლაციოს" სურს. წელიწადნახევრის წინ ჰოლანდიელი "სამეფო კლუბში" ვარსკვლავის სტატუსით მივიდა, თუმცა, მადრიდელთა სათამაშო სქემას ვერ მოერგო და სულ მალე ერთ რიგით ფეხბურთელად იქცა. მოგვიანებით კი სათადარიგომდეც ჩამოქვეითდა. გასულ ზაფხულს "რეალს" ვან დერ ვაარტი გასაყიდ მოთამაშეთა სიაში ჰყავდა შეყვანილი, მაგრამ ჰოლანდიელის შეძენის მსურველთაგან ხეირიანი წინადადება ვერ მიიღო და იძულებული გახდა, იგი გუნდში დაეტოვებინა. მიმდინარე სეზონში ფეხბურთელს სამატჩო განაცხადშიც კი უჭირს მოხვედრა, მოედანზე გასვლის საშუალება კი მხოლოდ ერთ შეხვედრაში მიეცა. მოკლედ, "რეალსა" და ვან დერ ვაარტს აშკარად ყელში აქვთ ამოსული ერთმანეთი - მადრიდელებს ჰოლანდიელი ზედმეტ ტვირთად აწევთ, ხოლო თვითონ ფეხბურთელს უქმად ყოფნა არ მოსწონს და გუნდის შეცვლას ცდილობს. "ლაციოს" პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს სწორედ ამ სიტუაციის გამოყენება სურს და ნიჭიერი ფეხბურთელის სარფიან ფასად ხელში ჩაგდებას ცდილობს. დღეს 26 წლის შემტევის საორიენტაციო სატრანსფერო ღირებულებად სახელდება 7.5 მილიონი ევრო (ორჯერ ნაკლები, ვიდრე ზაფხულში), რაც ხელმისაწვდომია რომაული კლუბის პრეზიდენტისთვის. ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანას ლოტიტო იანვარში გეგმავს.

"ბაიერნმა" რობენი დაკარგა

არიენ რობენმა მალე აუღო ალღო მიუნხენის "ბაიერნს" და ფრანკ რიბერისთან ერთად ამ კლუბის ლიდერად იქცა. თუმცა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მორიგი ტურის შეჯხვედრაში, რომელშიც "ბაიერნი" "იუვენტუსს" დაუპირისპირდა, რობენმა ტრავმა მიიღო და ახლა ლუი ვან გაალს კარგა ხანს მოუწევს ჰოლანდიელის გარეშე თამაში.

"ვშიშობ, რომ რობენის გამოყენების შანსი კიდევ კარგა ხანს არ მექნება. მოთამაშეები გრძნობენ, თუ როგორი ტრავმა მიიღეს. მე არიენსაც ვკითხე. მან მიპასუხა, რომ ცუდი წინათგრძნობა აქვს," - აცხადებს ვან გაალი.

მიუნხენური კლუბის ექიმებს საკუთარი დიაგნოზი ჯერ არ გამოუტანიათ.

კოპენჰაგენში დიდი სტუმრიანობაა. დანიის დედაქალაქი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კონგრესს მასპინძლობს, რომლის კულმინაციაც 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქის გამოვლენაა. თამაშების მასპინძლობისთვის კი იბრძვიან, რიო დე ჟანეირო, ჩიკაგო, ტოკიო და მადრიდი, რომლებიც საკუთარი ემისრებით სწვევიან დანიის დედაქალაქს და ოლიმპიზმის მესაჭეებს, საკუთარი ქვეყნისა და ქალაქის უპირატესობაში არწმუნებენ. იქამდე კი დანიის სამეფო კარმა ამალიენბორგის სასახლეში საპატიო სტუმრები მიიწვია და მათთან ერთად ეს ღირშესანიშნავი დღე ფირზე აღბეჭდა. აი, ისინიც (მარცხნიდან): საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ჟაკ როგის მეუღლე ანა, თავად ჟაკ როგი, ესპანეთის დედოფალი სოფია, ესპანეთის მეფე ხუან კარლოს, დანიის უფლისწული ჰენრიკი, დანიის დედოფალი მარგარეტი, დანიის სამეფო ტახტის მემკვიდრე ფრედერიკი და პრინცესა მარი, აშშ-ის პირველი ლედი მიშელ ობამა და იაპონიის პრემიერ-მინისტრი იუკიო ჰატოიამა.

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "

ერთადერთი კლინიკა 8

ფილიალით და ერთი მოძრავი

საოპერაციო ბლოკით ბლოკით

SLT - ლაზერი

გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის

უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

TEGETA TRUCK & BUS

MAN Nutzfahrzeuge AG-ს ოფიციალური პარტნიორი საქართველოში

სენსაციური ფასები

MAN-ის ახალი სატვირთო ტექნიკა გერმანიიდან

38 000 ევროდან

დ.აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ. 891 280–280, 244–744 244–744

შპს „დასავლეთის წყალის” გენერალურ დირექტორს
კონკურსანტი ——————————-

——————————————-

მცხ. ——————————————-

——————————————-

ტელ. ——————————————

განცხადება

გთხოვთ, დამრთოთ ნება რათა მონაწილეობა მივიღო შპს „დასავლეთის წყალის” მიერ ——————————— სერვის ცენტრში სტაჟიორთა მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში.

პატივისცემით,

(ხელმოწერა, თარიღი)

I. ქ. თბილისის N134 საჯარო სკოლა (მისამართი:ქ. თბილისი, დიღმის მასივი VI კვარტალი) აცხადებს კონკურსს სკოლის ბალანსზე რიცხული, შენობის: 50კვ.მ. ფართი ბუფეტის ფუნქციონერებისათვის;იჯარის ვადა: 3 წელი. საკონკურსო პირობებია: ფიჭური ანტენის განთავსებისათვის - დასკვნა შესაბამისი ორგანიზაციიდან უვნებლობის შესახებ; ეკოლოგიური, სანიტარულ - ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო პირობების დაცვა;. შაიჯარო ფართში ელექტოენერგიის, წყლის განმხოლოება, დაკავებული ფართის მიხედვით ზამთრის პერიოდში პროპორციულად გაზის საფასურის გადახდა; კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: 1.განცხადება; 2.ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან; 3.გადამხდელის მოწმობის ასლი; 4.საქმიანობის მოკლე დახასიათება. 2009 წლის 2 ნოემბერს 11:00 საათამდე; წინადადებები გაიხსნება 2009 წლის 2 ნოემბრის 13:00 საათზე. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი VI კვარტალი, 134-ე საჯარო სკოლა, საკ. ტელ. 52 00 08.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

ა/წ 29 სექტემბერს “24 საათში” საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია “გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ”. აუქციონში გამოცხადებულ N1; და N9 ლოტები საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 1 ოქტომბრის N1-1/2237 ბრძანების საფუძველზე ჩაშლილად გამოცხადდა და შესაბამისად შეწყდა საბუთების მიღება აღნიშნულ ლოტებზე.

დაზუსტება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გაზეთ “24 საათში” 2009 წლის 14 სექტემბერს №198, 15 სექტემბერს №199, 17 სექტემბერს №201, 23 სექტემბერს №206 გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებებში, რომლებიც შეეხება შემდეგი სამუშაოების შესყიდვას:

1. №6 ზონაში შემავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების (ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის (სომხეთის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ.4-97; დიდი დმანისი-დმანისი-ბედიანის საავტომობილო გზის კმ.1-70.2; ბოლნისი-სიონის მონასტერი-წუღრულაშენის საავტომობილო გზის კმ.1-11.7; ქვეშიძეძვნარისი-ტანძიას საავტომობილო გზის კმ.1-8.7; ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის ს/გზა – თამარისი-დარეჯანის სასახლეს საავტომობილო გზის კმ.1-1.1) მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოები.

2. №29 ზონაში შემავალი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების (ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის კმ.30-198; ბეჩოტურბაზა ”შიხრა” საავტომობილო გზის კმ.1-8.2; ხაიში-საკენი-ომარიშარას საავტომობილო გზის კმ.1-3) მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოები.

3. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მარტვილი-ტალერი-ჩხოროწყუს საავტომობილო გზის კმ.25 პკ.7+16-ზე რკინაბეტონის მილის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

4. №18 ზონაში შემავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების (ახალციხე-ნინოწმინდა-სომხეთის საზღვარი საავტომობილო გზის კმ.52-110; ბორჯომი-ბაკურიანი-ახალქალაქის საავტომობილო გზის კმ.55-82.8; ახალქალაქი-კარწახის საავტომობილო გზის კმ.1-36.5; თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდას საავტომობილო გზის კმ.116-157.9; ახალქალაქი-კარწახის გზიდან-კიროვაკანი-კუმურდოს საავტომობილო გზის კმ.1-10.1) მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის სამუშაოები.

5. №7 ზონაში შემავალი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების (თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდას საავტომობილო გზის კმ.1-115; მარნეული-თეთრიწყარო-წალკას საავტომობილო გზის კმ.61-88.7; წყნეთი-სამადლოს საავტომობილო გზის კმ.1-5; ნიჩბისი-დიდგორი-დიდი თონეთის საავტომობილო გზის კმ.1-30; ბეთანიის ეკლესიასთან მისასვლელი საავტომობილო გზის კმ.1-6.7; იმერა-ბაშკოვი-თეჯისი-ჩიტკილისა-ხაჩკოვი-გუმბათი-ავრალოს საავტომობილო გზის კმ.1-32) მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) სამუშაოები.

6. საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 143-ე კმ.-ზე არსებული რიკოთის საუღელტეხილო გვირაბის მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოები.

მეხუთე პუნქტის 5.1.3 ქვეპუნქტის ლიტერა „დ“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დ) ინფორმაციას ქვე-კონტრაქტორის მიერ გასაწევი სამუშაოების შესახებ.

-- შენიშვნა: ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორზე წარმოდგენილი იქნას შემდეგი სახის ინფორმაცია.

ა. ქვე-კონტრაქტორის დასახელება და მისამართი;

ბ. შესასრულებელი სამუშაოების დასახელება

გ. შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება;

დ. ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება (წარმოდგენილი იქნას ის ძირითადი ობიექტები, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს შესრულებული აქვს ანალოგიური სამუშაოები, თანხების და შესრულების ვადების მითითებით. წარმოდგენილი უნდა იქნას ასევე ამ ობიექტებზე ხელშეკრულებების ასლები და სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები–სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად

ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	შესასრულებელი სამუშაოების დასახელება	შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება	ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება
1			
2			
და ა.შ.			

-- ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში. ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%

საავტომობილო გზების დეპარტამენტის
სატენდერო კომისია

განცხადება
სტაჟიორთა მისაღები კონკურსის შესახებ

შპს „დასავლეთის წყალი” აცხადებს სერვის ცენტრებში სტაჟიორთა მისაღებ კონკურს.

სტაჟიორებად მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე ან უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელ კურსზე მყოფი საქართველოს მოქალაქეები.

სტაჟიორთა შერჩევისას უპირატესობა მიენიჭებათ იმ კანდიდატებს, რომლებსაც უმაღლესი განათლება გააჩნიათ (ან სწავლობენ უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელ კურსზე) შემდეგი განხრით:

1. **იურიდიული;**
2. **ეკონომიკური (საფინანსო-საბუღალტრო).**
3. **საინჟინრო (სასურველია წყალმომარაგებისა და წყალარინების სპეციალობით).**
4. **ბიოლოგიური და ქიმიური**.

ამასთან, სასურველია კანდიდატებს შეეძლოთ კომპიუტერთან მუშაობა სამომხარებლო დონეზე.

სტაჟირება უფასოა და იგი გრძელდება მაქსიმუმ 6 თვის განმავლობაში.

სტაჟირების წარმატებით დასრულების შემდეგ, ვაკანტური თანამდებობის არსებობის შემთხვევაში, სტაჟიორები შეიძლება დაინიშნონ შესაბამის თანამდებობებზე.

სტაჟიორთა კონკურსი ერთ ეტაპიანია და იგი ჩატარდება გასაუბრების ფორმით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს შპს „დასავლეთის წყალის” (მისამართი: ქ.ქუთაისი, სულხან-საბას N37, ტელ: 8231-62225; ფაქსი: 8231-91625; e-mail: dasavletis@gmail.com), ან რეგიონებში მცხოვრებთათვის შესაბამის სერვის ცენტრებში: ჭიათურა, ტყიბული, წყალტუბო, ბაღდათი, ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, სამტრედია, ხარაგაული, ხონი, ჩოხატაური, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ხობი, სენაკი, აბაშა, მარტვილი, ჩხოროწყუ, ფოთი, მესტია, ამბროლაური, ლენტეხი, ონი, ცაგერი (აღნიშნული სერვის ცენტრების მისამართებს მოგაწვდით ზემოთ მითითებულ საკონტაქტო ტელეფონზე) 2009 წლის 10 სექტემბრიდან და გაგრძელდება 2009 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით, ყოველდღე შაბათ-კვირისა გარდა 11.00 საათიდან 18.00 საათამდე. საკონტაქტო პირი: სოფიო გოგისვანიძე ტელ: 8231-62225; 895332865.

სტაჟიორთა კონკურსში მონაწილეობის მსურველმა შპს „დასავლეთის წყალის” სერვის ცენტრებში უნდა წარადგინოს:

1. კონკურსში მონაწილეობის თაობაზე წერილობითი განცხადება შპს „დასავლეთის წყალის” გენერალური დირექტორის სახელზე;

2. დიპლომის ასლი (უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის) ან უმაღლსი საგანმანათლებლო დაწესებულების დამამთავრებელ კურსზე სწავლის დამადასტურებელი ცნობა;

3. ავტობიოგრაფია.

4 ორი ფერადი ფოტოსურათი (3/4).

გასაუბრების ჩატარების ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ კანდიდატებს წინასწარ ეცნობებათ გასაუბრებამდე მინიმუმ სამი დღით ადრე.

შპს „დასავლეთის წყალი”

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი
შესყიდვის ობიექტი – გენერატორები (მონტაჟით)

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს გენერატორების (მონტაჟით) შესყიდვაზე.

შესყიდვის ობიექტი:

ლოტი №	საქონლის დასახელება		განზომილების ერთეული	რაოდენობა
1	გენერატორები (მონტაჟით)	3-დან 5 კვტ-მდე	ცალი	11
		8-დან 12 კვტ-მდე	ცალი	2
		10-დან 14 კვტ-მდე	ცალი	1
		20-დან 22 კვტ-მდე	ცალი	1
		50-დან 57 კვტ-მდე	ცალი	3
		150-დან 170 კვტ-მდე	ცალი	1
		200-დან 220 კვტ-მდე	ცალი	1

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

3. გენერატორების მიწოდება (მონტაჟით) უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) დღის განმავლობაში.

4. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში 2009 წლის 22 ოქტომბერს 09:00 საათიდან 15:00 საათამდე მე-17 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 **იურიდიული პირებისათვის**:

ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა შესაბამისად თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ;

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

5.2 **ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5.3 **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა)სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;

ბ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

18.

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ.

6. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტია (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას).

7. სატენდერო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

№	შეფასების კრიტერიუმი	პრიორიტეტულობის კოეფიციენტები
1	**სატენდერო წინადადების ღირებულება**	**0,35**
2	**პროდუქციის ხარისხი**	**0,30**
3	**საგარანტიო პირობები**	**0.20**
4	**მიწოდების ვადები (მონტაჟით)**	**0,15**
	სულ:	**1,00**

8. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტში მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, თუ რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული არ იქნება შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაცია მე-7 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

9. თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბკონტრაქტორების ჩართვაც, მაშინ, სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტის მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბკონტრაქტორისათვის.

10. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

11. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება მე-5 და მე-6 პუნქტებში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია.

12. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს შეეძლებათ (მე-16 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) 2009 წლის 02 ოქტომბრის 09:00 საათიდან 2009 წლის 21 ოქტომბრის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ქ. თბილისი 0114, გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული ოთახი №8-9, სატენდერო კომისიის აპარატი.

13. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

14. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 22 ოქტომბერს 15:00 საათზე.

15. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

16. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი - 200 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები – ხაზინის ერთიანი ანგარიში
ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302006000
გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, გენერატორები (მონტაჟით), საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

და წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი საბუთი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში მე-17 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

17. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული, ოთახი №8-9; ტელეფონი: (+99532) 261-337, 261-335; საკონტაქტო პირები: ალექსანდრე თევდორაძე, ირაკლი თადიაშვილი, ელ-ფოსტა: **a.tevdoradze@mof.ge, i.tadiashvili@mof.ge.**

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "

ერთადერთი კლინიკა 8

ფილიალით და ერთი მოძრავი

საოპერაციო ბლოკით ბლოკით

SLT - ლაზერი

გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის უკანასკნელი

მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

იყიდება!

მოქმედი მრავალფრაქციული "დრაბილკა",
ლიცენზირებული კარიერით
80 000 კბ. მ-ზე
ტექნიკასთან ერთად:

- ექსკავატორი "3322 (ობობა),
- მტვირთავი "T0-30",
- თვითმცლელი ა/მ "მაზი",
- ბულდოზერი "C/130"

ფასი შეთანხმებით

საკონტაქტო ტელეფონი:
897 56 20 60

საქმე №2/4120-09
განჩინება
საქართველოს სახელით

საჯარო შეტყობინების შესახებ
14 სექტემბერი, 2009 წელი თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის
მოსამართლე სოსო ღურწკაია
მოსარჩელე - სს „ტაოპრივატბანკი“
წარმომადგენელი - ნოდარ პაპუკაშვილი
მოპასუხეები: 1. შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპი“
2. ნუგზარ ქარაბაქი
3. თეა ფანჩულიძე
დავის საგანი - სესხის ხელშეკრულებით გადასახდელი თანხის დაკისრება
ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჯარო შეტყობინების საკითხი და

გამოარკვია:

2009 წლის 02 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მომართა სს „ტაოპრივატბანკმა“ მოპასუხეების: შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპი“-ს, ნუგზარ ქარაბაქის და თეა ფანჩულიძის მიმართ სესხის ხელშეკრულებით გადასახდელი თანხის დაკისრების თაობაზე.

სარჩელი დამყარებულია შემდეგ გარემოებებზე: 2006 წლის 9 ნოემბერს ს/ს „ტაოპრივატბანკსა“ და შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპს“ შორის გაფორმდა საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ №193 გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება, ხოლო მის საფუძველზე, 2007 წლის 8 ივნისს, 2007 წლის 18 ივნისს, 2007 წლის 26 ივნისსა და 2008 წლის 26 მარტს ს/ს „ტაოპრივატბანკსა“ და შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპს“ შორის გაფორმდა №193/2, №193/3, №193/4 და №2002 დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც ბანკმა გასცა მსესხებელზე კრედიტი, მთლიანობაში, 265000 (ორას სამოცხახუთი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით. მათ ორის, №193/2 ხელშეკრულების მიხედვით, 24 თვის ვადით, წლიური 18%-იანი საპროცენტო განაკვეთით, პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. №193/3 ხელშეკრულების მიხედვით, 24 თვის ვადით, წლიური 18%-იანი საპროცენტო განაკვეთით, პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. №193/4 ხელშეკრულების მიხედვით, 24 თვის ვადით, წლიური 18%-იანი საპროცენტო განაკვეთით, პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხოლო №2002 ხელშეკრულების მიხედვით, 14 თვის ვადით, წლიური 20%-იანი საპროცენტო განაკვეთით, პირგასამტეხლო გადაცილებაზე 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

გენერალური და დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულებების უზრუნველყოფის მიზნით გაფორმდა შემდეგი ხელშეკრულებები:

1. ბანკსა და ნუგზარ ქარაბაქს შორის 2007 წლის 8 ივნისის №193/4 თავდებობის ხელშეკრულება;
2. ბანკსა და თეა ფანჩულიძეს შორის 2007 წლის 8 ივნისის №193/5 თავდებობის ხელშეკრულება;
3. ბანკსა და ნუგზარ ქარაბაქს შორის 2007 წლის 18 ივნისის №193/6 თავდებობის ხელშეკრულება;
4. ბანკსა და თეა ფანჩულიძეს შორის 2007 წლის 18 ივნისის №193/7 თავდებობის ხელშეკრულება;
5. ბანკსა და ნუგზარ ქარაბაქს შორის 2007 წლის 26 ივნისის №193/8 თავდებობის ხელშეკრულება;
6. ბანკსა და თეა ფანჩულიძეს შორის 2007 წლის 26 ივნისის №193/9 თავდებობის ხელშეკრულება;
7. იპოთეკისა და გირავნობის ხელშეკრულებები.

მოსარჩელის მითითებით, სს/ს „ტაოპრივატბანკმა“, ჯერ კიდევ 2009 წლის 21 აპრილის №429 წერილით გააფრთხილა შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპი“ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი სანქციების თაობაზე, იყო სატელეფონო კონტაქტებიც, თუმცა ვალდებულება დღემდე შეუსრულებელია.

კონკრეტული ხელშეკრულებების მიხედვით, 2009 წლის 11 ივნისის მდგომარეობით მოპასუხეების დავალიანება შეადგენს:

ა) 2007 წლის 8 ივნისის №193/2 დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით, შეადგენს 62817.76 აშშ დოლარს (დანართი №1); ბ) 2007 წლის 18 ივნისის №193/3 დამატებითი ხელშეკრულების მიხედვით, შეადგენს 9685.92 აშშ დოლარს (დანართი №2); გ) 2007 წლის 26 ივნისის №193/4 დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით, შეადგენს 14244.82 აშშ დოლარს (დანართი №3); 2008 წლის 26 მარტის №2002 დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით, შეადგენს 44818.64 აშშ დოლარს (დანართი №4), მთლიანობაში 131567.14 (ას ოცდათერთმეტი ათას ხუთას სამოცდაშვიდი და 14 ცენტი) აშშ დოლარს.

მოსარჩელე ითხოვს მოპასუხეებს თანხები დაეკისროთ სოლიდარულად შემდეგი წესით:

ა) შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპს“, ნუგზარ ქარაბაქსა და თეა ფანჩულიძეს 2007 წლის 8 ივნისის №193/2 დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულების დავალიანების ნაწილში სოლიდარულად დაეკისროთ 62817.76 აშშ დოლარის გადახდა; ბ) შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპს“, ნუგზარ ქარაბაქსა და თეა ფანჩულიძეს 2007 წლის 18 ივნისის №193/3 დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულების დავალიანების ნაწილში სოლიდარულად დაეკისროთ 9685;92 აშშ დოლარის გადახდა; გ) 2007 წლის 26 ივნისის №193/4 დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულების დავალიანების ნაწილში სოლიდარულად დაეკისროთ 14244.82 აშშ დოლარის გადახდა. გარდა ამისა, 2008 წლის 26 მარტის №2002 დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპს“ დამატებით უნდა დაეკისროს 44818.64 აშშ დოლარის გადახდა.

დღევანდელი მდგომარეობით შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპის“ სრული დავალიანება შეადგენს 114565.54 (ასთოთხმეტი ათას ხუთას სამოცდახუთი აშშ დოლარი და 54) აშშ დოლარს), საიდანაც დავალიანების ძირითადი თანხაა 90385.44 აშშ დოლარი, პროცენტი - 8227.04 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო - 15953.06 აშშ დოლარი.

საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის მომზადების მიზნით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამიად, სარჩელი და თანდართული საბუთები მოპასუხეებს: შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპს“, ნუგზარ ქარაბაქს და თეა ფანჩულიძეს გაეგზავნათ მოსარჩელისათვის ცნობილ ძირითად და ალტერნატიულ მისამართებზე, საიდანაც გზავნილები დაბრუნდა შემდეგი საფოსტო შეტყობინებებით:

„ჯორჯიან გლაზ გრუპი“ - ძირითად მისამართზე (ქუთაისში) არის საცხოვრებელი ბინა, სადაც ცხოვრობს სოხაძე, შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპი“ მოცემულ მისამართზე არ არის, ხოლო ალტერნატიულ მისამართზე (თბილისში) სს „ჩარხმშენის“ დირექტორის განცხადებით შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპი“ წელიწადზე მეტია მოცემულ მისამართზე აღარ ფუნქციონირებს.

თეა ფანჩულიძე - ძირითად მისამართზე (ქუთაისში) არის საცოვრებელი ბინა, სადაც ცხოვრობს სოხაძე.

ნუგზარ ქარაბაქი - ძირითად მისამართზე (ქუთაისში) - დედის განმარტებით ნ. ქარაბაქი იმყოფება საზღვარგარეთ, ხოლო მან უარი განაცხადა გზავნილის ჩაბარებაზე.

2009 წლის 08 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მომართა მოსარჩელემ და მოპასუხეთა ფაქტობრივი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო იშუამდგომლა სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუზლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების სააროდ გავრცელების შესახებ.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან მოპასუხეთა ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია, მათ უნდა ეცნობოთ მოცემული საქმის წარმოების შესახებ შეტყობინების საჯაროდ გავრცელებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 201-ე, 284-285-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. ეცნობოს მოპასუხეებს: შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპს“, ნუგზარ ქარაბაქს და თეა ფანჩულიძეს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ. №6) წარმოდგენილია სს „ტაოპრივატბანკი“-ს სარჩელი, მოპასუხეების: შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპ“-ის, ნუგზარ ქარაბაქის და თეა ფანჩულიძის მიმართ სესხის ხელშეკრულებით გადასახდელი თანხის დაკისრების თაობაზე;
2. მოპასუხეებს: შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპს“, ნუგზარ ქარაბაქს და თეა ფანჩულიძეს პასუხის (შესაგებლის) წარმოდგენისათვის განესაზღვროთ ვადა სარჩელის და თანდართული მასალების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღე;
3. ეცნობოთ მოპასუხეებს: შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპს“, ნუგზარ ქარაბაქს და თეა ფანჩულიძეს, რომ „ტაოპრივატბანკი“-ს მიერ წარმოდგენილია სარჩელი და შემდეგი თანდართული დოკუმენტები: 1. გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება №193. 2. დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულება №193/2. 3. დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულება №193/3. 4. დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულება №193/4. 5. დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულება №2002. 6. ცნობა დავალიანების შესახებ. 7. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან. 8. მინდობილობა. 9. კრედიტის გაცემის დამადასტურებელი ამონაწერი. 10. გაფრთხილების წერილი. 11. სახელმწიფო ბაჟის - 5000 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტების გაცნობის შესაძლებლობა მოპასუხეებს აქვთ სასამართლოში;
4. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ „24 საათში“;
5. განჩინების გამოქვეყნება გაზეთ „24 საათში“ საკუთარი ხარჯებით დაევალოს მოსარჩელეს. ეცნობოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გაზეთ „24 საათის“ შესაბამისი საგაზეთო ნომრის წარმოდგენით;
6. სარჩელი და თანდართული მასალები და სასამართლო უწყება მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;
7. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

მოსამართლე: სოსო ღურწკაია

ქ.თბილისის მთავრობის მიერ გამოცხადებულ აუქციონში ტექნიკური ხარვეზის გასწორება

2009 წლის 24 სექტემბერს გაზეთ “24 საათში” გამოქვეყნებულ ქ. თბილისის მთავრობის აუქციონში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი N179, N180 და N183 ლოტში. აღნიშნული ხარვეზი გასწორდეს და ლოტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ლოტი N 179

მიწის ნაკვეთის მისამართი - მუხიანის დასახლებაში ავჭალა 1-ში არსებული შესასვლელი გზის მიმდებარედ (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.11.17.04.025)

გაცემის ფორმა - აუქციონი;

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი - 2244კვ.მ.

მიწის ნაკვეთის ფუნქცია - როგორც საცხოვრებელი (სზ), ისე საზოგადოებრივ საქმიანი ზონის ფუნქციით(სსზ).

კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი - მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 20ლარი, აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 5 ლარი. აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი “ბე” განისაზღვროს 17952 ლარი. აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

ლოტი N 180

მიწის ნაკვეთის მისამართი - მუხიანის დასახლებაში ავჭალა 1-ში არსებული შესასვლელი გზის მიმდებარედ (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.11.17.03.014)

გაცემის ფორმა - აუქციონი;

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი - 1794კვ.მ.

მიწის ნაკვეთის ფუნქცია - როგორც საცხოვრებელი (სზ), ისე საზოგადოებრივ საქმიანი ზონის ფუნქციით (სსზ)

კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი - მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 55 ლარი, აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 5 ლარი. აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი “ბე” განისაზღვროს 39468 ლარი. აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

ლოტი N 183

მიწის ნაკვეთის მისამართი - ნუცუბიძის ფერდობი III მ/რ, III კვ. Kკორპუსი N11-ის მიმდებარედ (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.14.02.013.070)

გაცემის ფორმა - აუქციონი;

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი - 299კვ.მ.

მიწის ნაკვეთის ფუნქცია - საცხოვრებელი ზონის ფუნქციით.

კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი - მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 150 ლარი, აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 5 ლარი. აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი “ბე” განისაზღვროს 17940 ლარი. აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის სამეცნიერო დეპარტამენტში შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:

- მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
- უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 3 ერთეული;
- მეცნიერი თანამშრომელი - 7 საშტატო ერთეული.

წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის დეპარტამენტში:

- უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
- მეცნიერი თანამშრომელი - 4 საშტატო ერთეული.

ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტში:

- მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული.

2. კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

3. სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს საკონკურსო კომისია, რომელიც იქმნება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

5. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან არის დოქტორანტი.

6. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, არის დოქტორანტი ან აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

7. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

a. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
b. ავტობიოგრაფია (CV);
g. დასაკავებელი თანამდებობისთვის აუცილებელი შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (დოქტორანტებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა შესაბამისი დაწესებულებიდან);
d. 2005-2009 წლებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
e. 2005-2009 წლებში გამოქვეყნებული 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ორიგინალი ან ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით, ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალსა და კვლევის უნარს;

ვ. ჩამონათვალი და მოკლე აღწერილობა იმ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა, რომელიც შეასრულა განმცხადებელმა 2005-2009 წლებში (არაუმეტეს 2 გვერდისა);

ზ. ჩამონათვალი და მოკლე აღწერილობა იმ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა, რომლის შესრულებასაც აპირებს განმცხადებელი უახლოესი სამი წლის განმავლობაში (არაუმეტეს 2 გვერდისა);

თ. შესაბამისი კვლევითი მიმართულების განვითარების კონცეფცია (აუცილებელია მხოლოდ მთავარი და უფროსი მეცნიერი თანამშრომლის საკონკურსო ადგილების მაძიებელთათვის) (არაუმეტეს 2 გვერდისა);

i. შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია (სახელი, გვარი, ტელეფონი), რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სასურველია);

8. საჭიროების შემთხვევაში საკონკურსო კომისია ატარებს გასაუბრებას კონკურსანტებთან.

9. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე ცენტრის დირექტორი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას 3 წლის ვადით.

10. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ხელფასი იქნება თვეში 386 ლარი, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის - 373 ლარი, მეცნიერი თანამშრომლის - 360 ლარი.

11. საბუთების მიღება იწარმოებს 2009 წლის 1 ოქტომბრიდან. მისამართი: თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N1/3.

12. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 6 ნოემბერი.

13. კონკურსის შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს 2009 წლის 20 ნოემბრისა.

14. დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. N1/3. ელ-ფოსტა: info@manuscript.ge ტელ.: 364185, ფაქსი: 363241; ვებ-გვერდი: www.manuscript.ge საკონტაქტო პირი: ანა მილაშვილი

სტაჟირება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურში

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური აცხადებს სტაჟორების შესარჩევ ღია კონკურსს. კონკურსზე დაიშვებიან 35 წლამდე ასაკის შესაბამისი განათლების მქონე პირები შემდეგი სპეციალობების მიხედვით:

1. სურსათის უვნებლობისა და ხარისხის ზედამხედველობის სამმართველოს ცენტრალურ აპარატსა და რაიონულ სამმართველოებში :
- ექიმი ჰიგიენისტ-ეპიდემიოლოგი
- ქიმიკოსი
- კვების ტექნოლოგი
- ბიოლოგი
- მიკრობიოლოგი

2. ვეტერინარული ზედამხედველობის დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატსა და რაიონულ სამმართველოებში :
- ვეტერინარი
- ზოოტექნიკოსი

3. მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატსა და რაიონულ სამმართველოებში:
- სწავლული აგრონომი (მცენარეთა დამცველი,აგროქიმიკოსი)
- აგროეკოლოგი
- აგროტექნოლოგი

4. იურიდიულ სამმართველოში:
- სამართალმცოდნეები

სტაჟიორების შერჩევა:

სტაჟიორები შეირჩევიან კონკურსის წესით. კონკურსის I ეტაპი (ტესტირება) ჩატარდება საქართველოს განათლების სამინისტროს გამოცდების ეროვნულ ცენტრში 24 ოქტომბერს;
კონკურსის პირველ ეტაპზე დასაშვებ პირთა შერჩევა მოხდება კომისიის მიერ კანდიდატთა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და შეფასების საფუძველზე;
კონკურსი გაიმართება II ეტაპად: პირველი ეტაპი წერილობითი (ტესტირება), ხოლო მეორე ეტაპი - ზეპირი (გასაუბრება) ფორმით;
კონკურსის შედეგად შერჩეული სტაჟიორები 3 თვიან სწავლებას გაივლიან ორ ეტაპად:
I ეტაპი - თეორიული ნაწილის სწავლება (1 თვე) რეგიონებში;
II ეტაპი - პრაქტიკული სწავლება (2 თვე) ეროვნული სამსახურის რაიონულ და საქალაქო სამმართველოებში;

კონკურსში მონაწილეობის პირობები:
კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:
1. განაცხადი (შეივსება ადგილზე);
2. დიპლომის ასლი ;
3. პირადობის მოწმობის ასლი;
4. 2 ფოტოსურათი ზომა (3X4);
5. ავტობიოგრაფია (CV);
6. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

საბუთები მიიღება განცხადების გამოქვეყნების დღიდან 16 ოქტომბრის ჩათვლით 09:30 სთ-დან 17:00 სთ-მდე შაბათ-კვირის გარდა ეროვნული სამსახურის საკადრო საკითხთა სამმართველოში (Oოთახი N14);
ტესტირების შედეგები გამოქვეყნდება ეროვნული სამსახურისა (w) და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდებზე (წწწ.ნაეც.გე).
კონკურსის II ეტაპზე გასულ კანდიდატებს ზეპირი (გასაუბრების) შესახებ ეცნობება ტესტირებიდან არაუგვიანეს 1 კვირისა.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ დარეკოთ 39-89-21 ან 39-41-20;
განცხადება იხილეთ სამსახურის ვებ-გვერდზე: www.fvp.ge
ან გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე: www.naec.ge
მისამართი: თამარაშვილის 15ა. IV სართული;

1. **განცხადება** შ.პ.ს. "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" (მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N21) მიერ საგურამო-ნავთლუღის D=700მმ მაგისტრალური გაზსადენის 50 კმ-იანი მონაკვეთის 0-10 კმ-ს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ გამოცხადებულ ტენდერში (2009 წლის 17 სექტემბერს N 201) **ცვლილების შეტანის თაობაზე**.

განცხადების **მე-4, მე-8 და მე-9 პუნქტები** შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

4. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დახურულ კონვერტში 2009 წლის 9 ოქტომბრის 16.00 საათამდე მე-15 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

8. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ (მე-12 პუნქტში აღნიშნული ტენდერში მონაწილეობის საფასურის გადახდის შემდეგ) 2009 წლის 17 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის 16.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: შ.პ.ს. "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" ქ. თბილისი 0190, კახეთის გზატკეცილი N21, ოთახი N219 სატენდერო კომისიის აპარატი.

9. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 9 ოქტომბრის 16.00 საათზე.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტის ხელმძღვანლის თანამდებობის დასაკავებლად.

2. კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

3. კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს ცენტრის სამეცნიერო საბჭო.

4. ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

5. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

a. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
b. ავტობიოგრაფია (CV);
გ. აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

d. 2005-2009 წლებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

e. 2005-2009 წლებში გამოქვეყნებული 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ორიგინალი ან ასლი, რომელიც, განმცხადებლის აზრით, ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალსა და კვლევის უნარს;

ვ. ჩამონათვალი და მოკლე აღწერილობა იმ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა, რომელიც შეასრულა განმცხადებელმა 2005-2009 წლებში (არაუმეტეს 2 გვერდისა);

ზ. სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა;

თ. შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია (სახელი, გვარი, ტელეფონი), რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სასურველია);

ი. სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია).

6. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირადი მონაცემების შეფასებას ახორციელებს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭო.

7. სამეცნიერო საბჭო ატარებს გასაუბრებას იმ კონკურსანტებთან, რომელთა საკონკურსო დოკუმენტაცია სრულყოფილად არის წარმოდგენილი და შეესაბამება ცენტრის წესდებითა და ამ ბრძანებით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

8. სამეცნიერო საბჭოს დასკვნის საფუძველზე ცენტრის დირექტორი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას 3 წლის ვადით.

9. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ხელფასი იქნება თვეში 470 ლარი.

10. საბუთების მიღება იწარმოებს 2009 წლის 1 ოქტომბრიდან. მისამართი: თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N1/3.

11. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 6 ნოემბერი, 18 სთ.

12. კონკურსის შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს 2009 წლის 16 ნოემბრისა.

13. დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. N1/3. ელ-ფოსტა: info@manuscript.ge ტელ.: 364185, ფაქსი: 363241; ვებ-გვერდი www.manuscript.ge საკონტაქტო პირი: ანი მილაშვილი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო აცხადებს ტენდერს სამშენებლო- სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

დაფინანსების წყარო-საკუთრი შემოსავლები

1. ს.ს.ი.პ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №84) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე 1 ლოტად.

შესყიდვის ობიექტი:

ქ. თბილისში, მ. ასათიანის №10 მდებარე მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პირველ სართულზე მდებარე, ს.ს.ი.პ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 90 კვ/მ ფართის სამშენებლო–სარემონტო სამუშაოები.

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
3. სამუშაოების დასრულება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან არაუგვიანეს 45 კალენდარულ დღეში.
4. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) 2009 წლის 23 ოქტომბრის 09:00 საათიდან 15:00 საათამდე მე-18 პუნქტში მითითებულ მისამართზე.
5. საკვალიფიკაციო მოინაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირებისათვის:
ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
ბ) ცნობა თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ;
გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

5.2 ფიზიკური პირებისათვის:
ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:
ა) პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;
გ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ;
6. მე-5 პუნქტში აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.
7. პრეტენდენტის მიერ ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში, ავანსის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს განსახორციელებელი სამუშაოების ღირებულების 15%-ს და პრეტენდენტი ვალდებული იქნება წარმოადგინოს მოთხოვნილი თანხის ოდენობის საბანკო გარანტია.
8. სატენდერო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

№	შეფასების კრიტერიუმი	პრიორიტეტულობის კოეფიციენტი
1	სატენდერო წინადადების ღირებულება	1,00
სულ		1,00

9. სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-5 პუნტში მოთხოვნილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, თუ რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული არ იქნება შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაცია მე-8 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
10. თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბკონტრაქტორების ჩართვაც, მაშინ, სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტის მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბკონტრაქტორისათვის.
11. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.
12. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება მე-5 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია.
13. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს შეეძლებათ (მე-17 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) 2009 წლის 2 ოქტომბრის 10:00 საათიდან 22 ოქტომბრის 18:00 საათამდე, სამუშაო დღეებში, შემდეგ მისამართზე: ს.ს.ი.პ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №84 მე-4 სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.
14. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.
15. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 23 ოქტომბერს 15:00 საათზე.
16. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
17. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი—200 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:
მიმღების დასახელება: ს.ს.ი.პ.-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.
მიმღების ბანკი:—ს.ს. „ბაზისბანკი", ბანკის კოდი 220101956, ანგ№234294.
გადახდის დანიშნულება—სატენდერო მოსაკრებელი, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, ს.ს.ი.პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

18. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ს.ს.ი.პ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სატენდერო კომისიის აპარატში. მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №84 მე-4 სართული.
საკონტაქტო პირი: ზვიად გაბისონია, ტელ: 899 67 87 79
19. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ პრეტენდენტის რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური სტრუქტურებიდან. ამასთან ორიგინალ დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

PREMIERE URGENCE
AIDE HUMANITAIRE INTERNATIONALE

UNHCR
The UN Refugee Agency

ტენდერი ცხადდება სხვადასხვა ნივთების შეძენაზე და ემსახურება მიახლოებით 700 შემოსავლების გენერირების პროექტის განხორციელებას ზუგდიდსა და გორის რეგიონში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირებისათვის.

[Ref: TF/PU/GEO/HCR/09022/TE0405/002]

საერთაშორისო ჰუმანიტარული არასამთავრობო ორგანიზაცია პრემიერ ურჯენსი, რომელიც მოქმედებს საფრანგეთის კანონმდებლობით და ფინანსდება გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ (UNHCR), იწვევს მოტივირებულ რეგისტრირებულ კომპანიებს მიიღონ მონაწილეობა ტენდერში და მოგვაწოდონ თავიანთი წინადადებები ქვემოთ ჩამოთვლილი დარგებისათვის განკუთვნილი ნივთების მოწოდებაზე.

- ✓ **სკები სრული ფუტკრის ოჯახებით - გორის რეგიონი (ლოტი 1)**
- ✓ **ელექტრო ხელსაწყოები (ლოტი 2):** კუთხის სათლელები (”ბალგარკები”), ელექტრო ბურღები, ელექტრო ხელის ხერხები (”ლობზიკები”), ელექტრო ფრეზები, ელექტრო ბურღი პერფორატორები და ა.შ.
- ✓ **ბენზინის ჯაჭვური ხერხები (ლოტი 3)**
- ✓ **შედუღების ხელსაწყოები (ლოტი 4):** ელექტრო შედუღების აპარატები, ელექტრო შედუღების აპარატები (”კემპი”), არგონის შედუღების აპარატები.
- ✓ **ჰაერის კომპრესორები (ლოტი 5)**
- ✓ **ავტო-მომსახურების მოწყობილობები (ლოტი 6):** საბურავის დასაშლელი აპარატები, საბურავის ბალანსირების აპარატები, ჰიდრავლიკური ამწეები, საბურავის დასაკერებელი პრესები და ა.შ.
- ✓ **ავტო-სამრეცხაოს მოწყობილობები (ლოტი 7):** მაღალი წნევის წყლის აპარატები, მტვერსასრუტები.
- ✓ **მაცივრები (ლოტი 8)**
- ✓ **ვერტიკალური მინიანი მაცივრები (”წვენების”) (ლოტი 9)**
- ✓ **დახლმაცივრები (ლოტი 10)**
- ✓ **ჰორიზონტალური მინიანი მაცივრები (”სანაყინე”) (ლოტი 11)**
- ✓ **ელექტრონული ტექნიკა (ლოტი 12):** კომპიუტერები, ფოტო კამერები, პრინტერები, კოპირების აპარატები და ა.შ.
- ✓ **სამკერვალო მოწყობილობები (ლოტი 13):** საკერავი მანქანები, საკერავი მანქანები ”ავერლოკები”, საქსოვი მანქანები და ა.შ.
- ✓ **სადალაქო მოწყობილობები (ლოტი 14):** სავარძლიანი თმის დასაბანი ნიჟარები, მაკრატლები, თმის ელექტრო საპარსები, თმის გასასწორებელი უთოები, თმის დასახვევი უთოები, სავარცხლები და ჯაგრისები, თმის საშრობი ფენები და ა.შ.
- ✓ **სადურგლო / ავეჯის წარმოება (ლოტი 15):** მაღაზიის დახლები, თაროები, მაგიდები, კომპიუტერის მაგიდები და ა.შ.

დაინტერესებულ - ლიცენზირებულ კომპანიებს შეუძლიათ მიიღონ სათანადო დაწვრილებითი ინფორმაცია და ინსტრუქციები მხოლოდ **2009 წლის 05 ოქტომბერს, ორშაბათს და 06 ოქტომბერს, სამშაბათს, 09:00-დან 18:00 საათამდე**

-პრემიერ ურჯენსის თბილისის ოფისში : ზანდუკელის ქ. № 5,
ტელ.: (822) 98 24 56. საკონტაქტო პირი - ნელი დათუკაშვილი
-პრემიერ ურჯენსის გორის ოფისში: ბესარიონ ჯუღაშვილის ქ № 4,
ტელ.: (8270) 7 96 25. საკონტაქტო პირი: დავით კურტანიძე
-პრემიერ ურჯენსის ზუგდიდის ოფისში: გამსახურდიას ქ № 197,
ტელ: (812 315) 5 42 20. საკონტაქტო პირი: ბიძინა ქარჩავა

N2-1141

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

21 სექტემბერი 2009 წელი ქ.ბათუმი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გოჩა ფუტკარაძემ ერთპიროვნულად განვიხილე შპს “ბათგამწვანები‘‘-ს გაკოტრების მმართველის თამარ მახარაძის განცხადებ შპს “ბათგამწვანები‘‘-ს გაკოტრების მმართველის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე

დაადგინა:

1. განთავისუფლდეს თამარ მახარაძე შპს “ბათგამწვანები‘‘-ს გაკოტრების მმართველის თანამდებობიდან.
2. შპს “ბათგამწვანები‘‘-ს გაკოტრების მმართველად დაინიშნოს ნუკრი ტაკიძე საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 10.01.1982 წ-ს, ქობულეთში, მის: ბათუმი, ერას ქ N63 ბ11, პირადი N61004008265, პირადობის მოწმობის Nგ ბ 1123487 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბათუმის სამსახურის მიერ 01.08.2008 წ-ს) ბატონი ნუკრი ტაკიძე კრედიტორთა კრების გადაწყვეტილებით წარმოადგენს შესაბამისი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე პირს.
3. დაევალოს გაკოტრების მმართველს დაუყოვნებლივ მიიღოს თავის მმართველობაში გაკოტრების მასა და კეთილსინდისიერად მართოს და განკარგოს იგი და შეასრულოს “გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.
4. გაკოტრების მმართველი ნუკრი ტაკიძე თავისი მოვალეობების შესრულებაზე გაკოტრების საქმის წარმოების ყველა მონაწილის წინაშე. ზიანის მიყენების შემთხვევაში, თუ გაკოტრების მმართველი ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანი მისი ბრალით არ იყო გამოწვეული, დაეკისროს მისი სრული ოდენობით ანაზღაურება.
5. გაჩნიბება გამოქვეყნდეს პერიოდული პრესის მეშვეობით.
6. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრის გზით მისი ასლის მხარეთათვის გადაცემიდან 5 დღის ვადაში: ქ.ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში (მისამართი ქ.ქუთაისი, ნიუპორტის ქ.N32) ბათუმის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე: გოჩა ფუტკარაძე

GEONET myhost
შენი ადგილი ინტერნეტში
www.myhost.ge
3 თვე უფასო
ჰოსტინგი
470000
info@myhost.ge
ახლა

საქმე №2/4119-08

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჯარო შეტყობინების შესახებ

16 სექტემბერი, 2009 წელი თბილისი
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის
მოსამართლე სოსო ღურწკაია
მოსარჩელე - სს „ტაოპრივატბანკი"
წარმომადგენელი - ნოდარ პაპუკაშვილი
მოპასუხეები: 1. თეა ფანჩულიძე
2. ნუგზარ ქარაბაქი
3. შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპი"

დავის საგანი - სესხის ხელშეკრულებით გადასახდელი თანხის დაკისრება

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჯარო შეტყობინების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2009 წლის 02 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მომართა სს „ტაოპრივატბანკმა" მოპასუხეების: თეა ფანჩულიძის, ნუგზარ ქარაბაქის და შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპი"-ს მიმართ სესხის ხელშეკრულებით გადასახდელი თანხის დაკისრების თაობაზე.

სარჩელი დამყარებულია შემდეგ გარემოებებზე: ს/ს „ტაოპრივატბანკსა" და თეა ფანჩულიძეს შორის 2007 წლის 7 ივნისსა და 2008 წლის 25 ივნისს გაფორმდა №779 და №2186 საკრედიტო ხელშეკრულებები, რომლის საფუძველზეც ბანკმა გასცა მსესხებელზე კრედიტი, მთლიანობაში, 100000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით. მათ ორის, №779 ხელშეკრულების მიხედვით, 36 თვის ვადით, წლიური 18%-იანი საპროცენტო განაკვეთით, პირგასამტეხლო - 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხოლო №2186 ხელშეკრულების მიხედვით, 3 თვის ვადით, წლიური 22%-იანი საპროცენტო განაკვეთით, პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

№779 და №2186 საკრედიტო ხელშეკრულებების უზრუნველყოფის მიზნით გაფორმდა შემდეგი ხელშეკრულებები:

1. ბანკსა და ნუგზარ ქარაბაქს შორის 2007 წლის 7 ივნისის №779 თავდებობის ხელშეკრულება;
2. ბანკსა და ნუგზარ ქარაბაქს შორის 2008 წლის 25 ივნისის №2186 თავდებობის ხელშეკრულება;
3. ბანკსა და შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპს" შორის 2007 წლის 7 ივნისის №779/1 თავდებობის ხელშეკრულება;
4. იპოთეკისა (2007 წლის 7 ივნისი, №779) და გირავნობის (2008 წლის 25 ივნისი, №2186) ხელშეკრულებები.

მოსარჩელის მითითებით, ს/ს „ტაოპრივატბანკმა", ჯერ კიდევ 2009 წლის 21 აპრილის №429 წერილით გააფრთხილა თეა ფანჩულიძე ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი სანქციების თაობაზე, იყო სატელეფონო კონტაქტებიც, თუმცა ვალდებულება დღემდე შეუსრულებელია.

კონკრეტული ხელშეკრულებების მიხედვით, 2009 წლის 11 ივნისის მდგომარეობით მოპასუხეების დავალიანება შეადგენს:

ა) 2007 წლის 7 ივნისის №779 საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით - 34314.55 აშშ დოლარს (დანართი №1); ბ) 2008 წლის 25 ივნისის №2186 საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით - 77643.15 აშშ დოლარს (დანართი №2). მთლიანობაში, 111957.7 (ას თერთმეტი ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი და 70 ცენტი) აშშ დოლარს.

მოსარჩელე ითხოვს მოპასუხეებს თანხები დაერიცხოთ შემდეგი წესით:

ა) თეა ფანჩულიძეს, შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპს" და, ნუგზარ ქარაბაქს 2007 წლის 7 ივნისის №779 საკრედიტო ხელშეკრულების დავალიანების ნაწილში სოლიდარულად დაეკისროთ 34314.55 აშშ დოლარის გადახდა; ბ) ნუგზარ ქარაბაქსა და თეა ფანჩულიძეს 2008 წლის 25 ივნისის №2186 საკრედიტო ხელშეკრულების დავალიანების ნაწილში სოლიდარულად დაეკისროთ 63300 აშშ დოლარის გადახდა, ხოლო თეა ფანჩულიძეს დამატებით დაეკისროს 14343.15 აშშ დოლარის გადახდა.

საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის მომზადების მიზნით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამიად, სარჩელი და თანდართული საბუთები მოპასუხეებს: შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპს", ნუგზარ ქარაბაქს და თეა ფანჩულიძეს გაეგზავნათ მოსარჩელისათვის ცნობილ ძირითად და ალტერნატიულ მისამართებზე, საიდანაც გზავნილები დაბრუნდა შემდეგი საფოსტო შეტყობინებებით:

„ჯორჯიან გლაზ გრუპი" - ძირითად მისამართზე (ქუთაისში) არის საცხოვრებელი ბინა, შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპი" მოცემულ მისამართზე არ არის, ხოლო ალტერნატიულ მისამართზე (თბილისში) სს „ჩარხმშენის" დირექტორის განცხადებით შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპი" წელიწადზე მეტია მოცემულ მისამართზე აღარ ფუნქციონირებს.

თეა ფანჩულიძე - ძირითად მისამართზე (თბილისში) არის საცხოვრებელი ბინა, რომელიც ეკუთვნის ვინმე ნუკრის. 2 წელიწადია ამ ბინაში ცხოვრობენ მდგმურები. ალტერნატიულ მისამართზე (ქუთაისში) - მეზობლის განმარტებით ბინა გაყიდულია და იქ ამჟამად ცხოვრობს სოხაძე.

ნუგზარ ქარაბაქი - ძირითად მისამართზე (ქუთაისში) - დედის განმარტებით ნ. ქარაბაქი იმყოფება საზღვარგარეთ, ხოლო მან უარი განაცხადა გზავნილის ჩაბარებაზე.

2009 წლის 08 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მომართა მოსარჩელემ და მოპასუხეთა ფაქტობრივი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო იშუამდგომლა სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამხოფელი უცნობია ან მისთვის უწყებს ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან მოპასუხეთა ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია, მათ უნდა ეცნობოთ მოცემული საქმის წარმოების შესახებ შეტყობინების საჯაროდ გავრცელებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 201-ე, 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ეცნობოს მოპასუხეებს: თეა ფანჩულიძეს, ნუგზარ ქარაბაქს და შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპს", რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ. №6) წარმოდგენილია სს „ტაოპრივატბანკი"-ს სარჩელი, მოპასუხეების: თეა ფანჩულიძის, ნუგზარ ქარაბაქის და შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპ"-ის მიმართ სესხის ხელშეკრულებით გადასახდელი თანხის დაკისრების თაობაზე;
2. მოპასუხეებს: თეა ფანჩულიძეს, ნუგზარ ქარაბაქს და შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპს" პასუხის (შესაგებლის) წარმოდგენისათვის განესაზღვროთ ვადა სარჩელის და თანდართული მასალების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღე;
3. ეცნობოთ მოპასუხეებს: თეა ფანჩულიძეს, ნუგზარ ქარაბაქს და შპს „ჯორჯიან გლაზ გრუპს", რომ „ტაოპრივატბანკი"-ს მიერ წარმოდგენილია სარჩელი და შემდეგი თანდართული დოკუმენტები: 1. საკრედიტო ხელშეკრულება №779. 2. საკრედიტო ხელშეკრულება №2186. 3. თავდებობის ხელშეკრულებები №779, №779/1, №2186. 4. ცნობა დავალიანების შესახებ. 5. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან. 6. მინდობილობა. 7. კრედიტის გაცემის დამადასტურებელი ამონაწერი. 8. გაფრთხილების წერილი. 9. სახელმწიფო ბაჟის - 5541.9 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტების გაცნობის შესაძლებლობა მოპასუხეებს აქვთ სასამართლოში;
4. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ „24 საათში";
5. განჩინების გამოქვეყნება გაზეთ „24 საათში" საკუთარი ხარჯებით დაევალოს მოსარჩელეს. ეცნობოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გაზეთ „24 საათის" შესაბამისი საგაზეთო ნომრის წარმოდგენით;
6. სარჩელი და თანდართული მასალები და სასამართლო უწყება მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;
7. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

მოსამართლე: სოსო ღურწკაია

მოქ. ლელა ასლანიკაშვილი (პირადი № 01010007235 მცხ. თბილისი, მელიქიშვილის №1/6)

ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა

11 მაისი 2009 წელი ქ. თბილისი

2008 წლის 20 ივლისს სს „ტაოპრივატბანკსა" და თქვენს (მსესხებელს) შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად - ბანკმა თქვენზე სესხის სახით გასცა ავტო კრედიტი 10780 აშშ დოლარის ოდენობით 24 თვის ვადით. გირავნობის ხელშეკრულების თანახმად, ბანკისათვის კრედიტის და მასზე დარიცხული პროცენტების დაფარვა თქვენს მიერ უნდა მომხდარიყო ყოელთვიურად კრედიტის დაბრუნების გრაფიკით გათვალისწიმნებულ დროს და 2008 წლის აგვისტოდან ყოველი თვის 21 რიცხვში უნდაგადაგეხადათ 538.84 აშშ დოლარი, ხოლო გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში დაგეკისრებოდათ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

საკრედიტო ხელშეკრულებების თანახმად - თქვენი მხრიდან ამავე ხელშეკრულებებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში ბანკს ენიჭება საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების საკუთარი მოთხოვნის ვადამდე დაკმაყოფილების უფლება.

2008 წლის 20 ივლისს სს „ტაოპრივატბანკსა" და თქვენს შორის დაიდო გირავნობის ხელშეკრულება (შემდგომში გირავნობის ხელშეკრულება), რომლის თანახმადაც გირავნობის საგანს წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალება შემდეგი მახასიათებლებით: მარკა „ML" გამოშვების წელი 2000, ფერი რუხი, სარეგისტრაციო ნომერი BER 933.

იმის გამო, რომ თქვენს მიერ არ იქნა შესრულებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და არ განახორციელეთ სესხის დაფარვა დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, თქვენ ვალდებული ხართ ბანკის მიმართ არსებული მიმდინარე დავალიანება, რომელიც ავტო კრედიტზე 2009 წლის 08 მაისის მდგომარეობით (საპროცენტო და საჯარიმო დანარიცხების გათვალისწინებით) შეადგენს 2976 აშშ დოლარს, სრულად დაფაროთ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 14 სბაანკო დღისა. ამასთაე, ვალდებული ხართ, შეტყობის მიღებისთანავე სატრანსპორტო საშუალება, რომელიც წარმოადგენს გირავნობის საგანს, წარუდგინოთ სს „ტაოპრივატბანკის" პრობლემურ დავალიანებათა დეპარტამენტს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენ მიერ ამ გაფრთხილებით დათქმულ ვადაში არ იქნება დაფარული ზემოაღნიშნული დავალიანება სრულად, ბანკი შეწყვეტს საკრედიტო ხელშეკრულებას და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 278-ე მუხლისა და ხსენებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, სს „ტაოპრივატბანკი" გამოიყენებს უფლებას გირავნობის საგნის, სატრანსპორტო საშუალების საკუთრებაში უპირობოდ გადმოცემის შესახებ ან საჭიროების შემთხვევაში, გირავნობის ხელშეკრულების თანახმად, მოქმედი კანონმდელობის შესაბამისად, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, მოახდენს გირავნობის საგნის, სატრანსპორტო საშუალებით იძულებით ჩამორთმევას, მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

თუ თქვენს მიერ დროულად და კეთილსინდისიერად არ იქნება შესრულებული გირავნობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, სატრანსპორტო საშუალების გადმოცემასა და მასთან დაკავშირებული იურიდიული მოქმედებების განხორციელებაზე, თქვენს მიმართ გამოყენებული იქნება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი ზომები.

ასევე ზემოაღნიშნული პირობების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებას - თქვენს მიმართ საკრედიტო დავალიანების გადაუხდელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია გადასცეს სს „კრედიტინფო საქართველოს" - თქვენი პერსონალური მონაცემების ე.წ. „შავ სიაში" შესაყვანად, რომლის შემდგომ, საქართველოში მოქმედი ვერც ერთი კომერციული ბანკის საკრედიტო მომსხურებით ვეღარ ისარგებლებთ.

წინამდებარე გაფრთხიდება ჩვენს მიერ გადმოგეცათ შეტყობინების სახით, თქვენთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების, გირავნობის ხელშეკრულებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმათა საფუძველზე.

სს „ტაოპრივატბანკის"
პრობლემურ დავალიანებათა
დეპარტამენტის სპეციალისტი მ. გორდელაძე